




ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კომპანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის
დაბადებიდან 90 წლისთავისადმი



თ ე ზ ი ს ე ბ ი

3–5 ივლისი, 2020
თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
XIV FACULTY SCIENTIFIC CONFERENCE

**მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის
დაბადებიდან 90 წლისთავისადმი**
**In honour of the 90th anniversary of Academic Otar
Lortkipanidze's birth**

თ ე ზ ი ს ე ბ ი
Book of Abstracts

ივლისი 3 - 5 July
თბილისი 2020 Tbilisi



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თედო დუნდუა

პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

პროფესორი დარეჲან გარდავაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი (კოორდინატორი)

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili

Professor Tedo Dundua

Professor Teimuraz Papaskiri

Professor Darejan Gardavadze

Associate Professor Ekaterine Navrozashvili

Dr. of Philology Nino Popiashvili (Coordinator)

შინარსი/Contents

მარინა ანდრაშვილი , ინტენციის მიმართება კონვენციურობასთან: ფენომენის ფსიქოლინგვისტური ასპექტები (ფერდინანდ ფონ შირახის რომანის „Kaffee und Zigaretten“ მიხედვით).....	11
Marina Andrazashvili , The Relation Between Intention and Conventionality: Psycholinguistic Aspects of Phenomenon (Based on Ferdinand von Schirach’s Novel „Kaffee und Zigaretten“).....	12
თამარ ანთაძე , ვარლამ ჩერქეზიშვილი ბაირონზე.....	13
Tamar Antadze , Varlam Cherkezishvili on Byron.....	14
ფატმან ანთაძე-მალაშხია , ქეთევან ნიკოლაძე, ხელისა და ფეხის სპარსულ და ქართულ სახელწოდებათა ნუმერატივიზაციისათვის	15
Patman Antadze-Malashkhia , Ketevan Nikoladze , On the Numerative Nouns Derived from Persian and Georgian Names for Hand and Foot.....	15
ციური ახვლედიანი , გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია, აზარტული თამაშები ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიაში	16
Tsiuri Akhvlediani , Giorgi Kuparadze , Ketevan Gabunia , Gambling in French and English Phraseology.....	17
ირაკლი ბათიაშვილი , ფრიდრიხ ნიცშე: ღირებულებათა გადაფასებიდან დემოკრატიის ნეგაციისაკენ.....	17
Irakli Batiashvili , Friedrich Nietzsche: from the transvaluation of values to the negation of democracy	18
მიხეილ ბარნოვი , სამშობლოს კონცეპტი ჩიკანო-ამერიკელების იდენტობაში	19
Mikheil Barnovi , Image of Homeland in Chicano Identity	20
ნატა ბასილაია , ციური სფეროს ნომინაციები ი.ბუნინის პოეზიაში.....	21
Nata Basilaia , Celestial Spheres Nominations in Bunin’s Poetry	21
მიხეილ ბახტაძე , პოლონეთის გენერალური შტაბი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ.....	21
Mikheil Bakhtadze , The General Staff of Poland on the Russian-Georgian War of 1921	22

სალომე ბედუკაძე , ქართული პოეზიის როლი ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში.....	23
Salome Bedukadze , The role of Georgian poetry in Boris Pasternak’s work	23
ირაკლი ბრაჭული , პრაქსისი, ფილოსოფია და პოეზისი (ქართულ-ამერიკული პარალელები)	24
Irakli Brachuli , Praxis, Philosophy end Poiesis (Georgian-American Parallels).....	25
ხათუნა ბუსკივაძე , კოდური გადართვის გამოყენების სიხშირე და ფუნქციები ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში.....	25
Khatuna Buskivadze , The Frequency and Functions of Using Code-switching in Georgian Educational Discourse	26
ხატია ბუსკივაძე , კონტრასტული დისკურსის მარკერების გრამატიკულ-პრაგმატიკული ფუნქციურობის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში ტოქშოუს მაგალითზე.....	27
Khatia Buskivadze , The Comparative Analysis of Contrastive Discourse Markers Grammar-Pragmatic Functionality in English and Georgian Languages in Talk-Show Discourse.....	29
ნანა გაფრინდაშვილი , სოცრეალისტური კანონი: საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურული კომპარატივისტიკის პრაქტიკის თვალსაზრისით.....	30
Nana Gaprindashvili , Method of Social Realism: Policy of Soviet Culture in Terms of the Practice of Comparative Literature	31
თამარ გელაშვილი , თათია სიბაშვილი , უილიამ შექსპირი, როგორც პაროდის ობიექტი ჯეიმზ ჯოისის რომანში „ლამისთევა ფინეგანისათვის“	32
Tamar Gelashvili , Tatia Sibashvili , William Shakespeare as an object of Parody in James Joyce’s Finnegans Wake.....	33
მანანა გელაშვილი , „ჰამლეტი“, როგორც ჯოისის „ულისეს“ ინტერტექსტი.....	34
Manana Gelashvili , Hamlet as an Intertext of Ulysses by James Joyce	35
ნანა გელაშვილი , ქალის სტატუსი იაპონიაში ისტორიულ წარსულში.....	36
Nana Gelashvili , Female Status in Japan’s Historical Past.....	36

თეიმურაზ გვიმრაძე, სამხედრო და სპორტული თამაშობანი საქართველოში.....	37
Teimuraz Gvimrasze, Martial and sport games in Georgia	38
სოფიკო გვრიტიშვილი, ლინგვისტურ მარკერთა ანალიზი (სასამართლო დისკურსის მაგალითზე).....	39
Sopiko Gvritishvili, Analysis of linguistic markers (On the example of court discourse)	40
ელენე გოგიაშვილი, ფოლკლორული ტექსტის გამოქვეყნების ფილოლოგიური პრობლემები	40
Elene Gogiashvili, Philological Problems in Editions of Folklore Texts.....	41
გიორგი გრიგოლაშვილი, ხელისუფლების ფილოსოფიური კონცეფციის რესენტიმენტი ჯონ როულზის სამართლიანობის თეორიაში	41
Giorgi Grigolashvili, The Resentment of the philosophical concept of Authority in John Rawls’s Theory of Justice	43
ნანა გულიაშვილი, თამაშისა და დღესასწაულის მსგავსება - განსხვავების საკითხისათვის.....	44
Nana Guliashvili, For the similarity-difference of game and holiday	45
ირინე დემეტრაძე, ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებები საალერსო მიმართვის ფორმებში (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე).....	46
Irine Demetradze, Names of Animals and Birds in Endearing Forms of Address (On the Material of English, Georgian and Russian Languages)	47
მამუკა დოლიძე, ფენომენოლოგია როგორც შემოქმედება	48
Mamuka Dolidze, Phenomenology as a philosophy of creativity	50
ქეთევან ეფაძე, რას გვიყვებიან მეხსიერების ადგილები?.....	50
Ketevan Epadze, What do the sites of memory talk about?.....	51
ეკა ვარდოშვილი, არტურ ლაისტი და ქართველი რომანტიკოსები.....	52
Eka Vardoshvili, Arthur Leist and Georgian Romanticists.....	53
ნათია ზარდიაშვილი, ემოციის ფრეიმიინგი საჯარო გამოსვლებში: გენდერი და სოციოკულტურული ასპექტები	54

Natia Zardiashvili, Framing Emotion in Public Speaking: Gender and Socio-Cultural Aspects.....	55
ანასტასია ზაქარიადე, ქრისტიანული ეთიკის პოსტბიზანტიური წაკითხვა	55
Anastasia Zakariadze, Post Byzantine explication of Christian Ethics	57
რუსუდან ზექალაშვილი, იმპერსონალურ ზმნათა ბუნების ფსიქოლოგიური ახსნა (დ. უზნაძის ერთი ნაშრომის მიხედვით).....	58
Rusudan Zekalashvili, Psychological Explanation of the Character of Impersonal verbs (According one of the works by D. Uznadze)	59
დარეჯან თვალთვაძე, სახარების საკითხავები ლიტურგიკულ კრებულში „სანელინდო სახარება“	61
Darejan Tvaltvaдзе, The Readings of the Gospel in the Liturgical Collection “The Annual Gospel”	62
სოფიო თოთიბაძე, ზღაპრის ენაში ასახული გენდერული სტერეოტიპების გავლენა პერსონაჟის აღქმაზე	64
Sopio Totibadze, The Influence of Gender Stereotypes Manifested in Language on the Perception of the Character.....	64
მაია თუხარელი, კომიკურობის საკითხი რუსულ ლიტერატურულ ზღაპართან მიმართებაში	65
Maia Tukhareli, Comic in a Russian Literary Fairy.....	66
ნაზი ირიცპუხოვა, კოვიდ-19-ის მეტაფორები ქართული ახალი ამბების დისკურსში.....	67
Nazi Iritspukhova, COVID-19: War of Metaphors The Coverage of novel Coronavirus Pandemic in Georgian News Reports	68
ქეთევან კაკიტელაშვილი, სტიქიური უბედურებები როგორც კულტურული კონსტრუქტები: 1980-1990-იანი წლების საქართველოს მაგალითზე.....	69
Ketevan Kakitelashvili, Natural Disasters as Cultural Constructs: Cases of 1989 and 1991 Natural Catastrophes in Georgia.....	70
მერაბ კალანდაძე, ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე.....	70
Merab Kalandadze, Niko Nikoladze on Napoleon”s Legislative Works.....	72
მანანა კვაჭაძე, ძველირანული ტრადიციების ასახვა კლასიკური პერიოდის სპარსულ პოეზიაში: მეხოტბეობა	72

Manana Kvachadze , Reflection of Old Iranian Traditions in the Persian Poetry of the Classical Period: Eulogy	74
ზვიად კვიციანი , სვანეთის მთავრების- დადემჲქელიანების ციხე-სიმაგრის კომპლექსი (ბუხრიანი კოშკი).....	75
Zviad Kvitsiani , The fireplace tower of the Svaneti princes" Dadeshkelian fortress complex.....	75
ბორის კომახიძე , „წარმოსახვითი თბილისი“: „ონლაინ“ თამაშის " GTA San Andreas (Samp)"-ის როლი მოზარდების სოციალიზაციის პროცესში	76
Boris Komakhidze , "Imagined Tbilisi": The role of online game GTA San Andreas (Samp) in the socialization processes of Georgian teenagers.....	77
ნინო კურატიშვილი , ირონია და სარკაზმი - თანამედროვე რიტორიკა	78
Nino Kuratishvili , Irony and Sarcasm – Modern Rhetoric.....	78
ვახტანგ ლიჩელი , წარმართული ხანის დამწერლობა საქართველოში -არქეოლოგიურ კონტექსტი.....	79
Vakhtang Licheli , The Pagan period writing in Georgia	80
მაია ლომია , რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, ნა-/ნო-პრეფიქსიანი სახელური, ზმნური ფორმები და მათთან დაკავშირებული სემანტიკური თავისებურებანი ქართველურ ენებში	80
Maia Lomia, Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani , Nominal and Verbal Forms with na-/no-Prefixes and Related Semantic Peculiarities in Kartvelian Languages	81
კახაბერ ლორია , "კნუტ ჰამსუნის უკანასკნელი წიგნის ჟანრული თავისებურებანი"	82
Kakhaber Loria , " Genre characteristics of Knut Hamsun's last book "	83
დავით მაზიაშვილი , შექსპირის სიმულაკრი	84
David Maziashvili , Shakespeare’s Simulacrum.....	85
ხვთისო მამისიმედიშვილი , ჟამის (შავი ჭირის) გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში	86
Khvtiso Mamisimedishvili , Mythic creatures in georgian folklore, which spread plague	87

ნინო მინდაძე , ეპიდემიურ დაავადებათა ისტორიისთვის საქართველოში	88
Nino Mindadze , On the History of Epidemic Diseases in Georgia.....	89
ეკატერინე მიხელიძე , „პატარა პრინცი“ - წიგნი დიდებისა და პატარებისათვის.....	89
Ekaterine Mikhelidze , “The Little Prince”–The Book for Children and Adults.....	90
მარია მშვილდაძე , ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში	91
Marika Mshvildadze , Cult of Demeter in Iberia – Colchis	92
ივანე მჭედელაძე , ქალაქის სემიოტიკა: „თბილისური ტექსტის“ კულტურული მარკერები პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინულ ტრაველოგში.....	93
Ivane Mchedeladze , Semiotics of the City: Cultural Markers of the "Tbilisi Text" in the Post-Soviet Ukrainian Travelog.....	94
ეკატერინე ნავროზაშვილი , ხოსე ორტეგა ი გასეტი – თარგმანის შესახებ	95
Ekaterine Navrozashvili , José Ortega y Gasset – About translation.....	96
ხატია ნამიჭეიშვილი , ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური მოვლენების გავლენა სურათხატოვან მეტაფორაზე სოციალურ ქსელში.....	97
Khatia Namitcheishvili , The influence of current events on pictorial metaphors in social networks	97
სალომე ოშიაძე , „შუმანიკის წამებაში“ დადასტურებულ ჭამის ველის ერთეულთა ფორმოზრივ-სემანტიკური ტრანსფორმაცია.....	98
Salome Omiadze , The Structural-Semantic Transformation of the Units within the Semantic Field of Eating Found in the „Martyrdom of St. Shushanik“	99
ნინო პოპიაშვილი , ქართული ჰაგიოგრაფიის პარადიგმული მოდელის განსაზღვრისათვის	99
Nino Popiashvili , For Determining the Paradigmatic Model of Georgian Hagiography.....	100
მანანა რუსიეშვილი , რუსუდან დოლიძე, უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პრობლემები: ქართული კონტექსტი	101

Manana Rusieshvili, Rusudan Dolidze, Willingness to communicate in a foreign language: the Georgian context.....	101
მამია სურმავა, ცოდნისა და ჭეშმარიტების ერთი ასპექტისათვის ბუდისტურ ფილოსოფიაში („ეპოხე“ და „სანიატა“)	102
Mamia surmava, The Approach to Knowledge and Truth in Buddhist Philosophy (Epoche and Sunyata)	103
მარიამ ფილინა, თადეუშ ლადა-ზაბლოცკი და მიხეილ თუმანიშვილი (პოეტების დიალოგი)	104
Mariam Filina, Tadeush Lada-Zablotsky and Mikheil Tumanishvili (The dialogue of poets)	105
მარინე ფუთურიძე, თრიალეთის კულტურის სოციალური სტრუქტურის საკითხისათვის	106
Marina Puturidze, For the Issue of Social Structure of the Trialeti Culture	107
თეა ქამუშაძე, გაღება უკან დაბრუნების მოლოდინის გარეშე: პოსტსოციალისტური რუსთავის რელიგიური ბაზარი და ყოველდღიურობა	108
Tea Kamushadze, Giving Without Expecting Nothing in Return: The Post-Socialist Rustavi Religious Market and the Everyday Life	109
მაია ქვრივიშვილი, დღესასწაული როგორც მეხსიერება და როგორც იდენტობის მსაზღვრელი	110
Maia Kvrivishvili, National Holidays as a determinant of identity and memory	111
ანა ქირია, ნოეტური სამყაროს სტრუქტურა პლოტინთან	112
Ana Kiria, The Structure of the Noetic World in Plotinus	113
რამაზ ქურდაძე, ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლების დროს	113
Ramaz Kurdadze, A Case of Facultative Use of Version Markers in the Teaching of Georgian as a Second or Foreign Language	114
თამარ ჩოგოვაძე, „კახური“ ანუ „ცენტრალურამიერკავკასიური“ ჯგუფის საბეჭდავები	115
Tamar Chogovadze, Kakhuri” or “Central Transcaucasian” group seals	115
ნინო ჩიქოვანი, ტრავმისა და ტრიუმფის ნარატივის სათავეებთან: საქართველო, 1989	116

Nino Chikovani, The Origins of a Narrative of Triumph and Trauma: Georgia, 1989	117
ირაკლი ჩხაიძე, 9 აპრილის რეპრეზენტაცია ქართულ პრესაში	118
Irakli Chkhaidze, TitleRepresentation of April 9 in the Georgian Press	119
სოფიო ჩხატარაშვილი, ქართული თემის ფემინიზაცია ლინა კოსტენკოს პოეზიაში	120
Sophio Chkhatarashvili, Feminization of Georgian theme in Lina Kostenko’s poetry	120
ლელა ციხელაშვილი, ჩვენებით ნაცვალსახელთა -ა-მავრცობხმოვნინანი ფორმები ძველ ქართულ ენაში	121
Lela Tsikhelashvili, Demonstrative Pronouns with the Emphatic Vowel - a in Old Georgian	122
ივანე წერეთელი, 1990-იანი წლების ტრავმული მოვლენები ლიტერატურაში	122
Ivane Tsereteli, Traumatic events of the 1990s in literature	123
ნინო წერეთელი, ოჯახი და მისი რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართულ პროზაში	124
Nino Tsereteli, Representation of the Family in the Modern Georgian Literature	124
ლელა ხაჩიძე, ქართული საეკლესიო გალობის შესახებ	125
Lela Khatshidze, Towards the Georgian Spiritual Chant	126
ქეთევან ხუციშვილი, საზღვრების და სასაზღვრო ზონების კვლევები: მიდგომები და მეთოდოლოგია	126
Ketevan Khutsishvili, The Border and Frontier Researches: Approaches and Methodology	128
დემურ ჯალაღონია, ახალი პოლიტიკურ-თეოლოგიური დისკურსი ანთიმოზ ივერიელის „თავდასაცავად დაწერილ უსტრებში“	129
Demur Jalaghonia, A New Political-Theological Discourse in “Letters Written for Self-Defense” by Anthim the Iberian	130

მარინა ანდრაზაშვილი

ინტენციის მიმართება კონვენციურობასთან: ფენომენის ფსიქოლინგვისტური ასპექტები (ფერდინანდ ფონ შირახის რომანის „Kaffee und Zigaretten“ მიხედვით)

წინამდებარე გამოკვლევის ძირითადი სამუშაო ტერმინები – „ინტენციურობა“/„ინტენცია“ და „კონვენციურობა“ – გამოირჩევა ფართო სემანტიკური პოტენციალით, რის გამოც მათ ხშირად ვხვდებით მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგში. ბუნებრივია, ამ დროს ხდება ცნებათა ბირთვული სემების შენარჩუნება, მაგრამ პარალელურად ასევე ზოგადი სემანტიკის მოდიფიცირებაც კონკრეტული დარგის სპეციფიკის მიხედვით. წინამდებარე ნაშრომის ფსიქოლინგვისტური პროფილიდან გამომდინარე, ვეყრდნობი ზემოხსენებულ ტერმინთა ადოლფ ჰაინახისეულ (1913) გაგებას, რათა მათი დახმარებით აღვწერო ის მიმართებები, რომლებიც მყარდება უცხოურენოვანი მხატვრული ნაწარმოების აღქმისას: ა) პროტაგონისტებს შორის, ბ) ავტორსა და პროტაგონისტებს შორის, გ) მკითხველსა და პროტაგონისტებს შორის, დ) მკითხველსა და ავტორს შორის.

ფენომენის აღწერა სცდება ამ მიმართებათა ტრადიციულ ინტერპრეტაციას ე.წ. „ღიგეხატუხური სამკუთხედის“ ან „ღიგეხატუხური ოთხკუთხედის“ გაგებით, რამდენადაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვლევის მიზანია ორიენტაციის აღება უცხოურენოვანი ტექსტის ადეკვატურად რეცეფციის პრობლემასა და თარგმანში შესაბამის რელაციათა ანალოგიური სიზუსტით მიწოდების აუცილებლობაზე. საილუსტრაციოდ გამოყენებული მასალა – ერთი თავი (ავტორი მას რიგითი ნომრით – *ოხმოცდამეხთე* – მოიხსენიებს) თანამედროვე გერმანელი ბელეტრისტის, ყოფილი ადვოკატის, *ფეხდინანდ ფონ შირახის* რომანიდან – „ყავა და სიგახეტი“ – ერთობ თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ავტორმა სადა, თითქმის პრიმიტიული ლექსიკური საშუალებებითა და გამჭვირვალე სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით მიაღწიოს ზემოხსენებულ მიმართებათა შორის კონფლიქტის კულმინაციას: იგნორირება მოახდინოს მოლოდინის ჰორიზონტისა, დაარღვიოს კონვენციური მოცემულობები, ყველა სემანტიკური ჩარჩო, წინარეცოდნის ყველა მოსალოდნელი ნორმა და თითქოს შემთხვევით, უპრეტენზიოდ, მაგრამ სინამდვილეში, შესაძლოა, სრულიად გამიზნულად, მეთოდური თანმიმდევრობით მიაღწიოს იმას, რომ სწორედ გაუგებარი, „ანენილი“ ვითარება გახადოს ერთგვარი „გასაღები“ რეალური ინტენციის ამოცნობისა, უპირველესად კი თვით ავტორის მე-ს წვდომისა.

Marina Andrazashvili

**The Relation Between Intention and Conventionality:
Psycholinguistic Aspects of Phenomenon
(Based on Ferdinand von Schirach’s Novel „Kaffee und
Zigaretten“)**

The key terms of the given research – "Intention" and "Conventionality" – have a broad semantic potential, due to which they are found in diverse fields of science. Naturally, the core semes of concepts are preserved, but, in parallel, the general semantics is modified based on the specific features of a concrete field. Correspondingly to its psycholinguistic profile, the given paper is based on Adolf Reinach’s (1913) attitude to the above-mentioned concepts. The aim of the paper is to describe the following relations in the process of perception of a foreign-language literary work: a) Relations between the protagonists, b) Relations between the author and protagonists, c) Relations between the reader and protagonists, d) Relations between the reader and the author.

The description of phenomenon goes beyond the traditional interpretation of the above-mentioned relations based on the "literary triangle" or "literary quadrangle". In this concrete case the research focuses on the issue of adequate perception of a foreign-language text by means of providing precise analogues of corresponding relations in the translated version. The illustrative material is comprised of one chapter (the author mentions this chapter as *Number Forty-one*) from the novel "Coffee and Cigarettes" written by a contemporary German writer, former lawyer, Ferdinand von Schirach. This chapter clearly illustrates how, using plain, almost primitive vocabulary, the author manages to reach the culmination of conflict between the above-mentioned relations: neglect of expectation horizon, violation of conventionality, violation of all semantic frames and expected norms of background knowledge. As if accidentally, without any claim, but, in fact, quite purposefully and methodically, the author transforms an unclear, mixed-up situation into the "clue" for real intention and, above all, the perception of the author’s genuine ego.

თამარ ანთაძე

ვარლამ ჩერქეზიშვილი ბაირონზე

ფრანგი მწერალი ანდრე მორუა ფიქრობს, რომ „XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში იყო სამი მწვერვალი: ბაირონი, ბალზაკი, ტოლსტოი“.

ისტორიკოსი ა. მანფრედი შენიშნავდა: „ღრმა განცვიფრება ბაირონისა, ალბათ, ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა იმ მსგავსი უკმაყოფილებებისა, რომელმაც ევროპის მოწინავე მოაზროვნეები რეალური სამყაროს ხილვისას მოიცვა, რომელიც ასე დიდად განსხვავდებოდა განმანათლებელთა მიერ დაპირებული იდეალური სამყაროსაგან“. ბაირონი არ მალავდა თავის უკმაყოფილებას არსებული ვითარებით, იგი მცირეოდენითაც

არ ცდილა მასთან შერიგებას. მისთვის ყოველთვის უცხო იყო კომპრომისული გადაწყვეტილებანი. იგი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ბუნტარული მიდრეკილების პოეტად დარჩა და თავის მეგობარ შელისთან ერთად, ყოველთვის იბრძოდა რეაქციის შავბნელი ძალების წინააღმდეგ. ბაირონის სიკვდილი საბერძნეთში იყო არა მარტო მისი ბიოგრაფიის გმირული დასასრული, არამედ ისტორიული სიმბოლო.

ის მოწმობდა, რომ საღვთო კავშირის ბატონობის წლებში თავისუფლების ძალები გატეხილი არ იყო და ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნება, წიგნიერი ადამიანი. ის საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა არა მარტო დასავლეთ ევროპის ისტორიაში, არამედ კულტურაში. ის კარგად ერკვეოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ბაირონის შემოქმედებაზე აპელირება. ეს, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამ კუთხით ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი არ ყოფილა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის დაინტერესება ბაირონის ცხოვრებით და მოღვაწეობით, ცხადია, შემთხვევითი არ გახლავთ და დიდი ალბათობით იმასთან უნდა ასოცირდებოდეს, რომ ბაირონის სახით საქმე გვაქვს ბუნტარული მიდრეკილებების პოეტთან. ეს განაპირობებდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ინტერესს.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი კარგად იცნობდა ბაირონის ცხოვრებას და მოღვაწეობას. როგორც კონტექსტიდან ჩანს, მის ყურადღებას უფრო მეტად იპყრობდა ბაირონის ბიოგრაფია, ვიდრე შემოქმედება. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და, ჩვენი აზრით, ორი გარემოებით შეიძლება ყოფილი-

ყო განპირობებული: მას, როგორც პოლიტიკოსს, პირველ ყოვლისა, ბაირონის ბიოგრაფიის პოლიტიკური ასპექტები უფრო აინტერესებდა, ვიდრე მისი შემოქმედება – ეს ერთი; მეორე, მას მოსწონდა ბაირონის აქტიური მონაწილეობა იტალიისა და საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ეს ადვილი გასაგებია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის ინვევდა ვარლამ ჩერქეზიშვილის და, საერთოდ, ქართული საზოგადოების მხარდაჭერას, სიმპათიას და მეტად აქტუალური იყო. ბაირონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის სიმპათიის გასაღები სწორედ აქ ძევს. როგორც კონტექსტიდან ჩანს, ვარლამ ჩერქეზიშვილს ძალიან მოსწონს ბაირონის საქციელი, მისი თანადგომა იტალიისა და საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი და ის ამაში ცამდე მართალი იყო.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ საინტერესო დასკვნა. როგორც ჩანს, ვარლამ ჩერქეზიშვილი საკმაოდ კარგად იცნობდა არა მარტო ბაირონის ცხოვრებას და მოღვაწეობას, მის შემოქმედებას, არამედ საერთოდ ინგლისელ რომანტიკოსებს, პირველ რიგში კი, პერსი ბიში შელისა და ჯონ კიტსს. ეს მისი განსწავლულობის, წიგნიერების კიდევ ერთი არგუმენტია.

Tamar Antadze

Varlam Cherkezishvili on Byron

The paper is of historiographic nature and focuses on Varlam Cherkezishvili's attitude to one of the most outstanding English poets – Georgie Byron. The issue has not been studied until now. Therefore, it represents a novelty. Cherkezishvili was well aware of Byron's works and, presumably, sympathized with the poet. This is partly due to the fact that Byron was actively involved in the national liberation movements of Italy and Greece. These movements were strongly supported by the Georgian society, because national liberation movement was a topical issue for Georgians.

ფატმან ანთაძე-მალაშხია, ქეთევან ნიკოლაძე

ხელისა და ფეხის სპარსულ და ქართულ სახელწოდებათა ნუმერატივიზაციისათვის

ნუმერატივების გამოყენების იდეა საგანთა და სულიერთა თვლას ეფუძნება, ამიტომაც ნუმერატივად ხშირად გვევლინება ისეთ საგანთა აღმნიშვნელი არსებითი სახელები, რომლებიც ფორმითა და სტრუქტურით წაგავს დასათვლელ ობიექტს. არსებითთა ნუმერატივიზაციის საფუძველი ასევე ამ არსებითთა მიერ აღნიშნულ ობიექტთა მიმართებაა იმ ობიექტებთან, რომელთა დასათვლელად გამოიყენება ნუმერატივის კატეგორიაში გადასული არსებითი სახელი. შესაბამისად, ნუმერატივიზაციის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც მეტაფორიზაცია, ასევე მეტონიმიზაცია.

ნუმერატივიზაციას ექვემდებარება სხვადასხვა სემანტიკური კლასის არსებითი სახელები, მათ შორის სომატიზმები. ნუმერატივიზაციის გარდა, ზოგ შემთხვევაში სომატიზმებს ახასიათებს საზომ ერთეულთა მორფოსემანტიკურ თანრიგში გადასვლა. სავარაუდოდ, სომატიზმთა ნუმერატივიზაცია სხვადასხვაგვარი ინტენსივობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ენაში და რიგი სომატიზმებისა მეტადაა ნუმერატივიზაციისკენ მიდრეკილი.

ჩვენ მიერ ურთიერთშეპირისპირებულია ნუმერატივების კატეგორიაში გადასული ხელისა და ფეხის სახელწოდებები სპარსულ და ქართულ ენებში. ამგვარი ერთეულები განხილულია მათი კატეგორიული ცვლილებების ასოციაციური საფუძვლისა (მეტაფორიზაცია vs მეტონიმიზაცია) და სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა თვალსაზრისით.

განხილული მაგალითების მიხედვით, ნუმერატივიზაციის საფუძვლად მეტწილად მეტონიმიზაცია გვევლინება და ხელის სახელწოდება მეტად არის მიდრეკილი ნუმერატივიზაციისაკენ. ქართულ მასალაში წარმოდგენილ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურა გარკვეულწილად განპირობებულია შესატყვის სპარსულ ერთეულთა გავლენით.

Patman Antadze-Malashkhia, Ketevan Nikoladze

On the Numerative Nouns Derived from Persian and Georgian Names for Hand and Foot

The use of numerative nouns is based on the counting of animate and inanimate objects. Therefore, numeratives are often represented by nouns denoting the objects which resemble the counted objects in form and structure. Numerative nouns are based on the relationship between the objects denoted by these nouns and the objects that are counted by means of nouns transferred

into the category of numeratives. Hence, numeratives can be based on both metaphor and metonymy.

Numeratives embrace nouns of diverse semantic classes, including somatic lexical units. Apart from turning into numeratives, certain somatic lexical units transfer into the morphosemantic class of measurement units. Presumably, the intensity of numerativization of somatic units varies from language to language and certain somatic units are more inclined to numerativization. The paper is a contrastive study of Georgian and Persian names of limbs which have fallen under the category of numerative nouns. Such units are analyzed based on the associative nature of the change in the category (metaphorization vs metonymization). These units are also analyzed from the viewpoint of Persian-Georgian language contacts.

Analysis of the empirical material has proved that metonymization is the most widespread reason for numerativization. Research has also proved that the Persian and Georgian names for "hand" are more inclined to numerativization. It should also be mentioned that the semantic structure of Georgian lexical units is, to a certain extent, influenced by their Persian correlates.

ციური ახვლედანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია

აზარტული თამაშები ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიაში

ნაშრომში ჩატარებულია აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული ფრანგულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანალიზი. საანალიზო მასალა დაყოფილია თემატიკურ ველებად და ასევე გამოყოფილია ფრაზეოლოგიური პარადიგმები. აზარტული თამაშების მიმართ არსებულ ფრაზეოლოგიზმებს შორის გამოიყოფა ხუთი თემატური ველი: კარტის, კამათლის, ლოტოს, დომინოს და რულეტის. ამათ შორის ყველაზე პროდუქტიულია „კარტის თამაშთა“ ველი; ამ ველში შემაჯავლი ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება დაიყოს სამ ველად: 1. კარტის თამაშის ტერმინები; 2. ჟარგონიზმები; 3. გადააზრებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც გამოიყენებიან არატერმინოლოგიური მნიშვნელობით, თუმც ეტიმოლოგიურად მომდინარეობენ კარტის თამაშიდან. ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიურ ფონდში აზარტულ თამაშთა ლექსიკისა და ტერმინოლოგიის ფართო წარმოდგენა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საკმაოდ ღრმადაა შექრილი აზარტული თამაშები ადამიანთა ცხოვრებაში.

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Ketevan Gabunia

Gambling in French and English Phraseology

The presented paper deals with the French and English phraseological units related to gambling. The material under the analysis is divided into the thematic fields and the phraseological paradigms are also singled out. Among the keyword phraseologisms for gambling, in the given languages, five thematic areas are identified: card, dice, lotus, dominoes and roulette. Throughout the above mentioned areas, the most productive is the "Card Games" field; The phraseological units in this field can be divided into three subfields: 1. Card Game Terms; 2. Jargonisms; 3. Transferred phrases used in a non-terminological sense, though etymologically derived from the card games. Widespread understanding of the inventory related to the gambling vocabulary and terminology in French and English phraseology leads us to conclude that gambling is deeply ingrained in human lives.

ირაკლი ბათიაშვილი

ფრიდრიხ ნიცშე: ღირებულებათა გადაფასებიდან დემოკრატიის ნეგაციისაკენ

ჩვენი ამოცანაა წარმოვაჩინოთ, არსებითად თუ როგორაა ურთიერთდაკავშირებული ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში მისი ამოსავალი კონცეპტი ღირებულებათა გადაფასების შესახებ და მის მიერ დემოკრატიის სრული მიუღებლობა.

ნიცშეს ფილოსოფიური აზროვნება მიმართულია დასავლური ცივილიზაციის რადიკალური კრიტიკისაკენ, კერძოდ, მის საფუძვლადმდებარე პრინციპებისა და ღირებულებების ტოტალური გადაფასებისაკენ. იგი მკაფიოდ განჭვრეტს მისი თანადროული ევროპული კულტურის დაცემის სიმპტომებს და ადამიანის გადაგვარების პროცესს ე.წ. „უკანასკნელ ადამიანად“.

ნიცშე თავისი ანალიზით ცდილობს გვიჩვენოს, რომ საერთოდ არა-ეგოისტური ანუ ზოგადადამიანური მნიშვნელობის მქონე მორალი საწყისეულად მომდინარეობს სწორედ ჩაგრულის თვითგვემის იმპულსიდან, რომელიც იღებს ე.წ. „არასუფთა სინდისის“ (მქენჯნელი სინდისის) მოჩვენებით სახეს. აქ სიღრმისეულად სახეზეა პათოლოგიური პროცესი: დამონებული ადამიანის ყველა ის აგრესიული იმპულსი, რომელიც ვეღარ პოულობს გამოსავალს გარეთ, განიცდის ჩაბრუნებას მის შიგნით და ადამიანი იწყებს საკუთარი თავის ღრღნას, თხრას, წვალებას; იგი სულ უფრო

და უფრო ღრმად თხრის თავის შიგნით და ასე ჩნდება მის წარმოდგენაში მქენჯნელი სინდისი – არასუფთა სინდისი.

ნიცშეს აზრით, იუდაიზმი და მისგან ამოზრდილი ქრისტიანული რელიგია ამ არასუფთა სინდისზე დაფუძნებული მორალის ანუ მონათა ჯოგური მორალის სისტემატიზებული გამოხატულებაა. შესაბამისად, ქრისტიანობის გაბატონება დასავლურ ცივილიზაციაში ჯოგური ღირებულებების ტრიუმფის მაუნყებელი იყო. ამაშივე უნდა ვეძებოთ თანამედროვე დემოკრატიის გენეზისის სათავეებიც.

ფრიდრიხ ნიცშეს ანტაგონისტური დამოკიდებულება დემოკრატიისადმი მთელი მხატვრულ-ფილოსოფიური რელიეფურობით გამოკვეთილია მის ცნობილ წიგნში – „ასე ლაპარაკობდა ზარატუსტრა“. „თანასწორობის მქადაგებლებო! ტირანის უძლური სიგიჟე ღაღადებს თქვენში „თანასწორობაზე“: ასე იმალება თქვენი მალული წადილი ტირანიისა სათნოების სიტყვების უკან! ...ვინაიდან ასე მეუბნება მე სამართლიანობა: ადამიანები არ არიან თანასწორნი!“ – ასე მიმართავს ნიცშეს ზარატუსტრა დემოკრატიის აპოლოგეტებს.

ამ უთანასწორობის ფილოსოფიის კვინტესენციას შეადგენს ნიცშეს მოძღვრება ზეკაცის შესახებ. ეს უკანასკნელი უმაღლესი „წერტილია“ იმ პროცესისა, რასაც ნიცშე იაზრებს როგორც ადამიანის მიერ საკუთარი თავის გადალახვისა და საკუთარ თავზე აღმატების რთულ ტრანსფორმაციულ პროცესს.

ამგვარად, ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური აზროვნების განზომილებაში ღირებულებათა გადაფასების კონცეფცია, მისი სიღრმისეული ონტოლოგიური ანტიდემოკრატიზმი და მისი მოძღვრება ზეკაცის შესახებ ერთ ორგანულ მთლიანობას შეადგენს და თითოეული ამ „ელემენტის“ სრულფასოვანი გასაზრისება შესაძლებელია მხოლოდ ერთმანეთთან შინაგან კავშირში.

Irakli Batiashvili

Friedrich Nietzsche: from the transvaluation of values to the negation of democracy

Our task is to represent an essential interrelation between Friedrich Nietzsche's concept of the transvaluation of values and the full unacceptability of democracy by him.

Nietzsche's philosophical thinking is directed to the radical criticism of a western civilization and namely, to the total transvaluation of its basic principles and values. He has a distinct insight into the symptoms of the decline

of an European culture and into the human-degradation process to so-called "The last man".

Nietzsche tries to show, that non-egoistic moral, i.e. a moral of universal-human importance originally derives from the slave's impulse of self-torture, which takes the illusory image of a bad conscience (a remorse).

By Nietzsche both Judaizm and Christianity are the systematic expression of moral, i.e. slave's herd moral, that is founded on this bad conscience. Appropriately, the achievement of a dominance by Christianity in a western civilization indicated the herd moral's triumph. Again here we must look for the sources of the genesis of a modern democracy.

Friedrich Nietzsche's antagonistic position to a democracy is distinctly represented with all belles-lettres power and philosophical depth in his well known book – "Thus spoke Zarathustra". "The impotent madness of a tyrant screams in you about an "Equality"" – so addresses Zarathustra to the defenders of democracy.

The quintessence of this philosophie of "Unequality" consists in Nietzsche's concept about "Übermensch". It is a peak of the process, that he comprehends, as a human's self-overcoming process.

So, in the dimension of Nietzsche's philosophical thinking a concept of transvaluation, his deep ontological anti-democraticizm and his concept about "Übermensch" belong to one organic entirety and therefore complete comprehension of each single "element" is possible only in inner interrelation between them.

მიხეილ ბარნოვი

სამშობლოს კონცეპტი ჩიკანო-ამერიკელების იდენტობაში

სამშობლოს კონცეპტი მექსიკური წარმომავლობის მოქალაქეების, ანუ ჩიკანო-ამერიკელების იდენტობის ხერხემალია. მექსიკასთან ომის მოგების შემდეგ (1846-1848) ამერიკამ სამხრეთ-დასავლეთის შტატები (1848 წლამდე ჩრდილოეთ მექსიკა) შემოიერთა. ანგლოამერიკულ ენობრივ და ეთნიკურ გარემოში მოხვედრილმა მექსიკელებმა შეინარჩუნეს ენა და მესხიერება დაკარგული სამშობლოს შესახებ. ნიუმექსიკოსა თუ კალიფორნიის შტატებში მცხოვრებ მექსიკელებს ჩამოუყალიბდათ გაორებული დამოკიდებულება სამხრეთ-დასავლეთის მიმართ. ერთი მხრივ, ჩიკანოები რეგიონის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდენ; თუმცა მეორე მხრივ,

ჩიკანოები ესპანელი კონკისტადორებისა და მექსიკელი ემიგრანტების შთამომავლებიც იყვნენ და სამხრეთ-დასავლეთში თავს უცხოოდ გრძნობდნენ. მოხსენებაში განხილულ იქნება ანგლოამერიკული გავლენის პირობებში ჩიკანოების სამხრეთ-დასავლეთთან ემოციური და ინტელექტუალური გაუცხოების პრობლემა. სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის ეპოქაში ჩიკანო-ამერიკელები შეეცადნენ გაცოცხლებინათ სამხრეთ-დასავლეთის (კალიფორნია, არიზონა, ნიუმექსიკო, ტექსასი), როგორც მათი დაკარგული სამშობლოს, კონცეპტი. 1970-იან წლებში ჩიკანო-ამერიკელი მწერლების შემოქმედებაში სამხრეთ-დასავლეთი სამშობლოს მრავალშრიან ხატად იქცა. მოხსენებაში განხილულ იქნება: ჩიკანო-ამერიკელების სამშობლოს კონცეპტის მრავალსახეობა, ჩიკანო-ამერიკელი მწერლების შემოქმედებაში სამშობლოს კონცეპტის ასახვის თავისებურებები და სამხრეთ-დასავლეთის მნიშვნელობა მექსიკური წარმოშობის მქონე ამერიკელთა კოლექტიურ მეხსიერებაში.

Mikheil Barnovi

Image of Homeland in Chicano Identity

Spanish, Mexican and Native American origins made a significant impact on the Chicano population of American Southwest. The paper examines Chicanos distinctive image of the Southwest: to them, Southwest is more than just their place of residence; it is their lost homeland, the conquered northern half of the Mexican nation. The aim of this paper is to analyze beliefs that have had a formative and long-lasting influence on the Chicano identity and their collective mind.

Being descendants of Spanish settlers and immigrants from Mexico one hand, and being off-springs of Mexican and Southwestern Indians, Chicanos have had contradictory images and ambivalent feelings about the American Southwest: Texas, New Mexico, Arizona, California (Northern Mexico before 1848). In 1848, after the United States-Mexican War, Chicanos became "foreigners" in their own land, but same time they considered themselves to be native to the region. The focus will be on the relationship between Chicanos and the Southwest. The purpose of this paper is to analyze how Mexican American novels of 1970s reflected Chicano experience and unique image of the concept of the Lost Homeland.

ნათა ბასილაია

ციური სფეროს ნომინაციები ი. ბუნინის პოეზიაში

ი. ბუნინის პოეტური მანერის თავისებურება ხასიათდება მისი შემოქმედებისათვის მთავარი სიტყვების ციურ სფეროსთან დაკავშირებული სემანტიკური მოცულობის გაფართოებით, რადგან ეს სიტყვები ერთდროულად ორივე კონოტაციური მუხტის მატარებელი ხდება (ისინი დამუხტულია როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად). ხანდახან კონოტაციურად დამუხტულ სიტყვაში ხდება „გადართვა“ დადებითიდან უარყოფით რეგისტრში.

Nata Basilaia

Celestial Spheres Nominations in Bunin's Poetry

The peculiarity of Bunin's poetic manner is characterized by the expansion of the semantic volume of the main words related to the celestial sphere of his work, as these words simultaneously carry both connotative charges (they are charged both positively and negatively). Sometimes in a connotatively charged word, there is a "switch" from positive to negative.

მიხეილ ბახტაძე

პოლონეთის გენერალური შტაბი რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში Archiwum Akt Nowych მრავლად ინახება დოკუმენტები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვანვდიან როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ასევე XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოსა და ქართული ემიგრაციის შესახებ. ამჯერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ პოლონეთის გენერალური შტაბის II განყოფილების მიერ მომზადებულ საინფორმაციო რეფერატებზე (Referat informacyjny). ჩვენთვის საინტერესოა ამ გაყოფილების მიერ 1921 წელს მომზადებული საინფორმაციო რეფერატები. მათში მოკლედ არის განხილული 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პროცესი. ეს რეფერატები საინტე-

რესო გარკვეული დეტალების დაბუსტებისთვის. საინფორმაციო რეფერატები გვინტერესებს ორი მიმართულებით: პირველი, რა იცოდა პოლონეთის გენშტაბმა, ანუ რამდენად იყო ინფორმირებული; მეორე, რამდენად შეესაბამებოდა რეალობას ის ცნობები, რომლებიც ამ რეფერატებში იყო, ანუ ჰქონდა პოლონეთის გენშტაბს. ხუთ საინფორმაციო რეფერატში მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს ომი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მცირე და უმნიშვნელო უზუსტობების გამოკლებით პროცესი სწორად არის აღწერილი. მართებული მთავარი დასკვნა – საქართველოში საბჭოთა რუსეთის ძალების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. რეზიუმეში მოყვანილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ პოლონეთის გენერალური შტაბი კარგად იყო ინფორმირებული 1921 წელს საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ. რეფერატები ადასტურებს პოლონეთის სამხედრო და, ალბათ, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესს ამ რეგიონისა და, განსაკუთრებით, საქართველოსადმი.

Mikheil Bakhtadze

The General Staff of Poland on the Russian-Georgian War of 1921

Polish Archive of New History (Archiwum Akt Nowich) keeps a lot of documents providing data about Georgia in the 1920s and 30s. This material contains the information about the Democratic Republic of Georgia as well as the activity of Georgian immigrants in Poland and the national-liberation movement that followed the country's Sovietization. This time we want to focus on Information prepared by the General Staff of Poland. We are interested in the information s prepared by this department in 1921. They briefly discuss the Russian-Georgian war of 1921 and the establishment of Soviet rule in Georgia. These references are interesting for clarifying certain details. We are interested in information references in two directions. First, what the Polish General Staff knew or how well informed it was. Second, to what extent did the information contained in these s, or the Polish General Staff, correspond to reality? Five informationals examined the Russian-Georgian war and the establishment of Soviet rule in Georgia. With the exception of major and minor inaccuracies, the weight of the process is described correctly. The main conclusion is also true - Establishment of Soviet power by Soviet Russian forces in Georgia.

The information in the confirms that the Polish General Staff was well informed. The reflection in the s of the events taking place in Georgia in 1921 confirms the interest of the Polish military and probably political leadership in this region and in particular in Georgia.

სალომე ბედუკაძე

ქართული პოეზიის როლი ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში

კვლევის საგანია ქართული პოეზიისა და, ზოგადად, საქართველოს როლის განსაზღვრა ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში, ხოლო საკვლევი მასალა – მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელთა ადრესატებიც მისი ქართველი მეგობრები არიან.

ეს თემა ყოველთვის ინვევდა მკვლევართა ინტერესს. იგი აქტუალობას არ კარგავს დღესაც. თუკი გავითვალისწინებთ ბორის პასტერნაკის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი და იმას, თუ რა როლს აკისრებდა თავად პოეტი თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ნინა ტაბიძეს, თბილისს და მთლიანად საქართველოს, ნათელი გახდება ის ფაქტი, რომ, სანამ ისაუბრებენ პასტერნაკზე, იქამდე არც აღნიშნული საკითხი დაკარგავს აქტუალობას. ამასთანავე, შეუძლებელია XX საუკუნის 30-50-იანი წლების ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე სათანადო წარმოდგენის შექმნა ამ მიმონერის გარეშე.

კვლევის მთავარი ამოცანაა ქართული პოეზიის როლის განსაზღვრა და ქართული რეალიების გამოყოფა ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში.

მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: საქართველოს როლი ბორის პასტერნაკის შემოქმედებაში; რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოეტის ცხოვრებაში; მისი დამოკიდებულება ქართველი მოღვაწეებისა და მათი შემოქმედებისადმი; წერილებში ასახული თარგმნის პროცესი; თარგმანთა პასტერნაკისეული შეფასებები; მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური და პოლიტიკური შეხედულებები.

ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბორის პასტერნაკის მიმონერა ქართველ ლირიკოსებთან არსებითად მნიშვნელოვანია როგორც რუსი მწერლის შემოქმედების შესწავლისას, ისე ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

Salome Bedukadze

The role of Georgian poetry in Boris Pasternak's work

The research object is the determination the role of Georgian Poetry and in general of Georgia in the works of Boris Pasternak. And the research material

– that part of the writer’s epistology heritage where the addressees are his Georgian friends.

The mentioned theme has always arisen the interest of researchers and even today it is still in progress.

If we foresee the disposition of Boris Pasternak to our country and its people and the fact how he imposed Paolo Iashvili, Titsian Tabidze, Nina Tabidze, Tbilisi and throughout Georgia in his work it will help us to make clear that until Pasternak is being talked the above mentioned issue won’t lose its actuality.

Besides, it’s impossible to have a relevant idea about the first half XX century Georgian- Russian literary relationship without this correspondence.

The main task of the work is to determinate the role of the Georgian Poetry and to emphasize Georgian realities in Boris Pasternak's creative work. As much as above mentioned correspondence of Boris Pasternak to Georgian lyric poets is essential importance as to learn the work of the Russian writer as for the history of Georgian literature. His Personality and outlook is well seen in these letters.

ირაკლი ბრაჭული

პრაქსისი, ფილოსოფია და პოეზისი (ქართულ-ამერიკული პარალელები)

უსასრულობის თეორია ბერძნულ ფილოსოფიაში არისტოტელეს ტელეოლოგიურ კონცეფციაში იქნა გაფორმებული. დეკარტემ უსასრულობის კოგნიტური კონცეფცია ჩამოაყალიბა. ამ კონცეფციამ კანტის ტრანსცენდენტალიზმზე გავლით ჰეგელთან უსასრულო დასკვნის სახე მიიღო. ჯონ დიუიმ დასავლურ ფილოსოფიაში გამოავლინა რაციონალური ვოლუნტარიზმის პრინციპი.

ამერიკულმა პრაგმატიზმმა ეს პრინციპი შეცვალა პრაქსისის პრინციპით, ხოლო ჩარლზ სანდერს პირსმა უსასრულო კრეატიული სემიოზის კონცეპტით. უსასრულობა ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციაში წარმოდგენილია ნეოპლატონიზმის კონცეფციით (იოანე პეტრიწი), ალეთეოლოგიური რეალიზმისა და უსასრულო დასკვნის თეორიის სახით. პოსტმოდერნულ მოდიფიკაციაში პრობლემამ გადაინაცვლა პოეტის ახალ სტრატეგიაში. ამ სტრატეგიის მიხედვით ხდება ნაწარმოების სიუჟეტის შეჩერება და პერსონაჟთა ურთიერთობის ინტერტექსტუალური კრეატიული მოდელირება.

Irakli Brachuli

Praxis, Philosophy end Poiesis (Georgian-American Parallels)

In Greek philosophy theory of infinity was formed in a teleological concept of Aristotle. Descartes established a cognitive conception of infinity. This conception, through Kantian transcendentalism, was shaped as the true infinite conclusion by Hegel. John Dewey in Western Philosophy revealed a principle of rational voluntarism; American pragmatism changed this principle into principle of praxis, and Charles Sanders Pierce-by concept of infinite creative semiosis.

In Georgian philosophy the infinity is presented by Neo-platonic conception (Joanne Petrizi), aletheological realism and by a theory of infinity conclusion. In the postmodern modification the problem displaces in a new strategy of poetics. According this strategy a plot of work is stopped and an inter-textual creative modeling of relations of characters takes place.

ხათუნა ბუსკივაძე

კოდური გადართვის გამოყენების სიხშირე და ფუნქციები ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში

არსებული კვლევა მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს თბილისის სხვა-დასხვა უნივერსიტეტში ინგლისურის ზოგადი კურსის ლექტორების კოდური გადართვის გამოყენების სიხშირე და ფუნქციები ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების მაგალითზე. კვლევა ეყრდნობა სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებს (მეიერს-სკოტონი, 1993; ფერგუსონი, 2009, და ა.შ.). კითხვარი შედგენილია კანაგარაჯაჲის კოდური გადართვის გამოყენების ფუნქციების კლასიფიკაციაზე დაყრდნობით (კანაგარაჯაჲი, 1995). კოდური გადართვის გამოყენების ფუნქციები საკლასო ოთახში (კვლევა ჩატარდა შრი-ლანკაში, ჯაფნას საკლასო ოთახებში) მიკროფუნქციების კატეგორიაში ერთიანდება და იყოფა ორ ფართო კატეგორიად: პირველი კატეგორია აჩვენებს, საკლასო ოთახში რა ფუნქციას ასრულებს კოდური გადართვა საგაკვეთილო მასალის გადმოსაცემად, ხოლო მეორე კატეგორია საკლასო/საგაკვეთილო პროცესის მართვას ეხება.

კვლევის სიახლე: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კოდური გადართვა წოვათუშურ – ქართულ ბილინგვურ დისკურსშია შესწავლილი. თუმცა ეს საკითხი ნაკლებად შესწავლილია ინგლისურ-ქართული საგანმანათლებლო დისკურსის განხრით და სათანადო ყურადღებას საჭიროებს.

მეთოდოლოგია: კვლევა რაოდენობრივი ხასიათის იყო. კვლევაში მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის, ინგლისურის ზოგადი კურსის 80 ლექტორი.

კვლევაში აჩვენა, რომ ლექტორების უმრავლესობა აუდიტორიაში იყენებს დაახლოებით 80%-ით სამიზნე, ინგლისურ ენას, მათი ქართულ ენაზე გადართვის სიხშირე დაახლოებით 20%-ია. სალექციო მასალაზე მუშაობისას და მეცადინეობის წარმართვის პროცესში ინგლისურიდან ქართულ ენაზე გადართვა სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვით ხასიათდება. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ლექტორების უმრავლესობა კოდური გადართვის

ქცევას დადებითად აფასებს: 1. სალექციო მასალაზე მუშაობის პროცესში. მაგ.: სტუდენტებისთვის სიტყვის ქართული განმარტების მისაცემად, ქართული კულტურული შესაბამისობის გამოხატვისას, სტუდენტებთან წყვილში ან ჯგუფური მუშაობისას; 2. სალექციო მეცადინეობის წარმართვის პროცესში. მაგ.: სტუდენტებთან არასალექციო თემ(ებ)ის განხილვის დროს. ლექტორების უმრავლესობა კოდური გადართვის ქცევას უარყოფითად აფასებს: 1. მაგ.: წინა სალექციო მასალის მიმოხილვისას, სალექციო მასალის ახსნის პროცესში; 2. მაგ.: ახსნილი მასალის მიმოხილვის დროს, სტუდენტის შექების დროს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესი კოდური გადართვის ქცევით ხასიათდება. კვლევის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ კოდური გადართვის გამოყენების ფუნქციების კლასიფიკაცია ქართულ საგანმანათლებლო დისკურსში. ფუნქციები, ძირითადად, მთარგმნელობითი, საკომუნიკაციო, სოციალური ხასიათისაა, გამოიკვეთა კოდური გადართვის მიმართ ლექტორების განწყობაც.

საკვანძო სიტყვები: კოდური გადართვა, ინგლისური, როგორც უცხო ენა (EFL), საგანმანათლებლო დისკურსი.

Khatuna Buskivadze

The Frequency and Functions of Using Code-switching in Georgian Educational Discourse

The aim of the paper is to investigate the frequency and functions of using Code Switching (CS) in Georgian educational discourse. Practice research teaching EFL in some universities of Georgia. The paper uses the concepts of the several scholars (Myers-Scotton, 1993; Ferguson, 2009; etc.) The questionnaire is based on the classification – functions of using CS in EFL (Canagarajah, 1995).

The study analyses codeswitched utterances in ESL classes of 24 secondary school teachers in Jaffna (Sri Lanka). Canagajarah listed two categories (Classroom Management and Content Transmission) and their micro-functions of classroom CS.

The novelty of the research: Frequency and Functions of using CS are only studied on the example of Tsovatush-Georgian bilingual discourse but not in English Georgian educational discourse.

The methodology: the quantitative research was conducted among 80 lecturers (General English Course, EFL) of some universities in Tbilisi.

Khatuna Buskivadze 2 The research demonstrated that the majority of lecturers use the target, English language in the classroom, approximately 80% and 20% of mother tongue. The processes of Classroom Management and Content Transmission are characterized by various functions of using CS in Georgian Educational discourse. The research data showed that the majority of the lecturers had a positive attitude towards 1. Content transmission: giving Georgian definition of the word, negotiating cultural relevance, unofficial student collaboration; 2 Classroom management: unofficial interactions. The majority of lecturers had a negative attitude towards: 1. Opening the class, 2. Reviewing, teacher Compliments.

Overall, the data shows that EFL lecturers use CS and its functions can be categorized in Georgian educational discourse. The study argues that codeswitching might well be a socially relevant teaching strategy characterized by communicative and translation purposes, the lecturers' attitudes towards using CS is obvious.

Key words: Code-Switching, EFL, Educational Discourse.

ხატია ბუსკივაძე

კონტრასტული დისკურსის მარკერების გრამატიკულ-პრაგმატიკული ფუნქციურობის შეპირისპირებითი ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში ტოქშოუს მაგალითზე

სტატია მიზნად ისახავს კონტრასტული დისკურსის მარკერების ფუნქციურობის კვლევას ამერიკული (ელენის შოუ) და ქართული (ნანუკას შოუ) ტოქშოუების მაგალითზე. ნაშრომის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს ფრეიბერის ტაქსონომია, რომელიც დისკურსის მარკერებს იკვლევს მათი პრაგმატიკული და მეტალინგვისტიკური ფუნქციების მიხედვით.

ფრეიზერის გრამატიკულ-პრაგმატიკული თეორია შეისწავლის გარკვეულ კონტექსტში აქტუალიზებულ ენას და დაინტერესებულია ტექსტის კონტექსტური მნიშვნელობით. სტატია მიზნად ისახავს: (1) დაადგინოს, რომელი კონტრასტული დისკურსის მარკერები გამოიყენება ტოქშოუს დისკურსში; (2) განმარტოს მოსაუბრეების საკომუნიკაციო განზრახვა მათი გამოყენებული კონტრასტული დისკურსის მარკერების მიხედვით; (3) უზრუნველყოს ინგლისური და ქართული დისკურსის მარკერების შეპირისპირებითი ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი.

თვისებრივი კვლევის ანალიზმა გამოავლინა თითოეული ტიპის დისკურსის მარკერის გრამატიკულ-პრაგმატიკული ფუნქციურობის ზოგადი ტენდენციის მსგავსება/განსხვავება ამერიკული და ქართული ტოქშოუების 5-5 შემთხვევით შერჩეული გადაცემის დისკურსში. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კონტრასტულ დისკურსის მარკერებს ორივე ენაში ერთი და იგივე სინტაქსური პოზიცია აქვთ და არ არღვევენ ფრეიზერის ფორმულებს S1.DM+S2 და S1,DM+S2. მათი გამოყენება წინადადებაში ნებაყოფლობითია და ისინი ზეგავლენას არ ახდენენ წინადადების მართებულობაზე, არ მონაწილეობენ წინადადების კონცეპტუალური მნიშვნელობის აგებაში.

გრამატიკულ-პრაგმატიკული ანალიზის მიხედვით, კონტრასტული დისკურსის მარკერები გამოხატავენ სხვადასხვა სახის კონტრასტს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული კონტრასტული კავშირებია:

1. სეგმენტებს შორის არსებული ისეთი სახის შეპირისპირება, როდესაც S2 (მართებული) პირდაპირ ან ირიბად უარყოფს S1 (მცდარ) გამოთქმულ აზრს. ორივე ენაში ამ ფუნქციას, ძირითადად, *but* - „მაგრამ“ ასრულებს. ქართულში მსგავსი ფუნქციის მატარებელია სხვა კონტრასტული დისკურსის მარკერებიც - „ხოლო“, „კი“;

2. S1 (მოსაუბრის გამოთქმულ აზრს) S2 (მსმენელის) აზრი ეწინააღმდეგება. ინგლისურში მსგავს ფუნქციას *however* ავლენს, ქართულში კი „თუმცა“, „მიუხედავად იმისა“, „კი, მაგრამ“;

3. S2 აკორექტირებს/ასწორებს S1 გამოთქმულ აზრს. ქართულში გამოიყენება „არამედ“, „თუმცა“, „მეორე მხრივ“, ინგლისურში *but, instead, in comparison, contrversely, in contrast, on the other hand*;

4. S1 მოცემული პირობა არ შესრულდება („მაშინაც კი“ - *even so*), თუ S2 შესრულდება. „კი“ და *even so*, როგორც წესი, სხვა კონტრასტულ დისკურსის მარკერთან კომბინაციაში გვხვდება წინადადებაში - „-ც კი“, *but even so*;

5. დისკურსის მომდევნო სეგმენტი (S2) წინამდებარე სეგმენტის ნაცვლად (S1).

ამ ფუნქციის შემსრულებლად ქართულში ვიყენებთ „ნაცვლად“, „არამედ“, ინგლისურში *instead, rather (than)*.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, კვლევამ აჩვენა, რომ კონტრასტული დისკურსის მარკერების გრამატიკულ-პრაგმატიკული ფუნქციურობა ორივე ენაში მსგავსია. საკვანძო სიტყვები: დისკურსის მარკერები, კონტრასტული დისკურსის მარკერები, კონტექსტი, პრაგმატიკული ფუნქციები, ტოქშოუ.

Khatia Buskivadze

The Comparative Analysis of Contrastive Discourse Markers Grammar-Pragmatic Functionality in English and Georgian Languages in Talk-Show Discourse

This paper investigates the use of contrastive discourse markers in two American (The Ellen Show) and Georgian (Nanuka’s Show) talk-shows. The study is specifically based on Fraser’s taxonomy of discourse markers according to their pragmatic and metalinguistic functions. This theoretical framework is concerned with language in use, giving more importance to the context than to the text of utterances. The article discusses: (1) the contrastive DMs (discourse markers) used in this specific discourse; (2) provides a thorough analysis of the addresser’s communicative intentions based on their choice of CDMs (contrastive discourse markers); (3) identifies main functional (and linguistic) characteristics of English contrastive DMs in comparison to their selected Georgian compatible equivalents.

Findings of qualitative analysis reveal some similarities and differences regarding the ratio of using each type of CDMs in American and English Talk-show discourse (the case of 5-5 randomly chosen episodes). The empirical study revealed the similarity of the syntactic and linguistic characteristics of the CDMs in both languages. They could be presented by Fraser’s contrastive discourse markers syntactic patterns S1, DM+S2, S1.DM+S2. CDMs have only the procedural meaning and they do not invest in the semantic meanings of the utterances that host them.

The grammar-pragmatic analysis of contrastive discourse markers revealed the variety of contrastive relations between the segments of the discourse:

1. The succeeding segment (S2) is “in contrast” with the preceding segment (S1) –but in English, „მაგრამ“ [magram], „ხოლო“ [kholo], „კი“ [ki], in Georgian;

2. The succeeding segment (S2) rejects the preceding segment (S1). The rejection is made by the listener in response to the prior idea (S1) of the speaker.

ker - however in English; „თუმცა“ [tumtsa], „მიუხედავად იმისა“ [miukhedavad imisa], „კი, მაგრამ“ [ki magram] in Georgian;

3. The succeeding segment (S2) corrects the preceding segment (S1) - but, instead, in comparison, conversely, in contrast, on the other hand in English. “-k-’—”[aramed], “_m’-”[tumtsa], „მეორე მხრივ“ [meore mkhriv] in Georgian;

4. The preceding segment (S1) is not done even though the succeeding segment (s2) is followed – even though/even so in English; „მაშინაც კი“ [mas-hinats ki], „-ც კი“ [-ts ki];

5. The succeeding segment (S2) instead of the preceding segment (S1) – instead (of), rather (than) in English; „ნაცვლად“ [natsvlad], „არამედ“ [aramed] in Georgian.

The study revealed the similarity of main functional (and linguistic) characteristics of English contrastive DMs in comparison to their selected Georgian compatible equivalents.

Key words: discourse markers, contrastive discourse markers, context, pragmatic functions, talk-show

ნანა გაფრინდაშვილი

სოცრეალისტური კანონი: საბჭოთა კულტურის პოლიტიკა ლიტერატურული კომპარატივისტიკის პრაქტიკის თვალსაზრისით

ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერის მხატვრულ-ესთეტიკური ფასეულობების ფორმირებაში, კულტურა დიალოგური ფენომენია და, ამდენად, ლიტერატურის განვითარება კულტურათა დიალოგის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც, როცა მიზანმიმართულად იზღუდება ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის ღიაობა და კონტაქტები.

საბჭოთა რეჟიმის კულტურის პოლიტიკა ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით ხორციელდებოდა: საგარეო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა და საშინაო კულტურულ-ლიტერატურული პოლიტიკა.

საგარეო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას, ძირითადად, განსაზღვრავდა კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური კურსი, ხოლო საშინაო კულტურულ-ლიტერატურულ პოლიტიკას – კომუნისტური პარტიის საშინაო პოლიტიკის კურსი. საბჭოთა კავშირის იდეოლოგიები ცდილობდნენ, ეროვნულ კულტურათა შერწყმის გზით მიეღოთ ახალი ერი – საბჭო-

თა ერი და ახალი კულტურა – საბჭოთა კულტურა. აქედან გამომდინარე, დიდ ენერგიასა და ფინანსებს ხარჯავდნენ, დაეახლოებინათ ერთმანეთი-სათვის მექანიკურად და ძალადობრივად გაერთიანებული საბჭოთა რეს-პუბლიკების ეროვნული კულტურები და ლიტერატურები, გაელრმავებინათ საბჭოთა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობები და პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა. სწორედ ამიტომ არსებობდა საბჭოთა პე-რიოდში საბჭოთა ხალხებს შორის ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურე-ლი ურთიერთობები, რომლებიც მკვეთრად იდეოლოგიზებული იყო, ხში-რად ხდებოდა საეჭვო მხატვრული ლიტერატურული ღირებულებების მქო-ნე ნაწარმოებების პროპაგანდა და ქეშმარიტი ფასეულობების მიჩქმალვა, მაგრამ ქეშმარიტი შემოქმედები, მწერლები და მთარგმნელები ხშირად ახერხებდნენ ცენზურის მარწუხების გარღვევას და ქეშმარიტი იდეურ-ეს-თეტიკური ფასეულობების გატანასა და ქადაგებას.

Nana Gaprindashvili

Method of Social Realism: Policy of Soviet Culture in Terms of the Practice of Comparative Literature

Literary-cultural relations are of critical importance for the formation of aesthetic values in the nation; culture is a dialogue-based phenomenon and, therefore, development of literature is unimaginable without a dialogue of cultures at any stage of societal development, including circumstances of a totalitarian regime where contacts and openness of literature, and of culture in general, are intentionally limited.

The policy of the Soviet culture proceeded in two major directions: foreign cultural-literary policy and domestic cultural-literary policy. The foreign cultural-literary policy was largely determined by the foreign policy vector of the Communist Party, while the domestic cultural-literary policy was defined by the domestic policy vector of the Communist Party. Masterminds of the Soviet ideology made efforts to create a new nation – the Soviet nation and a new culture – the Soviet culture. Therefore, they put a lot of energy and financial resources into bringing together national cultures and literatures of Soviet republics that had been mechanically and forcefully unified, and to enhance literary relations and translational activity of the Soviet people. This is why extensive and distinctly ideological literary and cultural relations among soviet nations were in place in the Soviet period. Often, works of questionable literary value were actively promoted, while those of true value were underestimated. Though not in-

frequently, prominent writers and translators were to break through the grip of censorship and provide genuine ideological-aesthetic values.

თამარ გელაშვილი, თათია სიბაშვილი

უილიამ შექსპირი, როგორც პაროდის ობიექტი ჯეიმზ ჯოისის რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“

ჯეიმზ ჯოისის ბოლო რომანი „ღამისთევა ფინეგანისათვის“ კაცობრიობის ისტორიის ირონიულ-პაროდული გააზრების მცდელობაა, რომლის სქემას ჩეპალიზოზში მცხოვრები ლუდხანის მეპატრონის, ჰამფრი ჩიმპდენ ეარვიკერისა და მისი ოჯახის ერთი ღამე წარმოადგენს, თუმცა მრავალი პარალელისა თუ ალუზიის გამოყენებით მკითხველისათვის ამკარა ხდება, რომ ეარვიკერი და მისი ოჯახი არქეტეპული ოჯახის სახეა და ჯოისის მიზანი ერთი ოჯახის ამბის მოყოლა კი არ არის, არამედ კაცობრიობის ისტორიის შექმნა. ირონიულ-პაროდული ეფექტის მისაღწევად ჯოისი ბევრ მეთოდს იყენებს, მათ შორის კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სხვადასხვა ლიტერატურული, მითოლოგიური თუ ბიბლიური ალუზიებით თამაშია.

იმ ავტორებისა და ნაწარმოებების რაოდენობა, რომელთაც ჯეიმზ ჯოისი „კაცობრიობის ისტორიის“ შესაქმნელად იყენებს, ვრცელია, რაც ჯოისის არა მხოლოდ დიდ ნაკითხოებაზე, არამედ ფენომენალურ მესხიერებაზეც მეტყველებს. რომანში „ღამისთევა ფინეგანისათვის“ ისეთი ცნობილი ავტორების გვერდით, როგორებიც არიან უილიამ შექსპირი, ჯონათან სვიფტი, ლორენს სტერნი, უილიამ ბატლერ იეიტსი, ასევე დღესდღეისობით სრულიად მივიწყებული ავტორებიც ჩანან, მაგალითად ჯეიმზ კლარენს მანგანი ან შერიდან ლე ფანუ. ზოგი ავტორთაგანი მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ გაიელვებს ნაწარმოებში, ზოგიერთი კი ნაწარმოების რთული მხატვრული ქსოვილის მნიშვნელოვან შიდა შრეს წარმოქმნის.

ჯოისის მთელი შემოქმედება გაჯერებულია შექსპირული ალუზიებით. ისეთ ნაკლები მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებშიც კი, როგორიცაა „დუბლინელები“, მკითხველი გვერდს ვერ აუვლის მათ, და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რომანების წერისას ჯოისს კიდევ უფრო გაუმძაფრდა შექსპირთან დაპირისპირების სურვილი. შექსპირი, ჯოისის აზრით, მოიაზრება როგორც მამა ფიგურა, რომლის დაძლევა/გადალახვითაც მიიღწევა შემოქმედებითი თავისუფლება, რომელიც შექსპირული ტექსტების პაროდირებაში გამოიხატება.

წინამდებარე სტატიაში განხილულია შექსპირული ალუზიებიდან ორი მთავარი ჯგუფი, რომლებიც იმეორებენ რომანის მთავარ თემებს:

1. „მამის“ წინააღმდეგ ამბოხი („ჰამლეტი“, „იულიუს კეისარი“).
2. სიზმრისეული სამყარო, რომელშიც რომანის მოქმედება მიმდინარეობს („ზაფხულის ღამის სიზმარი“).

ამრიგად, შექსპირის ტექსტი ჯოისის რომანის ერთ-ერთი შრეს წარმოქმნის, რომელიც ნაწარმოებში დასმულ პრობლემატიკას ეხმიანება, ამასთანავე, ამ ტექსტების პაროდირებით ჯოისი მკაფიოდ აჩვენებს, თუ რაოდენ დაშორებულია მეოცე საუკუნის მოდერნიზმის ეპოქა თავისი კრიზისული მსოფლალქმით მაღალი რენესანსული იდეალებისაგან.

Tamar Gelashvili, Tatia Sibashvili

William Shakespeare as an object of Parody in James Joyce’s Finnegans Wake

Finnegans Wake, the last and most enigmatic novel by the Irish writer James Joyce is an attempt to view the history of mankind through irony and parody. The scheme that Joyce uses is of a Family, living in Chapelizod, but through the numerous parallels and allusions it becomes clear, that the Earwickers are an archetypal image of a family and Joyce’s aim is to create the history of mankind. In order to achieve the effect of parody and irony, Joyce employs numerous methods, out of which the usage of literary, mythological and biblical allusions are most noteworthy.

The number of authors and works that Joyce uses in Finnegans Wake is vast, which shows not only Joyce’s knowledge of the texts, but his phenomenal memory as well. Finnegans Wake alludes to such important writers as William Shakespeare, Lawrence Sterne, William Butler Yeats as well as such authors, which are forgotten nowadays – James Clarence Mangan or Sheridan Le Fanu. Some authors are only mentioned a few times, while others play an important role in the creation of the intertextuality of Finnegans Wake.

Joyce’s works are full of Shakespearean allusions, which is quite vivid even in Dubliners and thus, it is no wonder that the will of overcoming Shakespeare as a Father figure became even more intense, while working on his novels. Joyce believed that only through overthrowing Shakespeare is creative freedom achievable, and his rebellion is expressed in the parody of Shakespearean texts.

The present article deals with two groups of Shakespearean allusions, which highlight the main themes of the novel:

1. Rebellion against the Father (Hamlet, Julius Caesar)
2. Dream World, where the action of the novel takes place (A Midsummer Night's Dream) Thus, Shakespearean text not only creates an important layer for Joyce's text, echoing the problems/themes of the novel but through parody, Joyce shows how far the modernist epoch, with its critical worldview, stands from the ideals of High Renaissance.

მანანა გელაშვილი

„ჰამლეტი“ როგორც ჯოისის „ულისეს“ ინტერტექსტი

ჯოისის „ულისე“ მრავალშრიანი ინტერტექსტუალური ნაწარმოებია, რომლის შესაქმნელად ავტორი მრავალი ავტორის ტექსტს იყენებს. ცნობილია, რომ ჰომეროსის „ოდისეა“ „ულისეს“ მითოსური ღერძია და მთავარი მარგანიზებული ელემენტი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან როლს „ულისეს“ ინტერტექსტუალობაში შექსპირი (როგორც მისი შემოქმედება, ისე ბიოგრაფია) ასრულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ჰამლეტის“ როლი, რომელიც „ულისეში“ ფუნქციურად სხვადასხვა თემას უკავშირდება, მათ შორისაა მამისა და ძის ურთიერთმიმართება და შვილის მიერ მამის ძიება (რაც „ულისეს“ ერთ-ერთი ცენტრალური თემაა), შემოქმედებითი პროცესის გააზრება, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა და სხვ.

„ჰამლეტური“ ალუზიები უპირატესად სტივენ დედალოსის ცნობიერების ნაკადში გვხვდება, რაც ამ ორი პერსონაჟის სულიერ ნათესაობაზე მიგვანიშნებს. გარდა ალუზიებისა, „ულისეში“ ასევე მნიშვნელოვანია სტივენის თეორია შექსპირის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მის „ჰამლეტზე“, რომელიც მთელ წიგნში რამდენჯერმე ფრაგმენტულად გვხვდება და რომელსაც „სცილასა და ქარიბდას“ ეპიზოდი თითქმის მთლიანად ეთმობა. სტივენის მიერ ინტერპრეტირებული შექსპირის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების ურთიერთმიმართება „ჰამლეტის“ ფროიდისტული წაკითხვაა და, სავარაუდოდ, ბევრ რამეს იმეორებს ჯოისის ლექციებიდან შექსპირზე, რომელსაც იგი ტრიესტეში კითხულობდა (1912-1913). ამრიგად, შექსპირი და მისი „ჰამლეტი“ ის ტექსტია, რომელზეც ჯოისის ალტერ ეგო – სტივენ დედალოსი თავის შემოქმედებით თეორიას აგებს, რომელშიც შექსპირის მთავარი და ვერმილნევადი მეტოქეცაა და, იმავდროულად, პაროდის ობიექტიც.

„ულისეში“ ჯოისი ინტერტექსტუალობის სხვადასხვა ფორმას მიმართავს. ნაწარმოებში გვხვდება „ჰამლეტის“ ტექსტზე ალუზია, ტექსტის ციტირება, პაროდირება. ყოველი ამგვარი მინიშნება „ჰამლეტზე“ ფუნქციურია და, ერთი მხრივ, სტივენისა და ჰამლეტის შინგან მსგავსებასა და იმ პრობლემების მარადიულობას უსვამს ხაზს, რომელთაც ორივე ნაწარმოებში ვხვდებით; ხოლო, მეორე მხრივ, ჯოისის მიერ შექსპირის ტრაგედიის ამაღლებული სამყაროს ირონიულ-სკეპტიკური დეჰეროიზაცია წარმოქმნის იმ პაროდულ შრეს, რომლითაც გამსჭვალულია „ულისე“.

Manana Gelashvili

Hamlet as an Intertext of Ulysses by James Joyce

Ulysses by James Joyce is a multi-layered intertextual work in which several texts by various authors function as its intertext. It is well-known that Homer's *Odyssey* constitutes the book's mythical structure and is one of the most important formal elements of this elaborate construction. However, of no less importance in the making of *Ulysses* is William Shakespeare (both his biography and works). *Ulysses* is particularly haunted by *Hamlet*, which is functionally associated with a number of themes apparent in *Ulysses*; among them: the father and son relationship problem, understanding of the process of creativity, man and woman relations, etc.

Allusions to *Hamlet* are most frequent in Stephen's stream-of-consciousness, which speaks about the spiritual affinity of these two characters. Besides allusions to the text one of the important moments for the understanding of *Ulysses* is Stephen's theory on Shakespeare and particularly his *Hamlet*, which is mentioned in fragments a few times and finally discussed at length in the episode of "Scylla and Charybdis". Stephen gives a Freudian interpretation of Shakespeare's biography and its influence on his creativity, much of which supposedly takes its origin from Joyce's public lectures on Shakespeare given in Trieste between 1912-13.

Shakespeare and his *Hamlet* is the text on which Joyce's alter ego – Stephen Dedalus bases his theory of creativity in *Ulysses* where Shakespeare is viewed as his greatest and unreachable rival and at the same time an object of parody.

In *Ulysses* Joyce uses various forms of intertextuality: allusions to the text, citing or miss-citing, parodying. These devices are functional used to stress that Stephen is a present-day *Hamlet* and reinforce the timelessness of the

problems discussed in both books. On the other hand ironic deconstruction of exalted spirit of Shakespeare's high tragedy creates a parodic layer which permeates Ulysses.

ნანა გელაშვილი

ქალის სტატუსი იაპონიაში ისტორიულ წარსულში

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ქალის სტატუსის წარმოჩენას იაპონიის ისტორიულ რეალობაში. ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ იაპონიის არქიპელაგზე პირველყოფილი თემური წყობილების ხანაში ქალის სოციალური პოზიცია გამორჩეულად მაღალი იყო. ამას ადასტურებენ წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალა. სხვადასხვა ისტორიული ქრონიკა მოგვითხრობს ქალი შამანების, ლიდერების, დედოფლებისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების შესახებ. ქალთა განსაკუთრებულად მაღალი სტატუსის მაჩვენებელია ის, რომ შორეულ წარსულში იაპონიას ძღვეამოსილი ქალი იმპერატორები მართავდნენ. მოგვიანებით, XI-XII საუკუნეებში ქალებმა ლიდერი პოზიციები დაიმკვიდრეს ლიტერატურის სფეროში. სწორედ ისინი იყვნენ იმ ხანად საუკეთესო კლასიკური ნაწარმოებების ავტორები. ამიტომაც იყო, რომ ისინი ხშირად თავად ხდებოდნენ მუზეები გამოჩენილი მხატვრებისა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებისთვის, თუმცა დროთა ვითარებაში ქალის აქტივობა და უფლებამოსილებანი იაპონიაში საგრძნობლად შეიკვცა.

Nana Gelashvili

Female Status in Japan's Historical Past

The present paper is dedicated to introduce the status of women in the historical reality of Japan. In this context it should be stressed, that in the primitive communal order social status of the female was exclusively high on Japanese archipelagos. Written sources and archaeological materials witness this fact. Different historical chronicles relate about great female shamans, leaders, empresses and etc. Particularly enough high status of the females explains the outstanding role that powerful empresses performed in Japan in the distant past.

Later – in the XI-XII Centuries women have taken leading positions in the field of literature. Right they were at the time the authors of the best literary works. That's why they often became muse for famous artists and other art fi-

gures. However, as the time passed, activity and rights of woman in Japan has been substantially debarred from decision-making.

თეიმურაზ გვიმრაძე

სამხედრო და სპორტული თამაშობანი საქართველოში

საქართველო მდებარეობს რთულ გეოპოლიტიკურ არეალში, ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე. აქ გადიოდა დიდი სავაჭრო გზები, აქ ერწყმოდა ერთმანეთს ევროპული და აზიური ცივილიზაციები, რაც დადებითად მოქმედებდა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს ასეთი სტრატეგიული მდებარეობა იზიდავდა უამრავ დამპყრობელს.

ამიტომაც საქართველოს ისტორია არის თვითგადარჩენისათვის ბრძოლის ისტორია. მომხდურთა არმიები დიდი რიცხობრივი უპირატესობით, უკეთესი შეიარაღებით თავს ესხმოდნენ საქართველოს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს, ჩვენი ქვეყნის განადგურება, მათზე უფრო მრავალრიცხოვანი მონინაალმდეგის დამარცხება ჩვეულებად ექცა ქართველს. ჩვენს წინაპრებს სახნისთან ერთად იარაღიც მუდამ თან ჰქონდათ მამულის დასაცავად. ქართველი მეომარი ყოველთვის მზად იყო, რომ საკადრისი პასუხი გაეცა მომხდურისათვის. რეგულარული ჯარის შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამასთანავე მიწათმოქმედი ხალხის ხანგრძლივად ლაშქარში ყოფნა მატერიალურად დაასუსტებდა მტერმრავალ საქართველოს. ამიტომ ქართველები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მომხდურს სათანადოდ მომზადებულნი დახვედროდნენ. ქართული საბრძოლო ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა. ქართველი მეომრის მაღალ ოსტატობას აღიარებდნენ: ბერძნები, რომაელები, აღმოსავლური სახელმწიფოები. ასეთი აღიარება კი თავისთავად არ მოდიოდა, მას წვრთნა სჭირდებოდა. ქართველი საბრძოლო ხელოვნების მაღალი დონე შედეგი იყო კომპლექსური მომზადებისა. ქართულ საბრძოლო ხელოვნებას იყენებდნენ მეომრები სამშობლოს დასაცავად, რისი წყალობითაც ხშირად ერთი რამდენიმე მომხდურს ადვილად უმკლავდებოდა. ქართული საბრძოლო ხელოვნება რწმენაზე დამყარებული ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, მისი ძირითადი მოტივატორი სამშობლო და სარწმუნოება იყო. მეომრის აღზრდა ადრეული ასაკიდან იწყებოდა. საბავშვო თამაშებიც კი მომავალი მებრძოლის აღზრდას ემსახურებოდა. ფიზიკურ მომზადებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა მოქნილობისა და კოორდინაციის უნარის გამომუშავებას. ვარჯიშების შემდგომი ეტაპი იყო

ათვისება საბრძოლო იარაღებისა, რომლებიც ხისგან ან სქელი ტყავისგან მზადდებოდა. ფიზიკური მომზადებისათვის შერჩეული იყო ვარჯიშების სპეციალური სახეობანი.

წვრთნა, ვარჯიში ქართველისათვის ცხოვრების წესად იქცა. საერო და საეკლესიო დღესასწაულებიც კი რაღაც შეჯიბრით იწყებოდა ან მთავრდებოდა, რაც მომავალი მეომრის სტიმულირებას უწყობდა ხელს. ასეთები იყო: ყეენობა, ლაშქარნადირობა, მუშაითი, ცხენბურთი, რადრაბაგანი, ყაბახი, დოღი, ისინდი, კრივი, ხრიდოღი, სარდასტი, ჭიდაობა, არიფანა, ცურვა, ფარიკაობა და სხვ.

უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები: დიონიზო კარლი, კოგანი, გრაჩოვი და სხვები მაღალ შეფასებას აძლევენ საქართველოში ჩატარებულ სპორტულ თამაშებსა და საბრძოლო იღეთებს, რომელთა წყალობითაც ქვეყანა გადაურჩა უამრავ დამპყრობელს.

Teimuraz Gvimrasze

Martial and sport games in Georgia

Georgia is located in a difficult geopolitical area, at the crossroads of Europe and Asia. Large trade routes were passing through its area, European and Asian civilizations were merged here, this had a positive effect on the development of the economy and culture, but on the other hand, such a strategic location of Georgia attracted many invaders. That's why the history of Georgia is the history of the struggle for self-preservation. The armies of the invaders attacked Georgia with the numerous forces with the better armament. Our ancestors, along with the plow, always were keeping the weapons with them to protect their land. The Georgian warrior was always ready to give a decent answer to the enemy. To maintain a regular army required large expenditures. At the same time, the long presence of the farming people in the army would materially weaken the hostile Georgia. Therefore, the Georgians did their best to meet the invaders properly prepared.

Georgian martial arts have been refined for centuries. The high skill of the Georgian warrior was recognized by the Greeks, Romans, and Eastern states. Such recognition did not come by itself, it needed training. The high level of Georgian martial arts was the result of complex training. Georgian martial art was an integral part of the Georgian culture based on faith, the main motivator of which was the homeland and religion. Raising a warrior began at an early age. Even children's games served to raise a future fighter. Along with physical train-

ning, great attention was paid to developing flexibility and coordination skills. The next stage of the training was the adaptation to weapons made of wood or thick leather.

Special types of exercises were selected for physical training. Training has become a mode of life for Georgians. Even secular and religious celebrations began or ended with some competition, which encouraged the future warrior. These were: keenoba, hunting, riding, radrabagani, kabakhi, racing, isindi, boxing, khridoli, sardasti, wrestling, arifana, swimming, fencing, etc. Foreign scholars and travelers highly appreciate the sports and martial arts held in Georgia. Thanks to which the country has escaped many invaders.

სოფიკო გვრიტიშვილი

ლინგვისტურ მარკერთა ანალიზი (სასამართლო დისკურსის მაგალითზე)

სასამართლო დისკურსის განხილვა ენათმეცნიერებისთვის საინტერესო საკვლევი ობიექტია, რომელიც, ერთი მხრივ, ენათმეცნიერებს აძლევს საშუალებას, იკვლიონ სასამართლო დარბაზისთვის დამახასიათებელი დისკურსის ლინგვისტური ნიშან-თვისებები, მეორე მხრივ კი, სამართლის აღმასრულებელ პირებს აძლევს საშუალებას, დაეყრდნონ მეცნიერულად დასაბუთებული ენობრივ ერთეულებს საქმეთა უკეთ წარსამართლავად. ამ მოხსენებაში სასამართლო ლინგვისტიკაში აქტუალიზებულ მარკერთა შესწავლისათვის გამოყენებულია ზეპირი კომუნიკაციის (დაკითხვის პროცესის) ჩანაწერები, რომელთა კვლევაც მიზნად ისახავს: ა) ლინგვისტური მარკერებით წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის კითხვების პრაგმატიკული ფუნქციის გაანალიზებას, ბ) დაკითხვის მომენტში გრაისის მიერ შემოთავაზებული სასაუბრო მაქსიმების როლის გამოკვეთასა და მათი მიზნობრივი ხასიათის დადგენას კონკრეტული ტიპის კითხვების დასმისას, ორი ქვეყნის – საქართველოსა და ამერიკის სასამართლოებში ზეპირი კომუნიკაციის კვლევის ფარგლებში. უფრო კონკრეტულად, მოხსენებაში პასუხი გაეცემა შემდეგ ძირითად საკითხებს: 1. როგორ გამოიხატება ლინგვისტური მარკერების სისტემა დაკითხვის პროცესში? 2. რა სახის კითხვები ისმება სასამართლო დარბაზში სასამართლო პროცესებზე? 3. რა ტიპის მაქსიმები გამოიყენება ამ ტიპის დისკურსში კითხვების დასმისას?

Sopiko Gvritishvili

**Analysis of linguistic markers
(On the example of court discourse)**

Discussion of the courtroom discourse in the linguistic context is an interesting research issue for the science, which, on the one hand, enables the linguists to explore the linguistic features characteristic of the courtroom, and on the other hand, allows law enforcement officials to use scientifically substantiated evidence for better dealing with future cases. In forensic linguistics, oral communication is used to study linguistic markers employed in the context. The article aims to:

- a) to investigate the ways oral language discourse works within the courtroom of the two countries (Georgia and the USA),
- b) to identify the role of Gricean conversational maxims employed during the courtroom interrogation using the examples of Georgia and the USA.

As part of the report, the following questions will be tackled in this article: 1. How are linguistic markers employed during interrogation? 2. What kind of questions are posed in the courtroom concerning victims/complainants, accused and witnesses in specific cases? 3. What type of Maxims are utilized by the parties during the interrogation process?

ელენე გოგიაშვილი

ფოლკლორული ტექსტის გამოქვეყნების ფილოლოგიური პრობლემები

ტექსტის ფილოლოგიური დამუშავება ფოლკლორისტიკაში იმ მეტოდთაგანია, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში მიმართავს ფოლკლორისტი მუშაობის პროცესში. ფილოლოგიური მეთოდი ყველა დანარჩენ მეთოდთან კომბინაციაში გამოიყენება, იქნება ეს გეოგრაფიულ-ისტორიული, ეთნოლოგიური თუ ფუნქციონალისტური ანალიზი. ფილოლოგიის საჭიროება ყველგან თავს იჩენს, სადაც წერილობით და ზეპირად გადმოცემულ ტექსტთან გვაქვს საქმე. თუ ლიტერატურული ტექსტის კრიტიკული გამოცემა გულისხმობს სტრუქტურულად და სისტემურად დამუშავებულ ტექსტს, რომელიც ტექსტის ისტორიასთან ერთად შეიცავს გრამატიკულ, ლექსიკურ და სემანტიკურ განმარტებებს, ფოლკლორული ტექსტის გამოცემა სპეციფიკურ სამუშაოს მოითხოვს. ლიტერატურული ტექსტისგან გან-

სხვავებით, ზეპირსიტყვიერი ტექსტი შეიძლება იყოს ხმოვანი. დღევანდელ დღეს ყველა ფოლკლორული ნიმუში ტექნიკის მეშვეობით ფიქსირდება. აუდიო- და ვიდეოჩანაწერებით ზეპირი ნარატივი უფრო ობიექტურად არის ასახული. მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა პერფორმანსზე ორიენტირებული იყოს კვლევა, ფილოლოგიური მეთოდის საჭიროება გარდაუვალია, დაწყებული არქივში დაბინავებიდან და დამთავრებული გამოსაცემად მომზადებით.

Elene Gogiasvili

Philological Problems in Editions of Folklore Texts

In terms of methodology folkloristics, philological research is far from being exhausted. The study of folklore still has its place in literary and linguistic studies. The paper focuses the collected folktales written down in some dialects.

გიორგი გრიგოლაშვილი

ხელისუფლების ფილოსოფიური კონცეფციის რესენტიმენტი ჯონ როულზის სამართლიანობის თეორიაში

ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფია მაკიაველიდან დაწყებული, საზოგადოებრივი კონტრაქტის თეორეტიკოსების ჩათვლით, ცდილობს, ხელისუფლების ფილოსოფიურ იდეას ტრადიციისა და რელიგიის საყრდენები გამოაცალოს. ისინი განმანათლებლობის გავლენით ხელისუფლების კონცეფციის მიმართ ნიცშეანური რესენტიმენტის გრძნობით არიან განმსჭვალული.

თანამედროვეობაში ხელისუფლების, ტრადიციისა და რელიგიის ტრიადის მნიშვნელობაზე აქცენტს ჰანა არენდტი აკეთებს. ნაშრომში „რა არის ხელისუფლება“ განხილულია ხელისუფლების ფილოსოფიური ძირები: ა) შინაგანი არაძალისმიერი იძულება, ბ) ავტორიტეტი, რომელიც ემყარება იერარქიულ წესრიგს. ორ ელემენტს ერთ მთლიანობად ტრადიცია გადააქცევს, ხოლო განვრცობის თვისებით, რაც რელიგიას ახასიათებს, ხელისუფლების იდეას საყოველთაოს ხდის.

ჟონ როულზი სამართლიანობის თეორიაში შეეცადა, გაეგრძელებინა საზოგადოებრივი კონტრაქტის თეორეტიკოსების იდეა ხელისუფლების ფილოსოფიური კონცეფციის წინააღმდეგ. რესენტიმენტი იგრძნობა მის პირვანდელ ნაშრომებში, რასაც ვერ ვიტყვით იურგენ ჰაბერმასთან მის დიალოგზე.

პირველი ნიშანი, რომლითაც როულზი არენდტის მიერ გააზრებულ ხელისუფლების იდეას ეთანხმება, უნივერსალიზაციის წინააღმდეგაა მიმართული და განსხვავებულობას წამოწევს წინა პლანზე. ეს კარგად ჩანს „საწყის პოზიციაში“ მყოფი ინდივიდების განხილვისას.

ხელისუფლება იმგვარ მორჩილებას გულისხმობს, სადაც ადამიანებს საკუთარი თავისუფლების შენარჩუნება შეუძლიათ. ისევე როგორც პლატონი კანონების მეშვეობით, როულზი სამართლიანობის თეორიით ცდილობს, ინდივიდებს თავისუფლება ხელისუფლების პირობებში შეუნარჩუნოს. პლატონი იყო პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც გონებას პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა, ამ ტრადიციის რეპრეზენტაციას კი როულზი სამართლიანობის თეორიაში ახდენს.

ხელისუფლების კიდევ ერთი ნიშანია ლეგიტიმაციის წყაროს - ძალაუფლების სფეროს გარეთ გატანა. ამ გაგებით, როულზის თეორიაში, მართალია საწყის პოზიციაში, შეთანხმებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, თუმცა შეთანხმება რეალურ მნიშვნელობას მხოლოდ კანონშემოქმედებითობის პროცესში საჯარო სივრცეში იძენს.

განსხვავებულობის ნაშლის შედეგია ხელისუფლებაში იერარქიის ნაშლა, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ როულზი „ანტიკური და მოდერნული“ თავისუფლებების იერარქიით ცდილობს განსხვავებების დაბრუნებას.

რომის იმპერიაში ხელისუფლება განმტკიცდა ტრადიციით, რომელიც „დაფუძნების სინმინდის აქტით“ გამოიხატა. როულზი საზოგადოებრივი კონტრაქტით ცდილობს დაფუძნების ახალი აქტის შექმნას, სადაც გაერთიანებული იქნება ანტიკურობისა და მოდერნულობის ფილოსოფიური გაგება. იგი ცდილობს, საზოგადოებრივი კონტრაქტის თეორიაში გააერთიანოს ბერძნული დაფუძნების განმეორება და რომაული უნიკალურობა.

ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი თვისებაა მისი ძალაუფლების განვრცობა, რომელსაც საფუძველი რელიგიამ გაუმყარა, ხოლო როულზის თეორიაში „პოლიტიკური კულტურის“ მნიშვნელობითაა განსაზღვრული. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როულზი, ერთი მხრივ, ღიად ხელისუფლების იდეის მიმართ რესენტიმენტით არის განწყობილი, თუმცა, მეორე მხრივ, თეორიის სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტრადიციის უწყვეტობის, ინდივიდის რელიგიურ და მორალურ მსოფლმხედველობაზე.

Giorgi Grigolashvili

The Resentment of the philosophical concept of Authority in John Rawls's Theory of Justice

Modern political philosophy is attempting to neglect the basis of tradition and religion in the philosophical concept of authority. The influence of Enlightenment philosophers, look at the concept of authority from the perspective of Nietzsche's resentment.

Hannah Arendt outlined the trinity of government, tradition and religion in contemporary political philosophy."Discusses the philosophical basis of Authority: The tradition and the quality of widespread, it compels the common understanding of authority.

John Rawls "Theory of justice" attempts to continue the idea against the philosophical concept of authority. The resentment of authority is noticeable in his earlier works different from his discussion with Jurgen Habermas. Rawls supports Arendt's concept of authority, opposes universalization and brings diversity to the front. This is well demonstrated in the conception about "Original position".

Authority implies an obedience in which people retain their freedom. Rawls attempts to maintain people's freedom from the authority by the use of the "Theory of justice".

Plato was the first philosopher who indicates the political importance of the mind. This idea is represented in Rawl's theory of justice.

Neglecting diversity causes the negligence of hierarchy in authority, in consequence, Rawls attempts to restore diversity with the help of "ancient and modern" hierarchy of freedom.

In Roman Empire authority is strengthened with the tradition expressed by "the holy act of foundation". Rawls aims to create a new act on the basement of social contract.

The vital quality of authority is an expansion of power that is historically first provided with religion, and it is later defined as "political culture" in Rawls' theory.

Hence, we could argue that, Rawls looks at the concept of authority from the perspective of resentment. However, "Theory of justice" is significantly based on the continuity of tradition and religion.

ნანა გულიაშვილი

თამაშისა და დღესასწაულის მსგავსება-განსხვავების საკითხისათვის

ტრადიციული ესთეტიკური კატეგორიების: მშვენიერების, ამაღლებულის, ტრაგიკულის, კომიკურის, ესთეტიკურის მხატვრული ჩანაცვლება 21-ე საუკუნის ესთეტიკურ თეორიებში, ჰანს გეორგ გადამერის გავლენით, ხდება თამაშისა და დღესასწაულის (ფესტივალის) ესთეტიკური კატეგორიებით.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჯერ კიდევ პლატონის ფილოსოფიაში, კერძოდ მის ნაშრომებში – „სახელმწიფო“ და „კანონები“ – თამაშისა და დღესასწაულის შესახებ არის საუბარი.

თამაშისა და დღესასწაულის შესახებ ასევე ღირებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ი. ჰაიზინგას, მ.ბახტინს, ა. ლოსევს და სხვ. მათ ნააზრევში შეიძლება ამოვიკითხოთ თამაშისა და დღესასწაულის ურთიერთმიმართების საკითხი, თუმცა სპეციალური კვლევის ობიექტად არცერთ მათგანს არ მიუმატავს. ჩვენი მიზანი ამ ორი ცნების მსგავსება-განსხვავების ჩვენებაა ჰანს გეორგ გადამერის ნააზრევის გამოყენებით.

მასობრივ ხელოვნების დარგებს თვითონ პლატონი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებს. ეს მხოლოდ პლატონის აზროვნების თავისებურებით როდია გამოწვეული. დღესასწაულსა და თამაშს შორის არსებულ ღრმა შინაგან კავშირზე ბევრი მკვლევარი მიუთითებს, მაგ., ჰაიზინგა, ბახტინი, თუმცა ისინი არ ცდილობენ უფრო დაწვრილებით გამოიკვლიონ ამ ორ ცნებას შორის არსებული მიმართება.

თამაშსა და დღესასწაულს შინაგანად ანათესავებს, უპირველეს ყოვლისა, ამორთულობა „ჩვეულებრივი“, „ყოველდღიური“ ცხოვრების რიტმიდან. ჩვენ ვცხოვრობთ წრფივ ისტორიულ დროში, ე.ი. მოვდივართ საიდანაც „ჩვეულებრივი“, „ყოველდღიური“ ცხოვრების დინებიდან. ჩვენ სადღაც ვესწრაფვით გარკვეულ, ჩვენ მიერ თუ სხვის მიერ, ჩვენთვის დადგენილ მიზნებს. ჩვენი ცხოვრება ამ „მოძრაობის წესებითაა“ განსაზღვრული.

როგორც თამაში, ისე დღესასწაული გადახვევაა ამ გზიდან, ამორთვაა ამ დროიდან და ამ წესრიგიდან, მისგან განსხვავებულ წესრიგში გადასვლაა.

თამაში და დღესასწაული პირობით კედლებს, საზღვრებს აღმართავენ ჩვეულებრივი ცხოვრების მიმართ და ამ პირობითი საზღვრის შიგნით საკუთარ წესრიგს ახორციელებენ. თან ესეც ანათესავებს თამაშსა და დღესასწაულს. ორივე თავისი არსით ნებაყოფლობითა და სიხარულითაა გამსჭვალული. თამაში წმინდად იმანენტურია, რადგან აზრი და საზრისი

თავის თავში აქვს. დღესასწაული კი უკავშირდება რაღაც ტრანსცენდენტურს – დღესასწაულის ძირი სასწაულშია.

დღესასწაული ძნელად იგუებს თვითნებურ დადგენილებას. ასეთი დღესასწაული ხელოვნური იქნება და უსიცოცხლო. საქმე ისაა, რომ დღესასწაული უბრალოდ ზურგს კი არ აქცევს ისტორიულ მიმდინარე დროს, არამედ სიმბოლური განმეორებაა სასწაულის დროის და ის არის დღე სასწაულისა.

Nana Guliashvili

For the similarity-difference of game and holiday

The artistic replacement of traditional aesthetic categories by beauty, elegance, tragedy, comedy, aesthetics took place in the 21st century by Hans Georg Gadamer, replacing of game and holiday (festival) by aesthetic categories.

It is fair to say that in Plato's philosophy, in particular in his writings, "The Republic" and "The Laws" are still talking about play and celebration. Valuable opinions about the game and the holiday have also been expressed by I. Heisinga, M. Bakhtin, Losev and others. In their minds, we can read about the interrelationship between play and celebration, although none of them have been the subject of special research. Our goal is to show the similarities and differences between these two concepts using the idea of Hans Georg Gadamer.

Plato himself closely links general art to each other. This is not only due to the peculiarities of Plato's thinking. The deep inner connection between the holiday and the game is pointed out by many researchers, e.g. Heisinga, Bakhtin, however, they do not attempt to examine in more detail the relationship between these two concepts.

The game and the holiday are internally related first and foremost to not engagement in the rhythm of "ordinary", "everyday" life. We live in a linear historical time. I.e. We come from a stream of "ordinary", "everyday" life. We are striving somewhere for certain goals set by ourselves or by others. Our lives are determined by these "rules of the road." Both the game and the holiday are a detour from this road, a detour from this time, and a transition from this order to a different order from it.

The game and the holiday erect conditional walls, boundaries towards ordinary life, and exercise their own order within that conditional boundary. At the same time, it is related to the game and the holiday. Both are inherently voluntary and full of joy.

The game is purely immanent because it has meaning in itself. The holiday is associated with something transcendental - the root of the holiday is in the miracle.

Holidays that are full of complexity are neither fun nor comfortable. Such a holiday will be artificial and lifeless. The point is that the holiday does not just turn its back on the historical current, but is a symbolic repetition of the time of the miracle, and it is the day of the miracle.

ირინე დემეტრაძე

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებები საალერსო მიმართვის ფორმებში (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალათა მიხედვით)

ცნობილია, რომ მიმართვის ფორმები ადამიანების ყოველდღიური ვერბალური ქცევის მნიშვნელოვანი ნაწილია. მათში აირეკლება მოცემული ენობრივი კოლექტივის მენტალიტეტი, ეროვნული ხასიათი და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები.

ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის შიგნითაც კი მიმართვის ფორმები საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევა და განსხვავდება რეგისტრების მიხედვით, დაწყებული შინაურული რეგისტრიდან, დამთავრებული უაღრესად ოფიციალური მიმართვის ფორმებით. მოხსენებაში განვიხილავ ცხოველებისა და ფრინველების სახელწოდებებზე დამყარებულ საალერსო მიმართვის ფორმებს, რომელთა გამოყენებაც, ცხადია, მხოლოდ არაოფიციალურ რეგისტრშია მიზანშეწონილი, ხოლო ოფიციალურ საუბარში მათი გამოყენება როგორც მოსაუბრის, ასევე მსმენელის შემლახველ აქტად მიიჩნევა.

საალერსო მიმართვის ფორმები ენის ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის გამოხატულებაა. მოხსენებაში ისინი განხილულია ენის ექსპრესიულ და ფატიკურ ფუნქციებთან მიმართებით.

როგორც კვლევამ აჩვენა, საალერსო მიმართვის ფორმები კონცეპტუალურ მეტაფორებს წარმოადგენს. საალერსო მიმართვის ფორმებში გამოყენებული ცხოველებსა და ფრინველებთან დაკავშირებული მეტაფორები ასახავს ენობრივი კოლექტივის გამოცდილებას, ობიექტურ და სუბიექტურ მსგავსებას, ბიოლოგიურ და კულტურულ ფესვებს. ყოველივე ამის საფუძველზე ხდება ორი კონცეპტის - ადამიანისა და ცხოველის - დაკავშირება.

მოხსენებაში ცხოველებთან დაკავშირებული საალერსო მიმართვის ფორმების გამოყენება განხილულია გენდერული და ასაკობრივი ფაქტორების გათვალისწინებით.

ინგლისური, ქართული და რუსული ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ცხოველებსა და ფრინველებთან დაკავშირებული საალერსო ფორმების კლასიფიკაცია განვახორციელე შემდეგ პარამეტრებზე დაყრდნობით:

1. სილამაზე, გარეგნობა;
2. ზომა, გაბარიტები;
3. ხასიათის თვისება, ქცევა;
4. ცხოველის შვილის სახელწოდება.

მოხსენებაში ასევე განხილულია ის კნინობითი სუფიქსები, რომლებიც დაერთვის საალერსო მიმართვებში გამოყენებულ ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებს.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ, დანარჩენი ორი საკვლევი ენისგან განსხვავებით, ქართულ ყოფაში ხშირია ცხოველებთან დაკავშირებული საალერსო სახელების ანთროპონიმებად გადაქცევის შემთხვევები.

შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ცხოველების სახელებზე დამყარებული საალერსო სახელები სამივე საკვლევი ენაში უხვად მოიპოვება, ხოლო განსხვავებები საკვლევი ენებს შორის შეიძლება აიხსნას როგორც ფონეტიკური ფაქტორით, ასევე ეროვნული მენტალიტეტით და კულტურული სპეციფიკით.

Irine Demetradze

Names of Animals and Birds in Endearing Forms of Address (On the Material of English, Georgian and Russian Languages)

It is well known that forms of address constitute an important part of everyday verbal behavior. They reflect national mentality, character and speech etiquette of a given speech community.

The forms of address are quite diverse and differ as to register – from extremely formal to highly informal. The paper focuses on endearment forms that are based on names of animals and birds. Naturally, they form part of the informal register, and their usage in the formal register may be considered as a Face Threatening Act.

Endearment forms perform various functions of language. In the given paper, chief emphasis is made on the expressive and phatic functions.

Research has proved that the endearment forms under analysis represent conceptual metaphors reflecting the experience, mentality, biological and cultural roots of a given nation. Based on the above mentioned, two concepts – human and animal – become interconnected.

The forms of endearment based on animal and bird names are viewed in the given paper from the perspectives of gender and age.

Based on the empirical material of the three languages under analysis, classification of endearment forms is made based on the following parameters:

1. Appearance;
2. Size;
3. Character, behaviour;
4. Names of animal offsprings.

The paper also analyzes diminutive suffixes used in endearment words based on animal/bird names.

Interestingly enough, in Georgian, unlike the other two languages under analysis, some endearment words based on animal/bird names often turn into anthroponyms.

Contrastive analysis has proved that differences between the three languages regarding endearment forms of address based on animal/bird names can be explained by phonetic factors, as well as the peculiarities of national mentality and culture.

მამუკა დოლიძე

ფენომენოლოგია როგორც შემოქმედება

ფენომენოლოგიური ფილოსოფია, რომელიც ბრენტანოსა და ჰუსერლის კონცეფციათა საფუძველზე აღმოცენდა, ფრიად უცნაურ ფილოსოფიურ მოძღვრებად გვესახება. უცნაურობა ისაა, რომ თანამედროვე ფენომენოლოგია ვერა და ვერ ჩამოყალიბდა როგორც ფილოსოფიური ცოდნის სისტემა. რა არის ფენომენოლოგია და რას გულისხმობს ფენომენოლოგიური მეთოდი – ამ კითხვებზე თვითონ ედმუნდ ჰუსერლსაც არ ჰქონდა გარკვეული პასუხი. მიუხედავად ამ გაურკვევლობისა, ფენომენოლოგიამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ფილოსოფიაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეგზისტენციალიზმი, ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგია და სხვა წამყვანი ფილოსოფიური კონცეფციები მეტ-ნაკლებად თავიანთ ორიგინალობას და მნიშვნელოვნებას სწორედ ბრენტანოსა და ჰუსერლის ინტენციონალურ სწავლებას უნდა უმადლოდნენ.

ჩვენი ფიქრით, მეთოდისა და კონცეფციის ეს განუზღვრელობა პოზიტიური მომენტია ფენომენოლოგიურ იდეათა შემოქმედებით ნაკადში. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აქ საქმე გვაქვს შემოქმედების ფილოსოფიასთან, რომელიც თავისი არსით განსხვავდება ტრადიციული ცოდნისგან. ფენომენოლოგია არ მიისწრაფვის, დასრულდეს და ჩაიკეტოს როგორც სრულიად გარკვეული და ფუნდამენტურად ჩამოყალიბებული ცოდნა. იგი წარმოადგენს ვარაუდების, დაშვებების, მინიშნებების ღია სისტემას, გახსნილს შემოქმედებითი აზროვნების უსასრულო პერსპექტივაში. სწორედ ასეთი „ღიაობა“ ქმნის XX საუკუნის ამ უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობის ხიბლსა და ჯადოს, სწორედ ეს გვაძლევს უფლებას, ფენომენოლოგიური მიდგომა გამოვიყენოთ თანამედროვე აზროვნების მრავალფეროვან სამყაროში, ადამიანის მენტალურ ქმედებათა ზღვარდაუდებელ შემოქმედებაში.

ასეთი პოზიციიდან ახლებურად მოჩანს მთელი ფილოსოფიური ტრადიცია. ჰუსერლის პრეტენზია, რომ ფენომენოლოგიამ მიაღწიოს სიმწიფის ასაკს, როგორც მკაცრმა (და არა ზუსტმა) მეცნიერებამ, არ შეიძლება გაგებულ იქნეს პირდაპირი აზრით. თუნდაც იმიტომ, რომ ფენომენოლოგია, წილნაყარი შემოქმედებითი აქტის იდუმალებასთან, მუდამ ახალგაზრდულ გატაცებად რჩება და ვერასოდეს მიაღწევს სიმწიფესა და სიბერეს. ფენომენოლოგია ვერასოდეს შეიგრძნობს საკუთარ თავს როგორც ზუსტად ჩამოყალიბებულ მოძღვრებას არსებობისა და არსის შესახებ. ის მუდამ ცოცხალი სწავლებაა, მისი დაუფლების პროცესში ადამიანი გონების ლოგიკურ თანმიმდევრობას კი არ ეუფლება, საკუთარ გულისძგერას ისმენს, თავისუფლების გასაოცარ წყურვილს და სიხარულს შეიგრძნობს, ამსხვრევს რაციონალური აზროვნების ჯაჭვს და საერთოდ ვერ ეგუება გონების ვერავითარ ჩარჩოებს, თუნდაც ქეშმარიტების დადგენის მიზნით და მისიით. ქეშმარიტება არის ქეშმარიტების ძიების პროცესი – აი ის ერთადერთი, რაც შეიძლება გვითხრას ფენომენოლოგიურად მოაზროვნე შემოქმედმა.

თავისუფლების უსაზღვროება, საითკენაც მიისწრაფის ფენომენოლოგი, სულაც არ ავალდებულებს მას, ეძიოს ქეშმარიტება. იქნებ ქეშმარიტებაში ყოფნა არ საჭიროებს მის ძიებას, აღმოჩენას, დადგენას და გამოთქმას? ქეშმარიტებაში ყოფნა, როგორც ფენომენოლოგიური განწყობის არსობრივი მომენტი, თვითშემეცნების შეუძლებლობას ესაზღვრება, ის ადამიანის თვითყოფნის მიუწვდომელი წყაროა. ქეშმარიტება ადამიანის „მეობის“ ისეთი მოცემულობაა, სულ მუდამ რომ უსხლტება აზროვნების სიცხადეს და ლოგიკური მსჯელობის ბადეს. ქეშმარიტება სახავს შემოქმედების გზას, როგორც ცისკრის ვარსკვლავი, წინ რომ მიუძღოდა მოგვებს ბეთლემისაკენ. მისი თვალისმომჭრელი სხივი არა მხოლოდ ფილოსოფიურ წიაღსვლას ანათებს, ის მხატვრულ მუზასაც ეთამაშება, ლიტერატურის, პოეზიის, მუსიკის, ფერწერის, თეატრის... სილამაზის ხელოვნებათა დაუსრულებელ ფერიცვალებას მოიცავს.

Mamuka Dolidze

Phenomenology as a philosophy of creativity

Phenomenological conception by Edmund Husserl seems to be the fruitful ground for finding the new way of intellectual advance. Husserl's investigation of intentional nature of self-consciousness brings to light many hidden problems of human cognition and self-cognition. The unceasing currency of thought presents the driving will of our mind to surmount the senselessness of contemporary world. We can grasp the intentional life of consciousness as a stream of creating the cognitive, emotional or voluntary-normative senses. This creative process leads the thinker to contemplation of new face of truth, which appears to be elusive for any kind of logical definition .

The truth is the process of searching for the truth.

That seems to be the only answer in style of phenomenology. Development of Husserl's ideas provides us with courage to assert that phenomenology presents the philosophy of creativity.

Phenomenological approach helps us out of the passive state of receiving the alien reality. It inspires us to find the new forms of creative being. Phenomenologist tries to make the subjective conditions, where the being, would speak with him, revealing its new aesthetical essence.

"My pen is smarter than me".

These words of ingenious Einstein confirm the credo of phenomenological creativity – the independence of creative process from the author's will.

So, Author does not create the work of art. it seems to be the fact of creative life of author.

The same is true with new ideas and discoveries of our phenomenological comprehension. Therefore I can not be in neutral attitude toward the modern reality. I should love or hate it, since it somehow inspires me against or in favor of the contemporary world.

ქეთევან ეფაძე

რას გვიყვებიან მეხსიერების ადგილები?

მოსხენების მიზანია, შეისწავლოს, თუ როგორ აისახა მეხსიერების პოლიტიკაში საქართველოს უახლესი ისტორიის ორი მნიშვნელოვანი მონაკვეთი – 1989 წლის 9 აპრილი და სამოქალაქო ომის მოვლენები. ნაშრომი პასუხს გასცემს ორ მნიშვნელოვან კითხვას: რატომ კონცენტრირ-

დნენ მესხიერების აგენტები 9 აპრილის მესხიერების შენახვასა და გახსენებაზე საჯარო სივრცეში?

რატომ გაჩნდა სამოქალაქო ომის საჯარო სივრცეებიდან ამოშლის მცდელობა?

ნაშრომში არის მცდელობა მესხიერების კვლევებსა და სოციალურ ფსიქოლოგიაში ფართოდ გამოყენებული გახსენებისა და დავიწყების კონცეფციების საფუძველზე გააანალიზოს მესხიერების ადგილების შექმნის პროცესი პოსტსაბჭოთა საქართველოში. სწორედ ეს კონცეფციები განსაზღვრავენ კოლექტიური მესხიერების კონტურებს და ირეკლავენ მესხიერების აქტორთა სურვილს იმასთან დაკავშირებით, წარსულის თუ რომელი მოვლენა იმსახურებს გახსენებას და რომელი არა. ამ პროცესში კი გადამწყვეტ როლს მოვლენისადმი მინიჭებული მნიშვნელობები ასრულებს.

ამ თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით, ნაშრომი ემპირიულ კვლევაზე გადადის და ამტკიცებს, რომ 9 აპრილსა და სამოქალაქო ომის მოვლენებს განსხვავებული მნიშვნელობა მიენიჭათ მესხიერების შემქმნელთა მხრიდან და განსხვავებულად აისახა კოლექტიურ მესხიერებაშიც. 1989 წლის 9 აპრილი ეროვნული ტრავმა გახდა ქართველებისთვის. მოვლენის მნიშვნელობამ „მესხიერების ახალი გეოგრაფია“ შექმნა – ფიზიკური ადგილები მასზე განთავსებული მემორიალური ძეგლებით, საფლავის ქვებით და ახალი ტოპონიმიკით, რომლებიც მოსახლეობას მუდმივად ახსენებს წარსულს.

თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით სამოქალაქო ომზე. იგი უსახელო და ფრაგმენტულ მოვლენებს აერთიანებს, კონკრეტული საზღვრების, დამნაშავეების, გამარჯვებულებისა და დამარცხებულების გარეშე. ამ მიზეზის გამო არ შექმნილა მესხიერების ადგილები, რომლებიც სამოქალაქო ომის გახსენებას ვიზუალურ სახეს მისცემდა, არც ახალი სახელწოდებები გაჩენილა და, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არც მემორიალური ქვები დაღუპულთა საფლავებზე. სამოქალაქო ომი კოლექტიური დავიწყების საგნად გადაიქცა.

Ketevan Epadze

What do the sites of memory talk about?

This work aims to examine how memory politics has reflected two important episode of Georgia's recent history – April 9 of 1989 and Civil War events. This work answers two important questions: Why memory agents have been keen to preserve the memory of April 9 of 1989 in public space? And why an attempt to erase the memory of the Civil War events from the public space has emerged?

This work attempts to analyze the emergence of sites of memory between 1989 to 2019, by using two concepts widely used in recent memory studies and social psychology – Remembering and Forgetting. These concepts shape the contours of collective memory in any society and reflect the desire of memory agents what is worth remembering from the past and what is not, while meaning attached to the events play the key role in this process.

From this theoretical assumption this work moves to the specific case and argues that April 9 of 1989 and Civil War events were given different meanings and were differently treated by the memory agents. April 9 became a national trauma for all citizens of Georgia. The significance of the event created a “new geography of memory”, with symbolic places, such as memorials, tombstones and toponyms that constantly remind the past to the population.

While the Civil War combines unnamed and fragmented events, without clear borders, perpetrators, winners and losers. It is for this reason that no public memory sites have been created that would visually resemble the civil War and with few exceptions, no names have been stamped on the landscape, nor even memorial tombstones were erected on the graves of the victims of these events. The Civil war was subjected to forgetting.

ეკა ვარდოშვილი

ართურ ლაისტი და ქართველი რომანტიკოსები

ევროპულ და ქართულ რომანტიზმს საერთო თეორიული საფუძვლები აქვთ. გოეთესა და შელის ლიტერატურული ღირებულებები დაედო საფუძვლად არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ქართულ რომანტიზმსაც. ამრიგად, ქართული რომანტიზმის საფუძვლებია ეროვნულ-სალიტერატურო ტრადიცია, XIX ს.-ის დასაწყისში საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რამაც განაპირობა მისი ღრმა ეროვნულობა და ევროპული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნააზრევი.

ევროპულ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ აზროვნებაში პირველად არტურ ლაისტმა მოგვცა სამი ქართველი რომანტიკოსის: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებათა ანალიზი.

1884 წელს ა. ლაისტი პირველად ეწვია საქართველოს. 1885 წელს იგი უკვე ლაიფციგში აქვეყნებს თავის პირველ წიგნს საქართველოს შესახებ: "Georgien, Natur, Sitten und Bewohner", რასაც შემდგომ პერიოდში მოჰყვა მისი არაერთი ნაშრომი.

წერილებში – „XIX საუკუნის ქართველები“, „ქართული ლიტერატურა“ – იგი საუბრობს ქართველი რომანტიკოსების ინდივიდუალობის შესახებ, საზღვრავს, თუ რატომ არიან ისინი თავისი ეპოქის ლიდერი პოეტები. ლა-

ისტე წერს: „რაც შეეხება ორი მგოსნის პოეზიის არსს, პირველი – ალ. ჭავჭავაძე თავისი დროის ღვიძლი შვილია, მეორემ კი – ნ. ბარათაშვილმა მე-19 ს.-ის პირველ ნახევარს გაუსწრო“ (ა. ლაისტი). ა. ლაისტი ასევე განიხილავს საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს. აღნიშნავს, რომ „ევროპული ცივილიზაციის შემოჭრამ საქართველოში არა მარტო მატერიალური გარდატეხა მოიტანა, არამედ მორალურიც“ (ა. ლაისტი). ა. ლაისტის შეფასებები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას და გამოირჩევიან ორიგინალურობით.

Eka Vardoshvili

Arthur Leist and Georgian Romanticists

European and Georgian Romanticism have common theoretical foundations. Literary values of Goethe and Shelley became basis of not only European but also Georgian Romanticism. Thus, the foundations of Georgian Romanticism are the national literary tradition, the socio-political situation in Georgia at the beginning of the XIX century, which conditioned its deep nationality and European literary-philosophical thinking.

For the first time in European literary-social thinking, Arthur Leist gave us the analysis of the creations of three Georgian leader Romanticist – Alexander Chavchavadze, Grigol Orbeliani and Nikoloz Baratashvili.

In 1884 A. Leist visited Georgia for the first time. In 1884 he published his first book about Georgia “Georgien, Natur, Sitten und Bewohner” in Leipzig, after which a number of his works followed.

In his letters “Georgians of the XIX century” he speaks of individuality of Georgian Romanticists, determines, why they are leader poets of their epoch. Leist writes: “As for the essence of the poetry of two poets, first – Al. Chavchavadze is the child of his time, the second – N. Baratashvili is ahead of the 19th century” (A. Leist). A. Leist also considers the issues of social-political situation and public life in Georgia. He notes that “European civilization in Georgia made not only material but also moral breakthrough”. (A. Leist).

Assessments of A. Leist do not lose their actuality today and stand out for their originality.

ნათია ზარდიაშვილი

ემოციის ფრეიმიინგი საჯარო გამოსვლებში: გენდერი და სოციოკულტურული ასპექტები

თუმცა ემოციის გამოხატვა ფართოდ შესწავლილი საკითხია სხვა-დასხვა ჰუმანიტარულ დარგში, როგორებიცაა: ფსიქოლოგია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა და სხვ. (იზრდი 1991; ეკმანი 1999; მორსი და სხვ. 2013; კოვეჩეში 1990 და სხვა.) პროცესების ერთობლიობა, რომლებიც ემოციის გადაცემას განაპირობებენ, ჯერ კიდევ შესწავლის საგანია. ბევრ კვლევაში ემოციის შესწავლისას ძირითადი ყურადღება ლექსიკური ერთეულების სემანტიკას ეთმობა (ეკმანი 1999, რასელი 2003;), რაც პრობლემას ქმნის თავად ემოციის, როგორც სოციოკულტურული მოვლენის ანალიზისთვის, რადგან ენები, ისევე როგორც კულტურები, იდენტურობით არ ხასიათდება და, აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ემოციის კონცეპტები ენებს შორის განსხვავებული მნიშვნელობის მატარებლები იყვნენ. (იხ. ვეუბიცკა 1999).

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, რელევანტური სოციალური თუ კულტურული თეორიების მიმოხილვის საფუძველზე იმსჯელოს ამ თეორიების შესახებ, რომლებიც მეტად ფოკუსირდება ემოციის ფრეიმიინგის სოციოკულტურულ და გენდერულ ასპექტებზე. შესაბამისად, ემპირიულ მასალად წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატების: ჰილარი კლინტონისა და დონალდ ტრამპის წინა საპრეზიდენტო გამოსვლები, რომლებიც ჩატარდა 2015 წლის ივნისში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ემოციის ფრეიმიინგისთვის ორივე მოსაუბრე მიჰყვება მსგავს სისტემას (დადებითი იდენტობის შექმნა – ფრეიმიინგი – ემოციის იმპლიკაცია), მაგრამ იყენებს განსხვავებულ ტექნიკებს და ყურადღებას ამახვილებს განსხვავებულ ღირებულებებზე. არსებული განსხვავებები ახსნილია ჰოფსტედეს (1983) კულტურული განზომილებებით (კერძოდ მასკულინური და ფემინისტური საზოგადოებების მახასიათებლებით) და შედეგად წარმოდგენილია საკითხისადმი კომპლექსური ინტერდისციპლინური მიდგომა, რაც გულისხმობს კულტურის, სოციუმისა და ენის ერთობლივი კვლევისთვის საჭირო თეორიული მოდელის შექმნას. ეს მოდელი გულისხმობს მცდელობას, ჰოფსტედეს (1983) კულტურული განზომილებების საფუძველზე აიხსნას, თუ როგორ ხდება განსხვავებულ კულტურებსა და სოციუმებს შორის ემოციის ფრეიმიინგი და რა როლს ასრულებს ემოციის გენდერული ნიშნით სტერეოტიპირება ემოციის ფრეიმიინგში.

Natia Zardiashvili

Framing Emotion in Public Speaking: Gender and Socio-Cultural Aspects

Although expressing emotions is widely discussed in different scientific fields such as psychology, culture studies, sociology, linguistics and more (Izard 1991; Ekman 1999; Moors et al. 2013; Koveces 1990), the combination of processes that trigger the transmission of emotion is still the subject of study. Various researches focus on the semantics of lexical items (Ekman 1999; Russell 2003) which is problematic for the analysis of emotion itself as a socio-cultural phenomenon, because languages as well as cultures are not identical, and therefore the concepts of emotion can be quite different. (see Wierzbicka 1999). The aim of this paper is to discuss relevant theories that focus on the socio-cultural and gender aspects of emotion framing.

Consequently, the article focuses on emotion framing and compares two presidential candidacy speeches (Hilary Clinton’s and Donald Trump’s) from the USA elections; speeches were recorded in June 2015. The research showed that both speakers follow the same pattern of emotion framing (positive social identity construction-framing-emotion implication) but used different techniques and emphasised different values throughout the speech. These differences were linked to Hofstede’s (1983) definition of cultures with high versus low masculinity rate and in the end, assumptions were made about how gendered stereotypes influence different ways of framing emotions. As a result, the research offers a complex interdisciplinary approach to the issue, which involves the creation of a theoretical model for the joint study of culture, society and language.

ანასტასია ზაქარიადე

ქრისტიანული ეთიკის პოსტიზანტიური წაკითხვა¹

ადრეული განმანათლებლობის ეპოქაში შექმნილ საღვთისმეტყველო დოკუმენტებში – აუგსბურგის აღსარება (ლათ. Confessio Augustana) პაპის რეფუტაცია – (ლათ. Confutatio Pontificio) ნათლად ჩანს ქრისტიანული

¹ მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ-ის გრანტის – „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ NFR-19-7625 – ფარგლებში.

ეთიკის ღირებულებათა ახლებურად გააზრების, რეკონსტრუქცია-რეფორმაციისა და დამკვიდრების ტენდენცია.

რუმინეთში მოღვაწე ვლახეთის მიტროპოლიტი, ღრმად განსწავლული ღვთისმეტყველი, შესანიშნავი ორატორი, ტიპოგრაფი, აღმოსავლეთ საქრისტიანოში სასტამბო საქმის ორგანიზატორი, ქტიტორი და პოლიგლოტი წმ. ანთიმოზ ივერიელი სრულად ფლობს არსებულ მდგომარეობას. იგი, ერთი მხრივ, ცდილობს, შეინარჩუნოს ქრისტიანული კულტურის ბიზანტიური ტრადიცია; მეორე მხრივ, კი მზადაა ეპოქის მიერ შემოთავაზებული დისკურსის ფორმატში უპასუხოს ეპოქის გამოწვევებს. ანთიმოზ ივერიელს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული მისი თანადროული ეპოქის ადამიანის სულიერი მდგომარეობა. თუმცა იგი ღმერთს აშკარად არ უარყოფს, მაგრამ ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრება მას უმეტესად აკარგვინებს უშუალო კავშირს ტრანსცენდენტურთან. ღმერთთან ცოცხალი კავშირის ეტაპობრივი შეწყვეტით ადამიანი საკუთარ ცხოვრებას მხოლოდ სარგებლის ეთიკის ფარგლებში მოაქცევს; ამიერიდან იგი მას მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობიდან გამომდინარე იღებს. ნებისმიერი სულიერი ვნება, მაგალითად ცოდვა, რომელიც ქრისტიანულ ეთიკაში წმინდა მამათა ტრადიციული სწავლებით არის ადამიანის სულიერი სიმაღლიდან დაცემა, უმთავრესად განიხილება, როგორც ადამიანის ბუნებითი სისუსტე, რომელიც საუკეთესო სოციალური და ეკონომიკური ორგანიზების შედეგად აღმოიფხვრება.

ქრისტიანულ ეთიკაში პოსტელინური მემკვიდრეობის ადაპტაცია განაპირობა არსისა და ჰიპოსტასის განსხვავებამ. ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობის ქრისტიანული ეთიკის ქრილიდან ანალიზმა წარმოაჩინა კაპადოკიელი მამების: ბასილი დიდის, გრიგოლი ნაზიანზელის, გრიგოლი ნოსელის სწავლებათა ღრმა კვალი. ანთიმოზის ნააზრევში მათი გავლენა ნათლად ჩანს – ანთროპოლოგიური თემატიკის წინ წამოწევაში, ადამიანის, როგორც სახეობითი არსების გაგების უარყოფაში. ანთიმოზ ივერიელის ქრისტიანულ ეთიკაში ადამიანი შეიცნობა ქცევებში, მის მიერ განხორციელებული აქტებით. ადამიანის, როგორც გონიერი არსების, გაგებას ენაცვლება პიროვნება. ანალიზმა ცხადყო ანთიმის შემოქმედებაში იოანე დამასკელის, დიონისე არეოპაგელის არსობრივი გავლენებიც; კონკრეტულად, ეს არის გამოვლენილი ყოფიერების, როგორც იერარქიული პრინციპის, გაგებაში. ასევე ნათლად ჩანს, რომ ანთიმისათვის მიუღებელია ბიზანტიური ფილოსოფიის (მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის) რაციონალისტური მიმართულება, ხოლო სიმეონ ახალი ღვთისმეტყველისა და გრიგოლი პალამას მისტიკური ისიხაზმი სრულადაა გაზიარებული. არსისა და ენერგიისგან განსხვავებით, ღმერთში მოაზრებულია ღმერთის ტრანსცენდენტურობა სამყაროს მიმართ, ოღონდაც საკუთარი „ენერგიების“ წყალობით. მაგალითად,

მადლის წყალობით მას შეუძლია, გახდეს იმანენტური. ანთიმოზ ივერიე-ლის პოსტბიზანტიურ ქრისტიანულ ეთიკაში გადააზრებულია ადამიანისა და ღმერთის სინერგიული კავშირი.

Anastasia Zakariadze

Post Byzantine explication of Christian Ethics¹

In one of the most important theological documents of early European enlightenment,- the Augsburg Confession, also known as the Augustan Confession (its Latin name, Confessio Augustana) and the Roman Catholic refutation (confutation) (its Latin name Confutatio Pontificio),- are clearly seen tendency of rethinking, reconstruction, reformation and establishment of values of Christian ethics.

Saint Anthim the Iberian, metropolitan of Wallachia, deeply enlightened theologian, brilliant rhetorician of the epoch, Typographer, organizer of typographical activities in Eastern Christian world, ktetor and polyglot, was fully owned the existing status quo. He on one hand tried to keep Byzantine tradition of Christian culture and on the other hand-he was ready to answer the challenges of epoch in the format of discourse offered by the epoch. He one the one hand tries to byzantine tradition of Christian culture; and on the other hand, he is ready to answer challenges in a format offered by discourse of the epoch. Anthim the Iberian deeply understands spiritual condition of a human of his contemporaneous epoch. However, he obviously does not deny God, but his earthly life for the most part deprives him of the direct connection of the Transcendental. With the gradual cessation of redolent union with God, human will turn his life only within the ethics of benefit; From now on he will get it only on the basis of material prosperity. Any spiritual passion, such as e.g. sin, which, according to the traditional teachings of the Holy Fathers in Christian ethics, is the fall from the spiritual height of man, mostly discussed as the natural weakness of man, is suppressed as a result of the best social and economic organization.

The adaptation of post-Hellenic heritage in Christian ethics was caused by the difference between essence and hypostasis. Analysis from the layer of Christian ethics of Anthim's philosophical-theological heritage reveals a deep influence of teaching of the Cappadocian Fathers-Basil the Great, Gregory of Nazianzus, Gregory of Nyss. It is clearly seen in the advancement of anthropological themes, such as- the denial of human understanding as a species. For Anthim human be known for his or her actions. Understanding of human as a

¹ prepared in the frame of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia granted project #FR-19-7625 "Anthim the Iberian – A part of European Space of Thinking

rational being is replaced by Personality. We can also discuss the substantial influences of John of Damascus, Dionysus the Areopagite on Anthim, -specifically, this is manifested in the understanding of existence as a hierarchical principle. The rationalist direction of Byzantine philosophy (Michael Pselos and John Italos) is unacceptable to Anthim, while the mystical outline of Simeon the New Theologian and Gregory Palamas is fully shared. In contrast to essence and energy, God considers the transcendence of God in relation to the universe, but also thanks to his own "energies". For example, thanks to grace, he can become immanent. In the post-Byzantine Christian ethics of Anthim the Iberian, the synergistic union of man and God is reconsidered.

რუსუდან ზექალაშვილი

იმპერსონალურ ზმნათა ბუნების ფსიქოლოგიური ახსნა (დ. უზნადის ერთი ნაშრომის მიხედვით)

კარგა ხანია, ლინგვისტების ყურადღება მიიპყრო იმპერსონალურმა ზმნებმა, რომლებიც ასახავს მეტეოროლოგიურ მოვლენებს ან ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს. მათი ბუნების ახსნას ასევე ცდილობდნენ ფსიქოლოგები, ლოგიკოსები, გნოსეოლოგები და ფილოსოფოსები. ასეთი დიდი ინტერესი გამოიწვია იმან, რომ ენათა დიდი ნაწილი შესაბამისი შინაარსის გადმოსაცემად იყენებდა ზმნის იმპერსონალურ ფორმას, როცა პირის შესაბამისი სუბიექტი არც აღდგებოდა და არც იგულისხმებოდა. ამ მიზნით ზოგიერთმა ენამ მიმართა სპეციალურ უპირო ნაცვალსახელსაც (გერმ. es, ინგლ. it), ქართულმა კი ეს ნულვალენტოვანი ზმნები გააფორმა მესამე სუბიექტური პირის ნიშნით.

ფსიქოლოგები ცდილობდნენ, გაერკვიათ იმპერსონალურ ზმნათა ბუნება და უკავშირებდნენ მათ ადამიანის მიერ გარემო მოვლენების სპეციფიკურ ახსნას. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი უზნადის ნაშრომი „იმპერსონალია“ (ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“, 1923). დიდმა ფსიქოლოგმა მიმოიხილა უცხოელ მეცნიერთა შეხედულებები ამ საკითხის შესახებ (ვუნდტი, შტაინთალი, ზიგვარტი, იერუსალემი, ბრენტანო...) და დააყენა საკითხი, რამდენად შესაძლებელია ამ ტიპის ზმნების შემცველი ფრაზების ჩათვლა მსჯელობად ან წინადადებად.

დ. უზნადის აზრით, იმპერსონალურ ზმნებში ასახულია აღქმათა შინაარსის მთელი კომპლექსი, ხოლო შესაბამისი წინადადება თავისი სრული სახეობის ერთგვარი **აბრევიაციაა**, რადგან უსუბიექტოა ანუ უსუბსტრატო. ქართველი ფსიქოლოგი არ ეწინააღმდეგება ვ. ვუნდტის მოსაზრებას, რომ ასეთ ზმნებში შესაძლებელია სულიერი აგენსი იყოს ღვთაება.

მეცნიერი ასე ხსნიდა იმპერსონალურ ზმნათა და მათ შემცველ წინადადებათა წარმოქმნის ფსიქოლოგიურ სურათს: ცნობიერებაში შესაბამის **შეგრძნებათა ნაკადი** იწყებს მოძრაობას და ემყარება **ქვეფსიქიკურ** არეს. მაგალითად, წვიმის ქვეფსიქიკური ეკვივალენტი – ცნობიერი ანარეკლი – უდრის შეგრძნებათა მთლიან კომპლექსს და ადამიანი ასე ასახავს ობიექტურ სინამდვილეს.

დ. უზნაძემ ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ქართულ ლინგვისტიკაში გამოყენებული ტერმინი „**პირნაკლი**“ უფრო შესაფერისია ამ ტიპის ზმნებისთვის, ვიდრე „**უპირო**“, რადგან გრამატიკულად ზმნაში პირი აღნიშნულია, მხოლოდ ლოგიკურად ან ფსიქოლოგიურად არ არსებობს ის.

მიუხედავად იმისა, რომ დ. უზნაძის აღნიშნული ნაშრომი თითქმის საუკუნის წინ დაიწერა, მას აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს. ფსიქოლოგების შეფასებით, სწორედ ამ წერილში ჩამოაყალიბა მეცნიერმა თავისი ფუნდამენტური თეორიის მონახაზი და ენობრივი ფენომენის ანალიზით მივიდა გარკვეულ ბიოსფერულ რეალობასთან. მან პირველად გამოიყენა ახალი ტერმინი „ქვეფსიქიკური“, ფსიქიკასა და მატერიალურ სინამდვილეს შორის არსებული, რომელიც მანამდე უცნობი და აუხსნელი სფერო იყო, განპირობებული არაცნობიერი ფსიქიკით. „ქვეფსიქიკური განისაზღვრება გარეგანი ზემოქმედებით, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს მთელ ფსიქიკურ ცხოვრებას, იმპერსონალიათა დამახასიათებელი თავისებურებების ჩათვლით“ (ი. იმედაძე, რ. საყვარელიძე).

დ. უზნაძის ნაშრომი „იმპერსონალია“ კიდევ ერთხელ მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანია ლინგვისტური პრობლემების კომპლექსური ახსნა, რადგან ნებისმიერი ენობრივი ფორმა თუ ნომინაცია განპირობებულია ფსიქოლოგიურად და სამყაროს ენობრივი ხატის ნაწილია.

Rusudan Zekalashvili

Psychological Explanation of the Character of Impersonal verbs

(According one of the works by D. Uznadze)

It has been quite a long time now since the linguists paid their attention to the impersonal verbs expressing meteorological phenomena or physiological processes taking place in the human organism. The experts of psychology, logics, gnoseology and philosophy also tried to explain the nature of this type of verbs. Such broad interest resulted from the fact that the most number of the languages, in order to deliver corresponding content, used impersonal forms of verbs in case when the subject which corresponded to the person of the verb

could not be reconstructed or was not meant. For this purpose, some languages refer to special impersonal pronouns (Germ. es, Engl. it). As for the Georgian language, such zero-valence verbs are formalized by the third subjective person, singular.

Psychologists tried to determine the nature of the character of the impersonal verbs. They tied their nature to the people's specific definition of the environment event. here we should speak about very important work by D. Uznadze "Impersonalia" (journal "Our Science", 1923). The great psychologist observed the views of the world's great scientists on this problem (such as Wundt, Steinthal, Sigwart, Jerusalem, Brentano school) and forwarded the question if it was possible to regard the phrases containing the above mentioned types of verb, as a discussion or a sentence.

D. Uznadze considers that impersonal verbs reflect the whole complex of the perceptual content. As for a corresponding sentence, it is an **abbreviated expression** of the complete variation of itself, as it lacks subject matter, i.e. lacks substratum. Georgian psychologist does not contradict with the consideration by Wundt that the mental agent can be divinity.

The scientist explained psychological picture of the impersonal verbs and sentences which contained such verbs in the following way: a stream of corresponding sensations starts moving basing on **sub-psychical** areal. For example, the **sub-psychical** equivalent – a cognitive reflection – is equal to the whole complex of sensations and this is the way we reflect the objective reality.

D. Uznadze paid attention to the fact also, that the Georgian linguistic term "**pirnakli**" denoting the impersonal verbs (**lacking the person**), is more precisely corresponding to such types of verbs than "**upiro**" ("**without person**" - **impersonal**) because, in fact, grammatically, the subject of the verbs is evidenced but logically or psychologically it does not exist.

Though the denoted work by D. Uznadze was completed nearly a century ago, it is still important. The psychologists consider that this scientific article was the first work in which D. Uznadze gave the first perspective of his fundamental theory and through analysis of the linguistic phenomenon approached a certain biospheric reality. He was the first to use the term "sub-psychical" denoting something between psychics and materialistic reality. This had been yet unknown and unexplained sphere, conditioned by subconscious perception. "Sub psychical is determined by the outer influence which in its turn conditions the whole psychical life, including the peculiarities characteristic for impersonalities" (I. Imedadze, R. Sakvarelidze).

The work by D. Uznadze, "Impersonality" acknowledges once again how much important it is to explain the linguistic problems in complex, as any language-form or nomination is conditioned by psychology and represents a part of the linguistic worldimage.

დარეჯან თვალთვადე

სახარების საკითხავები ლიტურგიკულ კრებულში „სანელინდო სახარება“

„სანელინდო სახარება“ ლიტურგიკული კრებულის ერთი ტიპია, რომელშიც წარმოდგენილია მთელი წლის განმავლობაში ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს საკითხავი ტექსტები სახარება-ოთხთავიდან (აქედან სახელწოდება „სანელინდო“). მასში ტექსტები დალაგებულია არა სახარება-ოთხთავში წარმოდგენილი თანმიმდევრობით, არამედ ღვთისმსახურებისთვის დადგენილი წეს-განგებით (ტიპიკონით) განსაზღვრული კალენდარული რიგით და სახარებებიდან შერჩეულია („გამოკრებილია“) ის ადგილები, რომლებიც თემატურად უკავშირდება საეკლესიო კალენდრის კონკრეტულ დღესასწაულს (აქედან სახელწოდება „სახარება გამოკრებული“).

ასეთი „გამოკრებილი სანელინდო სახარება“ („სახარება სანელინდოდ გამოკრებული“) ადრეულ ხელნაწერებში არ ჩანს. X საუკუნემდე ბიბლიური წიგნებიდან გამოკრებილი საკითხავები ერთ კრებულში – „ლექციონარში“ იყო წარმოდგენილი, სადაც ძველი აღთქმის საკითხავების გვერდით შესაბამის ადგილს იკავებდა საკითხავები ახალი აღთქმის წიგნებიდან, მათ შორის სახარებებიდან. მას შემდეგ, რაც „ლექციონარი“ ორად გაიყო (X საუკუნიდან), იწყება სპეციალური კრებულების შექმნა, სადაც მხოლოდ ძველი აღთქმის (ძირითადად წინასწარმეტყველთა) წიგნებიდან გამოკრებილი საკითხავებია გაერთიანებული („პროფიტოლოგიონები“, „პარემიონები“) და კრებულები, სადაც ახალი აღთქმის საკითხავებია შეტანილი („გამოკრებული სახარება-სამოციქულო“), ჩნდება კრებულებიც, რომლებიც მხოლოდ სახარების საკითხავებს შეიცავენ. „სანელინდო სახარება“ („აპრაკოსი“) სწორედ ერთ-ერთი ასეთი კრებულია, მასში წარმოდგენილია აღდგომის კვირიდან დაწყებული მთელი წლის განმავლობაში ღვთისმსახურების დროს საკითხავი მასალა იოანეს, მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებიდან.

ლიტურგიკულ კრებულებში დაცული ბიბლიურ წიგნთა საკითხავები ყოველთვის იქცევა ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტის მკვლევართა ყურადღებას, განსაკუთრებით ეს ითქმის ლექციონარებზე, რომელთა შესწავლა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწყო და დღეს, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესწავლა ამონურული არ არის, შეიძლება ითქვას, მეტწილად დადგენილია ამ კრებულის სტრუქტურა, მასში მომხდარი ცვლილებები და ლექციონარში წარმოდგენილი ბიბლიური საკითხავების შესაბამის ბიბლიურ ტექსტთან მიმართების საკითხიც. ლექციონარებისაგან განსხვავებით, მკვლევართა ყურადღების მიღმაა დარჩენილი ბიბლიური

საკითხავების შემცველი სხვა კრებულები (ალბათ იმიტომ, რომ ისინი შედარებით გვიან ჩამოყალიბებული კრებულებია, შედარებით გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული და ივარაუდება, რომ ბიბლიის ტექსტის კვლევისთვის ნაკლებად ღირებულია). ეს ითქმის „სანელინდო სახარების“ შესახებაც, რომლის შემცველი ხელნაწერები მრავლად მოგვეპოვება. მართალია, მათი უმრავლესობა გვიანდელი ნუსხაა, მაგრამ გვაქვს XI საუკუნის რამდენიმე ხელნაწერიც, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ტიპის კრებულის სტრუქტურისა და შედგენილობის დასადგენად, არამედ მათში წარმოდგენილი სახარების საკითხავების ტექსტის რაობის, მის შესაბამის ბიბლიურ ტექსტთან მიმართების დადგენის თვალსაზრისით. ამ მხრივ კი „სანელინდო სახარებები“ დღემდე არ გამხდარა შესწავლის ობიექტი.

ჩვენს მოხსენებაში წარმოდგენილია ცდა XI საუკუნის ხელნაწერის მაგალითზე, რომელიც 1043 წელს შეიქმნა ათონის ივერთა მონასტერში „წესისაებრ სოფია წმიდისა და ასტუდიისა და ყოველთა ეკლესიათაებ საბერძნეთისასა“ და დღემდე ინახება „ივირონის“ წიგნთსაცავში (N60), ვაჩვენოთ ამ ტიპის ლიტურგიკულ კრებულებში დაცული სახარების საკითხავების მნიშვნელობა სახარება-ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის კვლევისა და ისტორიისათვის. ტექსტოლოგიური კვლევა ჩატარებულია ათონურ „სანელინდო სახარებაში“ წარმოდგენილ მათეს სახარების საკითხავების მაგალითზე, რის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ კრებულში დაცული მათეს სახარების საკითხავები, მათეს სახარების შესაბამის ტექსტებთან მიმართების თვალსაზრისით, საინტერესო სურათს გვიჩვენებს. მათში გვაქვს ისეთი იკითხვისები, რომლებიც მათეს სახარების შემცველ არცერთ ძველ ნუსხაში არ დასტურდება.

Darejan Tvaltvadze

The Readings of the Gospel in the Liturgical Collection “The Annual Gospel”

“The Annual Gospel” is a type of a liturgical collection that includes the texts from the Four Gospels read during the church services throughout the year (hence the name „სანელინდო“/“satselitsdo”/“annual”). The included texts are arranged not in the order presented in the Four Gospels, but in the calendar order defined by the ordinance (typicon) and the passages selected („გამოკრებული“/“gamokrebuli”) from the Gospels that are thematically related to a particular ecclesiastical holiday (hence the name „სახარებაჲ გამოკრებული“/“sakharebai gamokrebuli”/“The Selected Gospel”).

Such “Selected Annual Gospel” („სახარებად სანელინდოო გამოკრე-ბული“/”sakharebai satselitsdoi gamokrebuli”) was not presented in the earlier manuscripts. Before the 10th century, the readings selected from the biblical books had been included in the collection “Lectionary”, which had presented the readings from the Old Testament as well as the New Testament, including the Gospel. After the split of “Lectionary” (from the 10th century) into two parts, the special collections began to be compiled. They included only the readings selected from the books of the Old Testament (mostly, the Prophets” ones: Prophetologions, Paremions) and collections containing the readings from the New Testament (“Selected Apostolic-Gospel”). Some collections presenting only the readings of the Gospel also appeared. The “Annual Gospel” (“Apracos”) is one of those collections. It includes the readings (from the Gospels of John, Matthew, Mark and Luke) that should be read during the church services - since Easter throughout the year.

The readings of the biblical books presented in the liturgical collections have always attracted the attention of the researchers of the Georgian translation of the Bible, especially, of the lectionaries, whose study began more than a century ago. Although the study is not exhaustive, it can be admitted that the structure of this collection, its alterations and the issue of the relation between the biblical reading presented in the lectionary and the corresponding biblical texts have been largely defined. In contrast to the lectionary, other collections presenting the biblical readings are beyond the researchers” attention (The reason can be the fact that they were compiled later. At the same time, they are presented with the relatively later manuscripts and are thought to be less valuable for the study of the text of the Bible). The same can be said about “The Annual Gospel”, which is included in many manuscripts.

It is true that most of them are later ones. However, there are several manuscripts of the 11th century that are important not only to determine the structure and composition of this type of a collection, but also to define the text of the Gospel readings and its relation to the corresponding biblical text. In this respect, “The Annual Gospels” have not become the object of study.

Our paper makes the attempt to determine the importance of the Gospel readings of liturgical collections for the history and research of the text of the Georgian translations of the Four Gospels (on the example of the eleventh-century manuscript created in 1043 in Monastery of Ivron "in accordance with the rule of Holy Sophia and Astudius and all Greek Churches". This manuscript is still preserved in the depository of “Ivorn” (N60)). The textological study is based on the example of the readings of the Gospel of Matthew included in “The Athonite Annual Gospels”. It can be admitted that the readings of the Gospel of Matthew presented in this collection show an interesting picture in relation to the relevant texts of the Gospel of Matthew. They include such readings that are not attested in any of the old lists, including the Gospel of Matthew.

სოფიო თოთიბაძე

ზღაპრის ენაში ასახული გენდერული სტერეოტიპების გავლენა პერსონაჲის აღქმაზე

სოციოლინგვისტური ბუნებიდან გამომდინარე, ზღაპარი ხშირად გამოიყენება იმ პრობლემების გამოსახატავად, რომლებიც საზოგადოებას აწუხებდა მისი შექმნის პროცესში. გენდერული კვლევების პოპულარულობის მატებასთან ერთად, ზღაპარი და მასში წარმოდგენილი გენდერული უთანასწორობისა თუ სტერეოტიპული დამოკიდებულების თემა ასევე ხშირად იპყრობს ლინგვისტების ყურადღებასაც. ჩატარებული კვლევა-ექსპერიმენტის საკვლევი მიზანი იყო, დაედგინა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართველ საზოგადოებას ზღაპარში წარმოდგენილი გენდერული სტერეოტიპებისადმი და არის თუ არა სქესი განმსაზღვრელი ფაქტორი გენდერულად სტერეოტიპულ აზროვნებაში. ექსპერიმენტის მონაწილეებმა, განურჩევლად მათი სქესისა თუ ასაკისა, საზოგადოებაში გავრცელებული მამაკაცური თუ ქალური სტერეოტიპებიდან გამომდინარე, უპასუხეს კითხვებს. როგორც გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზღაპრებში მთავარი და აქტიური გენდერული როლების გადანაწილების პროცესში უპირატესობა ენიჭება მამაკაცს, ხოლო ქალი იკავებს მეორეხარისხოვან როლს; შესაბამისად, გაანალიზებულ ზღაპრებში ქალების დასახასიათებლად მოხმობილი ლინგვისტური არსენალი მისი უსუსური და სუსტი იმიჯის შექმნას უწყობს ხელს. ასევე ხშირია ქალის გარეგნული სილამაზის აღმწერი პორტრეტი, მაშინ, როცა მისი შინაგანი ბუნება იგნორირებულია; ასევე გამოვლინდა, რომ ემოციების შებოჭვა ექსპერიმენტის მონაწილეებისთვის მამაკაცის მახასიათებელია, ხოლო ზედმეტი ემოციურობა ქალისა.

საკვანძო სიტყვები: სოციოლინგვისტიკა, გენდერი, ზღაპარი.

Sopio Totibadze

The Influence of Gender Stereotypes Manifested in Language on the Perception of the Character

Due to the sociolinguistic nature, fairy tales are frequently utilized to express the issues troubling the community in the period of their creation. Following the rise in popularity of gender studies, fairy tales and the issues of gender (in)equality attract the attention of linguists.

This research, based on the electronic questionnaire, aimed to determine the attitude of the members of Georgian society towards gender stereotypes as expressed in fairy tales and whether the sex of a reader is a determining factor in gender-stereotypical thinking. The results of the research revealed that participants of the experiment, regardless of their gender or age, answered the questions from the standpoint of gender stereotypes simmered down in Georgian society; Besides, the majority of respondents look at men characters as playing active roles in fairy tales, whilst women are perceived as secondary characters. Linguistically, women are portrayed as weak, dependent and fragile heroines; they are mostly described as beautiful creatures whereas their inner features are discarded. As well as this, participants indicated that excessive emotionality is typical of women whereas men are not expected to express emotions openly.

მაია თუხარელი

კომიკურობის საკითხი რუსულ ლიტერატურულ ზღაპართან მიმართებით

ბოლო დრომდე ლიტერატურული ზღაპარი არ იმსახურებდა მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას. მას მიმართავდნენ რომელიმე ავტორის პერსონალური შემოქმედების შესწავლისას, თუმცა ლიტერატურული ზღაპრის განვითარება მეოცე საუკუნეში შესანიშნავი მოვლენაა., ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი მძაფრი და მრავალფეროვანი. ა. ნ. ტოლსტოი, იუ. კ. ოლეშა, ს. ჩორნი, კ.ი. ჩუკოვსკი, ე.ლ. შვარცი, ლ. ლაგინი, ე.ნ. უსპენსკი, ლ. პეტრუშევსკაია – არიან ის ავტორები, რომელთა მნიშვნელობა რუსული ლიტერატურისთვის არათანაბრადაა შეფასებული, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში ეს მნიშვნელობა უდავოა.

კომიკური სტიქია ლიტერატურულ ზღაპარში განისაზღვრება სხვადასხვაგვარი მოტივაციების შემადგენლობით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მოტივაციების ერთმანეთში ჩანაცვლებით.

კომიკური ასპექტი ლიტერატურულ ზღაპარში ტრადიციულად აჩენს საკუთარ თავს როგორც ესთეტიკური კატეგორია, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ ობიექტზე მიმართულ სიცილს. შემოქმედებითი თვალსაზრისით, ეს არის აქტიური ფორმა. მისი მთავარი თვისება წინააღმდეგობაა, როგორც ცალკე აღებულ პიროვნებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ან ინდივიდუალური მოვლენების შეფასების შედეგად. აქ, ანალოგიის მიხედვით, შეგვიძლია ვისაუბროთ მდგომარეობის ზღაპრებისა და ხასიათების ზღაპრების შესახებ.

კომიკური ხერხის სახით ნაჩვენებია პაროდირება, შარჟი, კოლაჟი, მონტაჟი, მეტაფორული დაშლა, სტილიზაცია, გროტესკი, „კონსტრუირება“, თამაში, სახვითი-სამეტყველო შეუსაბამოებები პარადოქსის ელფერით. ლიტერატურულ ზღაპარს არ ახასიათებს დაცინვისა და სარკაზმის პათოსი. იუმორისთვის ჩვეულია უსრულო, როგორც წესი, აპოლიტიკური ხასიათის პრობლემები.

კომიკური დატვირთვა ვლინდება როგორც სიუჟეტისა და პერსონაჟების ტიპების დონეზე, ასევე კომიკური ეფექტის შექმნის პროცესში ჩართული ტექნიკის დონეზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებია სიტყვის, მეტყველების თავისებურებების კომიზმი, უფრო ფართოდ – ნაწარმოებების ენა, რომლებიც მჟღავნდება კალამბურში, იდიომის დაშლაში. თამაში ვლინდება სტილში, ნაწარმოებების ენაში, როგორც სიტყვებით თამაში: ხუმრობები, პაროდები, ფელეტონი, სიტყვათა თამაში. ლიტერატურული ზღაპრის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ორმიმართულიანობა, რომელიც ერთდროულად ეხება ბავშვებსა და ზრდასრულებს. ამასთან ერთად, ზღაპრის „ზრდასრული“ შინაარსი ხშირად ქვეტექსტში რჩება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ზღაპარ-მოთხრობისთვის, მისი ზღაპრული და რეალისტური ელემენტების სპეციფიკური შეხამებით. „ტირანებსა და დესპოტებსო ეწინააღმდეგებიან გმირები, რომლებმაც იციან სიყვარული, მეგობრობა, შეუძლიათ სუსტების დაცვა, განაწყენებულთა ნუგეში და სამართლიანობის აღდგენა.

მაშასადამე, ლიტერატურულ ზღაპრებში გარდაიქმნება ხალხური ზღაპრების მარადიული მოტივი – მუდმივი ბრძოლა სიკეთისა და ბოროტებას შორის, ნათელი და ბნელი საწყისების დაპირისპირება.

Maia Tukhareli

Comic in a Russian Literary Fairy

Until recently, the literary fairy tale hasn't come under the spotlight of researchers. Invoking this theme occurred within the framework of studying personal creativity of any author. However, the development of the literary fairy tale in the twentieth century is a remarkable phenomenon, and in recent decades - rapid and diverse.

Comic in a literary fairy tale implements itself traditionally – as an aesthetic category denoting laughter oriented at a specific object. It is a creatively active form. Its basic feature is the contradiction as a consequence of the evaluation of public or personality-related phenomena. Here we can speak, by analogy, about the fairytale of positions and the fairytale of characters.

Comic effect is expressed both at the plot level and at the level of character types, as well as techniques involved in creating the comic effect. But important factors are the comic side of the word, speech characteristics, more broadly - the language of works that manifest themselves in a pun; in the destruction of the idiom. The game manifests itself in style, in the language of works as a play on words: pranks, parodies, feuilleton, and wordplay.

The most characteristic feature of a literary fairy tale is bidirectionality, which is simultaneously applied both to children and adults. Moreover, the "adult" content of the fairy tale often remains in the subtext. "Tyrants and despots" are opposed by heroes who can love, make friends and are able to protect the weak, comfort the offended and restore justice.

Thus the eternal motif of folk tales - the struggle between good and evil, light and darkness - is transformed in the literary fairy tale.

ნაზი ირიცპუხოვა

კოვიდ-19-ის მეტაფორები ქართული ახალი ამბების დისკურსში

არსებული კვლევა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს, თუ როგორ ხდება ახალი კორონავირუსის ფრეიმიინგი ქართულ მედიაში, კერძოდ, ახალ ამბებში, რუსთავი 2-ის რეპორტაჲების მაგალითზე. მონაცემების გაანალიზების მიზნით, გამოყენებული იქნა დისკურსის მეტაფორებისა (Zinken et al, 2008) და მეტაფორული სტენარების (Musolff, 2006; 2016) თეორიები. მეთოდოლოგია ასევე ეყრდნობა ადრეულ კვლევებს ინფექციებისა და სხვა დაავადებების შესახებ, როგორებიცაა: სარსი (SARS), ფრინველის/ჩიტის გრიპი, ზიკა, ფეხისა და პირის ღრუს დაავადება, შიდსი, კიბო და ა.შ. მეტაფორული ენობრივი გამონათქვამების იდენტიფიცირებისთვის იყო გამოყენებული მეტაფორული იდენტიფიკაციის პროცედურა (Pragglejaz Group, 2007) და მისი უახლესი და უფრო დახვენილი ვერსია [MIPVU] (Steen et al., 2010).

არსებული კვლევის მიზანი ასევე იყო იმის ჩვენება, რომ მეტაფორა არის როგორც კოგნიტური, ასევე სოციალური ფენომენი. უფრო მეტიც, მეტაფორა არის დისციპლინური დისკურსების გადაკვეთის მთავარი ინსტრუმენტი; პირდაპირი ენისგან განსხვავებით, მეტაფორებს შეუძლიათ, გააფართონ ჩვენი ხედვა და მიგვანოდონ უფრო მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია.

სულ იყო გაანალიზებული 2 348 რეპორტაჲი, რომელიც უშუალოდ ეხებოდა ქვეყანაში არსებულ ბიოუსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სიტუ-

აციას კორონავირუსთან დაკავშირებით, საქართველოში პირველი შემთხვევის დადასტურებიდან, ანუ 26 თებერვლიდან, 12 მაისამდე, როდესაც დადასტურებული შემთხვევების რაოდენობამ იკლო და შეზღუდვების უმეტესი ნაწილი იყო მოხსნილი. აქედან გამოვლინდა 456 რეპორტაჲი (19,42%), რომლებიც შეიცავდა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ მეტაფორულ გამონათქვამებს.

კვლევამ აჩვენა, რომ მეტაფორული სცენარები წარმოადგენენ ნარატიული და დისკურსული ფრეიმინგის მნიშვნელოვან საშუალებას როგორც ჟურნალისტებისთვის, ასევე მეცნიერთათვის და პოლიტიკოსებისთვის. მეტაფორები ქმნიან/აყალიბებენ რეალობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკის შემუშავებასა და დაგეგმვაში (Koteyko, Brown, And Crawford, 2008: 258-9). მეტაფორებს შეუძლიათ, პირდაპირ შექმნან საჯარო პოლიტიკა და დაარწმუნონ ხალხი, აღიარონ მიღებული ზომები როგორც სწორი და გონივრული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში ახალი კორონავირუსის პანდემია განხილული იყო ომის, მოგზაურობისა და ბუნებრივი კატასტროფის სუპერსცენარებთან (Nerlich, 2011) დაკავშირებული მეტაფორების მეშვეობით, რომელთა შორის ომის წარმოების სცენარი აღნიშნული დროის მონაკვეთში, დომინანტური რჩებოდა.

ამასთან, მონაცემები გვიჩვენებს, რომ კორონავირუსი შესაძლოა, იყოს კარგი წყარო პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების „ფრეიმინგისთვის“: მათ შორის, ისეთების, როგორებიცაა: გლობალიზაციის წარუმატებლობა, ქსენოფობია და საქართველოში მომავალი საპარლამენტო არჩევნების სისტემა („გიორგი თარგამაძის ფორმულა“ მაგალითზე).

Nazi Iritspukhova

COVID-19: War of Metaphors The Coverage of novel Coronavirus Pandemic in Georgian News Reports

The paper uses the concepts of discourse metaphors (Zinken et al, 2008) and metaphor scenarios (Musolff, 2006; 2016) to analyze media discourses, particularly those of COVID-19 news reports, (Novel coronavirus) in Georgia. The time span runs from the first confirmed case of COVID-19 in Georgia, i.e. February 26th, till mid-May. The methodology also relies on earlier studies of infections and other diseases such as SARS, avian/bird flu, ZIKA, Foot and Mouth Disease, AID/HIV, cancer, etc. For identifying metaphorical linguistic expressions, the combination of Metaphor Identification Procedure [MIP] (Pragglejaz Group, 2007) and MIP-Vrije University [MIP-VU] (Steen et al., 2010) was employed.

The aim of the present study was to show that metaphors are cognitive as well as social phenomena. The research demonstrated that they can directly shape the public policy and lead people to the recognition of the measures taken as correct and sensible. Scenarios provide important narrative and discursive framing devices for journalists, but, as we have seen, also for scientists and policy makers. Metaphors construct, or frame, views of reality, which can be used in policy making and planning (Koteyko, Brown, And Crawford, 2008: 258-9). Overall, 2,348 news reports were thoroughly analyzed, out of which 456 accounts (19.42 %) were found to contain metaphorical linguistic expressions related to COVID-19.

The revealed metaphors demonstrate that the pandemic in Georgia is mostly framed in terms of the WARFARE, JOURNEY and DISASTER super-scenarios (Nerlich, 2011). In addition, the data shows that the coronavirus itself may serve as a good source domain for political and societal issues: failures of the globalization, fear of foreigners and the future parliamentary election system in Georgia (Giorgi Targamadze’s show).

ქეთევან კაკიტელაშვილი

სტიქიური უბედურებები როგორც კულტურული კონსტრუქტები: 1980-1990-იანი წლების საქართველოს მაგალითზე

მოსხენების მიზანია, აჩვენოს, თუ როგორ ჩამოყალიბდა 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი სტიქიური უბედურებები კულტურულ ტრავმად. ნაშრომის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ჯეფრი ალექსანდერის კულტურული ტრავმის თეორიას. 1989 წელს აჭარაში და 1991 წელს რაჭასა და იმერეთში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფები მაგალითებია იმისა, თუ როგორ მოხდა ბუნებრივი მოვლენის გარდაქმნა, მისი გააზრება სოციალურ და კულტურულ კონტექსტში და როგორ დაუკავშირდა ის სხვა ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურულ მეხსიერებასა და იდენტობასთან. ამ მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია ტექსტები, ძირითადად საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც ამ მოვლენების თანადროულია და ასახავს იმ ემოციებსა და ასოციაციებს, რომლებიც მყისიერად გაჩნდა სტიქიური უბედურების კვალდაკვალ. სავარაუდოდ, ამ ბუნებრივი უბედურების მასშტაბურობამ, 9 აპრილის ტრაგედიასთან დროში სიახლოვემ და უკვე არსებულმა მძაფრმა ემოციურმა გარემომ, ისევე როგორც ზოგადად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების შედეგად გამძაფრებულმა ნაციონალური იდენტობის

განცდამ, განაპირობა აჭარის ეკოლოგიური კატასტროფის ტრანსფორმაცია საერთო ეროვნულ ტრაგედიად და კულტურულ ტრავმად.

Ketevan Kakitelashvili

Natural Disasters as Cultural Constructs: Cases of 1989 and 1991 Natural Catastrophes in Georgia

The paper aims to discuss the process of transformation of environmental disaster as a cultural trauma and to reveal possible factors of this transformation. The ecological catastrophes in different regions of Georgian in 1989 and 1991 years represent the examples of rethinking natural disaster along with social and political events and their linking to other historic events which are closely related to the cultural memory and identity. The paper is based on the newspaper publications which were published shortly after the tragic events; they reflect emotions and associations which emerged towards these tragic natural events. Supposedly, the strengthened sense of national identity caused by intensified national liberation movement, greatness of casualties, temporal proximity with the tragic events such as 9th of April, 1989, conflict in Tskhinvali region in 1991, as well as euphoria of declaration of independence in 1991 determined transformation of ecological catastrophes of the same period into the cultural trauma.

მერაბ კალანდაძე

ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე

ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება დიდი ხნის განმავლობაში თავისებურ ხასიათს ატარებდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ უმთავრესად ყურადღებას იპყრობდა მისი თვალისმომჭრელი გამარჯვებები, სამხედრო წარმატებები, რასაც ისტორიკოსებმა „სამხედრო ბონაპარტიზმი“ უწოდეს, ხოლო მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ანუ „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“ მის სამხედრო გამარჯვებების ჩრდილში მოექცა, პერიფერიულ თემად გადაიქცა და შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად იყო გაშუქებული. უახლესმა ისტორიოგრაფიამ საგსე-

ბით სამართლიანად მიაპყრო ყურადღება ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას – „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმს“. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონი თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე საკმაოდ მაღალი აზრის იყო და მას მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მაღლა თუ არა მათ გვერდით აყენებდა. „ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი დიდი ბრძოლა. ის რაც იცოცხლებს მარად, ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“. გენერალ შარლ დე გოლის თქმით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებასა და მმართველობაში“. შესაძლოა, შარლ დე გოლი, როგორც თავგამოდებული ბონაპარტიტი, რაღაცას აჭარბებდა და პირდაპირ ცაში აჰყავს ნაპოლეონი, მაგრამ მისი ეს გამონათქვამი, უეჭველად, შეიცავს ქეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და სწორედ ამიტომაცაა ფასეული.

ქართველი სამოციანელების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი და თავკაცი დიდი ნიკო ნიკოლაძე საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა საფრანგეთის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში, კონკრეტულად კი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქაში. ვფიქრობთ, საინტერესოა მისი დამოკიდებულება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი. ამ კუთხით ეს საკითხი საგანგებო კვლევის ობიექტი არ გამხდარა. მხოლოდ პროფესორი ვარლამ დონაძე ეხებოდა გავრით ამ თემას, მაგრამ ამ კუთხით ეს საკითხი მას არ განუხილავს.

ნიკო ნიკოლაძეც, ისე როგორც ყველა, ფიქრობდა, რომ მთავარი იყო ნაპოლეონის ბრწყინვალე სამხედრო წარმატებები, მაგრამ მას არც ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა დავიწყებია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ნაპოლეონისადმი მისი დამოკიდებულების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

თუ კარგად დავუკვირდებით, ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში აღმოვაჩენთ მინიშნებას ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, რაც საშუალებას გვაძლევს, ვცადოთ გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

აღნიშნულ საკითხზე ნიკო ნიკოლაძის შეხედულების ღირსებად მიგვაჩნია:

ა. სავსებით ვეთანხმებით ნიკო ნიკოლაძეს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის დადებითად შეფასებაში. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

ბ. მას, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიული მნიშვნელობა, მისი პროგრესული ხასიათი. აღნიშნავდა, რომ ის ახალი დროის პირმშობა.

გ. მას მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ ნაპოლეონი შეეცადა, შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი და სავსებით ვე-

თანხმებით იმაშიც, რომ ეს მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის წარმატება იყო.

დ. ის ზუსტად გადმოგვცემს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის აზრს და ხაზს უსვამს, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ნიკო ნიკოლაძე ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაში იმაზე გაცილებით უფრო კარგად უნდა ჩანდეს ჩახედული, ვიდრე ეს მისი ნაწერებიდან, შეიძლება, ჩანს. ამ შემთხვევაში მისი ცოდნის მხოლოდ ფრაგმენტებთან უნდა გვექონდეს საქმე.

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მისთვის ჩვეული პუბლიცისტური ოსტატობით გადმოგვცა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა. მისი ეს მსჯელობა სამეცნიერო პუბლიცისტიკის შესანიშნავი ნიმუშია.

Merab Kalandadze

Niko Nikoladze on Napoleon’s Legislative Works

The paper is of historiographic character, and it focuses on Niko Nikoladze’s attitude to Napoleon’s legislative works.

The issue has not been studied so far. Hence, it is topical and represents a novelty. Besides, the issue is discussed within the Georgian context. Based on the scarce information available regarding this subject, we can conclude that Niko Nikoladze was well aware of the historic importance of Napoleon’s legislative works. Therefore, Niko Nikoladze gave positive evaluation to Napoleon’s works.

მანანა კვაჭაძე

ძველირანული ტრადიციების ასახვა კლასიკური პერიოდის სპარსულ პოეზიაში: მეხოტბეობა

ახალირანულ ენობრივ ეპოქაში ჩამოყალიბებული ლიტერატურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი პერიოდის ტრადიციებთან.

შუა საუკუნეების ირანის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ლიტერატურულ მოვლენად მიიჩნევა მძლავრად განვითარებული სახოტბო პოეზია. ეს ჟანრი – პანეგირიზმი – შუა საუკუნეების აღმოსავლეთისათვის ახალი არ იყო, მისი აყვავება და გაფურჩქვნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა. ირანელებს ისლამამდეც ჰყავდათ

პროფესიონალი პანეგირისტები. ცნობები მათ შესახებ მოიპოვება წყაროებში, ისტორიულ ქრონიკებში, დიდაქტიკურ წიგნებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში. არსებობს, აგრეთვე, მრავალი ლეგენდა და თქმულება მათ შესახებ.

განსაკუთრებით ცნობილი და სახელმძხვეჭილი მეხოტბენი ხოსროვიანთა სასახლის კარზე მოღვანეობდნენ. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო ბარბადი – ხოსროვ II ფარვიზის (590-628) მეხოტბე, რომელიც შემდგომში დახელოვნებული მუსიკოს-შემსრულებლის სიმბოლოდ იქცა. ბარბადს, როგორც ხოსროვ ფარვიზის საყვარელ მომღერალსა და პოეტს, თავიანთ ნაწარმოებებში იხსენიებენ, საგანგებო, ვრცელ ეპიზოდებს უძღვნიან და სათანადო პატივს მიაგებენ დიდი ირანელი პოეტები – ფირდოუსი და ნიზამი.

„შაჰნამეს“ ისტორიულ ნაწილში მთელი თავი ეძღვნება ხოსროვ-შირინის ამბავს. ამ ცნობილ თქმულებას ფირდოუსი ძალზე მოკლედ გადმოგვცემს; მიუხედავად ამისა, მასში სათანადო ადგილი ეთმობა ბარბადს. საერთოდ, პოემაში არაერთი პასაჟი და მინიშნებაა სასახლის კარზე დამკვიდრებული სახოტბო-სასიმღერო ტრადიციის შესახებ. ხოსროვ-შირინის ამბის ნიზამისეულ ვერსიაში შედარებით ვრცლად არის გადმოცემული თქმულება, ბარბადის სახეც უფრო ნათლად იკვეთება. პოემაში ხატოვნად არის გადმოცემული, ერთი მხრივ, ის სასიმღერო ტრადიცია, რომელიც არსებობდა ძველ ირანში და, მეორე მხრივ, ის მდგრადობა, რომელიც ამ ტრადიციამ შეინარჩუნა შუა საუკუნეებში.

ბევრი სიმღერა ზოროასტრულ კალენდარს უკავშირდება და თავისი მრავალრიცხოვანი რიტუალური დღესასწაულით მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებათა თაყვანისცემას გამოხატავს. იმავდროულად, ეს სიმღერები არის ნაწილი სასახლის კარის ეტიკეტისა და იწოდება „სამეფო საგალობლებად“ (სურუდ-ი ხუსრავეანი).

მყარი თემატური და ხატოვანი რეპერტუარი მიიღო საკარო პოეზიამ ისლამის გაბატონების პირველსავე საუკუნეებში და შეინარჩუნა მომდევნო პერიოდში. კლასიკური პერიოდის სპარსულ პოეზიაში მძლავრად განვითარებულ სახოტბო ჟანრს მნიშვნელოვანწილად საფუძვლად უდევს სასანიანთა სასახლის კარზე შემუშავებული პოეტური და სასიმღერო ტრადიციები.

Manana Kvachadze

Reflection of Old Iranian Traditions in the Persian Poetry of the Classical Period: Eulogy

The literature of the New Iranian language period is closely linked to the tradition of the Old Period.

One of the most characteristic literary phenomena of medieval Iran is a strongly developed eulogistic poetry. This panegyric genre was not new to the medieval East, it had been developed much earlier. Even prior to the Islamic period, Iranians had professional panegyric poets. They are mentioned in historical sources, chronicles, didactic books and literary works. There are numerous legends and stories regarding these authors.

The most outstanding eulogists were those of the Khosrow royal court. The most famous among these poets was Barbad, the eulogist of Khosrow II Parviz (590-628), who later turned into a symbol of a skilled musician.

Barbad, as Khosrow Parviz's favourite singer and poet, is mentioned with respect by great Iranian poets – Ferdowsi and Nizami.

An entire chapter of the historical part of "Shah-Nameh" is dedicated to the story of Khosrow and Shirin. Ferdowsi describes this famous legend very briefly. However, the author talks amply about Barbad and, in general, frequently mentions the eulogistic tradition established at the royal court.

In Nizami's version, the story of Khosrow and Shirin is told in more detail, and Barbad's image is drawn more clearly. On the one hand, the poem describes the singing tradition of Old Iran, and, on the other hand, the poem outlines the stability of the eulogistic tradition preserved in the Middle Ages.

Some songs are connected to the Zoroastrian calendar and describe the rituals of veneration of various mortal and resurrecting deities. At the same time, the songs form part of the royal court etiquette, hence, they are termed "Royal Songs" (Surud-i Khusravan).

The poetry of the royal court acquired a solid thematic and artistic repertoire in the very first centuries after the adoption of Islam. This repertoire was preserved in the following periods. In the classical Persian poetry, the eulogistic genre was based on the artistic traditions formed at the royal court of Sasanian kings.

ზვიად კვიციანი

სვანეთის მთავრების – დადეშქელიანების ციხე-სიმაგრის კომპლექსი (ბუხრიანი კოშკი)

კომპური კულტურა მრავალსახოვანი ხალხური კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია, რომელშიც თვალნათლივას ასახული ადამიანის ინტელექტუალური შემოქმედებისა და მატერიალურ შესაძლებლობათა მრავალი მხარე. იგი მნიშვნელოვანი წყაროა ხალხთა ეთნიკური ისტორიის, მათი კულტურულ-ისტორიული კავშირების პრობლემათა გამოკვლევისათვის.

სვანეთის მთავრების – დადეშქელიანების ციხე-სიმაგრის კომპლექსი ბეჩოს თემის სოფ. მახერში 1924 წელს ბოლშევიკებმა ლალუმით ააფეთქეს, იმ მოტივით, რომ იქ ხალხის მტრები იმყოფებოდნენ. შემორჩენილია შუაზე გახლეჩილი კოშკი.

2018 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით დაიწყო კოშკის გასუფთავება და სარესტავრაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე აღდგენილია პირველი სართული მთლიანად. სწორედ აქ, პირველ სართულზე, რომელიც მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 10 მეტრზე, სამხრეთის კარის შესასვლელის მოპირდაპირედ, კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა ბუხარი, რაც პირველი შემთხვევაა სვანურ კომპურ არქიტექტურაში.

Zviad Kvitsiani

The fireplace tower of the Svaneti princes” Dadeshkelian fortress complex

Tower culture is one of the finest examples of multicultural folk culture, which clearly reflects many aspects of human intellectual creativity and material ability. It is an important source for examining the ethnic history of people, the problems of their cultural-historical ties. In 1924, the Bolsheviks blew up a complex in the village of Mazer in the Becho community near the Svaneti princes” Dadeshkelian fortress, claiming that "enemies of the people" were there. There is a tower torn in the middle.

In 2018, with the funding of the National Agency for Cultural Heritage Preservation, the tower was cleaned and restored. The first floor has been completely restored. Right here on the first floor, 10 meters from the ground, opposite the entrance of the south door, in the north-east corner of tower, there was found a fireplace, which is the first case in the architecture of Svan tower.

ბორის კომახიძე

„წარმოსახვითი თბილისი“: ონლაინთამაშის "GTA San Andreas (Samp)"-ის როლი მოზარდების სოციალიზაციის პროცესში

თამაში სოციალიზაციის ყველაზე ეფექტური მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც მოზარდი ადაპტირდება იმ ღირებულებათა სისტემასთან, რომლის წევრადაც მან თავი უნდა მოიაზროს. პოსტმოდერნისტულ და ტექნოლოგიების ეპოქაში თამაშები და სოციალიზაცია დაუკავშირდა უახლეს ელექტრონულ ტექნიკასა და ინტერნეტრეალობას. კომპიუტერული თამაშები გლობალური პროდუქტია და ღირებულებათა ფორმირების პროცესში რეალურსა და წარმოსახვითს ერთმანეთთან აკავშირებს და მათ შორის საზღვრის გავლებას აძნელებს. სხვადასხვა კულტურაში ეს გლობალური პროდუქტები ლოკალურ რეალობებს ერგება და მოზარდებში ქმნის ალტერნატიულ სივრცეს ასაკის გამო აკრძალულის დასაშვებად განცდასა და მის ნაწილად გააზრებაში. მათთვის წარმოსახვითი რეალობა ის სივრცეა, სადაც ისინი ერთმანეთს ეკონტაქტებიან და აზრებს უზიარებენ და, ამასთანავე, აკეთებენ იმას, რაც შეიძლება, ცხოვრებაში არც კი გაიმეორონ. ამ მხრივ ონლაინთამაშები ალტერნატიულ რეალობაში ალტერნატიული სიამოვნების განცდის საშუალებაა.

მოხსენება ეხება „GTA San Andreas“ ონლაინთამაშის ადაპტირებულ ვერსიას (Samp) და მის როლს ქართველი მოზარდების სოციალიზაციის პროცესში. „სან-ანდრეასის“ სივრცე, რომელიც „სერვერზე“ მორგებულია ქართულ რეალობას, მოზარდებისთვის ასოცირდება თბილისთან და გართობის საშუალებასთან ერთად წარმოადგენს ალტერნატიულ რეალობას, რომელიც თითქმის რეალური სივრცეა. მათთვის ასაკით სანქცირებული აკრძალული ალტერნატიულ თბილისში დაშვებულია და მოზარდების ღირებულების ფორმირების პროცესში მექანიზმია იმისა, რომ თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად („ნამდვილ კაცებად“) მოიაზრონ.

მოხსენება ემყარება მიმდინარე ეთნოგრაფიულ კვლევას, რომლის დროს გამოყენებული მეთოდებია: ნახევრადსტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ჩართული და უბრალო დაკვირვების კვლევის მეთოდები.

საკვლევი კითხვაა: როგორ გაიაზრება ონლაინთამაში „GTA San Andreas“-ის ქართული ვერსია (Samp-ი) ქართველ მოზარდებში და რა როლს ასრულებს წარმოსახვითი ონლაინრეალობა მათი ღირებულებების ფორმირების პროცესში?

Boris Komakhidze

"Imagined Tbilisi": The role of online game GTA San Andreas (Samp) in the socialization processes of Georgian teenagers

Playing games are the most effective mechanisms of socialization which help the children and teenagers to get adapted to the value system of the society in which s(he) is going to identify him/herself. In times of postmodernism and epoch of technologies, the games and processes of socialization bounded to the electronic gadgets and online reality. Computer games are global products, they attach the real and imagined with each other and make difficult to distinguish what is real and what is unreal. In different cultures, those global products are fitting to the local realities and for teenagers” are alternative spaces to Imagine and feel what is banned due to the age-restrictions as allowed. For teenagers imagined reality is space where they communicate and share ideas with children from their age category. In this alternative reality, they are doing things which suppose to never happen in real life. From that perspective, the online games are promises to experience alternative pleasure in the alternative reality.

The presentation is about Georgian adapted version (Samp) of American online action game GTA “San Andreas” and its role in the socialization process of Georgian teenagers. On the Georgian online server, the space of San Andreas is adapted to the Georgian social reality which symbolically represents Tbilisi for Georgian teenagers and besides a way to have fun represents alternative reality which is tightly close to real-life consequences. For teenagers things which are age-restricted in the alternative Tbilisi is allowed and is a mechanism to identify themselves as part of full-right members (as “real men”) of society in terms of socialization processes.

The presentation is based on the ongoing ethnographic field research, during which I used methods of semi-structured and non-structures interviews and Participant and simple observations.

The research question is: How Georgian teenagers realize the Georgian version (Samp) of online action game GTA San Andreas and what is the role of imagined online reality takes place in terms of value formation processes?

ნინო კურატიშვილი

ირონია და სარკაზმი - თანამედროვე რიტორიკა

მოსხენების ფარგლებში განხილულ იქნება სარკაზმისა და ირონიის, როგორც რიტორიკული ინსტრუმენტების, როლი სხვადასხვა ტიპის დისკურსში. როგორც ცნობილია, სარკაზმი და ირონია სატირიკულ ნარატივში მნიშვნელოვანი ლინგვისტური ინსტრუმენტებია. საინტერესოა, როგორ ხდება მათი ადაპტაცია და დანერგვა თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ტიპის პლატფორმაზე, უფრო კონკრეტულად კი ამ პლატფორმებისთვის დამახასიათებელ ნარატივში. ამ საკითხში გარკვევისათვის მოხსენებაში მსჯელობა დაეყრდნობა როგორც მოცემულ თემატიკაზე არსებულ ავტორიტეტული მეცნიერების, ასევე ავტორისეულ კვლევებს; ყურადღება გამახვილდება სარკასტული და ირონიული გამონათქვამების ფუნქციონირების ისეთ მექანიზმებზე, როგორიცაა ნაგულისხმევის საპირისპიროს თქმა და ისეთ პრაგმატიკულ ფუნქციებზე, როგორებიცაა: შთაბეჭდილების მოხდენა, დამოკიდებულების გამოხატვა და ა.შ.

მოსხენებაში გამოთქმული დასკვნები საშუალებას გვაძლევს, გავიზრდოთ სარკაზმისა და ირონიის, როგორც რიტორიკული ინსტრუმენტების, თანამედროვე და, გარკვეულწილად, უცნობი ასპექტები და ვიფიქროთ მათი გამოყენების უფრო მრავალფეროვან გზებზე.

Nino Kuratishvili

Irony and Sarcasm – Modern Rhetoric

This report discusses the role of Sarcasm and Irony as Rhetorical devices in different types of modern discourse. As it is well known, Sarcasm and Irony serve as the key Linguistic devices in Rhetorical narrative. Accordingly, it seems interesting to observe the ways they are applied and implicated in different platforms of modern world, or, more precisely, in the narrative characteristic of these platforms. To illuminate these aspects the discussion will include opinions and studies of the authoritative figures as well as of the reporter herself; the discussion emphasizes the mechanisms of implementation of Sarcasm and Irony in different types of discourses, as well as their pragmatic functions.

The results stated in the report allow opportunities to acknowledge modernized and partly unfamiliar aspects of Sarcasm and Irony as Rhetorical instruments and consider to use them more diversely.

ვახტანგ ლიჩელი

წარმართული ხანის დამწერლობა საქართველოში - არქეოლოგიურ კონტექსტი

კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიურ მასალის მიხედვით, წარმართული ხანის დამწერლობის განვითარების ისტორიაში სამი ეტაპი გამოიყოფა: 1. პალეოქართული, 2. გარდამავალი და 3. პროტოქართული.

1. დამწერლობის ეს ნიმუში აღმოჩენილია ქართლში, გრაკლიან გორაზე. პოსტამენტის შუბლზე გამოყვანილია წარწერა. წარწერის გამოვლენილი სიგრძეა 80 სმ, ხოლო სიმაღლე 7 სმ. წარწერა თიხაში გამოყვანილია ლაღად, ხაზები თავისუფლად არის გავლებული. მსოფლიოს საუკეთესო ლაბორატორიებში (მაიამის ბეტალაბორატორია, გრონინგენის უნივერსიტეტის ლაბორატორია, ციურიხის რადიოკარბონული ლაბორატორია) ჩატარებული C14 ანალიზმა ერთი და იგივე თარიღი – ძვ.წ. XI-X საუკუნეები უჩვენა. ეს უნდა იყოს რელიგიური/საკულტო შინაარსის მქონე წარწერა, რადგან იგი საკურთხევლის პოსტამენტზე, ტაძარშია გამოყვანილი.

2. ერთადერთი წყვეტილი დამწერლობის განვითარების ამ სისტემაში არის გარდამავალი ხანა ანუ ძვ.წ. IX-V საუკუნეები. ამ პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში ჯერჯერობით დამწერლობის ნიშნები არ ჩანს, მაგრამ მატერიალური კულტურის მთელი კონტექსტი კოლხეთისა და იბერიის საზოგადოების დაწინაურების იმდენად მაღალ დონეზე მიუთითებს, რომ ამ ხანის წარწერების აღმოჩენის მოლოდინიც შეიძლება არსებობდეს.

3. საქართველოს ტერიტორიაზე (კოლხეთი, იბერია) მოპოვებულ კერამიკულ ნაწარმში, რომელიც ძვ.წ. IV-ახ.წ. IV საუკუნეებით თარიღდება, არის გარკვეული ფორმების ჯგუფი (ქვევრი, ამფორა და კრამიტი), რომელზეც გამოწვამდე ამოკვეთილია/დატანილია სხვადასხვა ფორმის ნიშნები. აღმოჩენილი ნიშნების გრაფიკული ანალიზი, მათი ტოპოგრაფია და ფუნქციონალური დატვირთვა იმისი დასტურია, რომ ძვ.წ. IV-ახ.წ. IV საუკუნეების კოლხურ და იბერიულ კერამიკაზე დატანილი ნიშნები ადგილობრივი – პროტოქართული დამწერლობის ასოებს წარმოადგენს.

Vakhtang Licheli

The Pagan period writing in Georgia

There are three stages in the history of development of Georgian pagan writing script based on the different period archaeological contexts – 11th – 9th cc BC, 9th -5th cc BC and 4th c BC – 4th c AD.

1) Paleo-Georgian writing. Earliest pagane period script was discovered in the small shrine on Grakliani Hill (Kartli region, central part of Georgia) and it belongs to 10th c BC. This is earliest inscription on the territory of Caucasus. Small shrine, located on the 3rd terrace was destroyed during the construction of mid 1st mill. BC small temple. Only northern part of the shrine was preserved, where two inscriptions were discovered: “A inscription” on the north corner of the western alter and “B inscription” on forehead of the pedestal of central altar. Radiocarbon analyses (Miami beta lab; Groningen University lab and Zurich lab) gave the date – 11th – 10th cc BC.

2) Transitional period – 9th-5th cc BC.

3) Proto-Georgian writing.

In the ceramic artifacts unearthed on the territory of Georgia (Colchis, Iberia) dating from 4th c. BC until 4th c. AD (and covering the period of 800 years), there is the group of certain artifacts (clay pithos, amphora, tiles) on which signs of various shapes are engraved/carved by means of burning. Fundamental research has been conducted in this respect and it was ascertained that those three basic shapes – pithos, amphora and tiles, where engraved signs are most frequent, are of local origin. The rule of engraving of signs/letters on the ceramic products is a widespread phenomenon in the Ancient world. Based on graphical analyses, topography of signs and the function, we have to assume that signs on the locally made pottery of Georgia (4th c BC – 4th c AD) also are letters of writing (Proto-Georgian).

მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი

ნა-/ნო- პრეფიქსიანი სახელური, ზმნური ფორმები და მათთან დაკავშირებული სემანტიკური თავისებურებანი ქართველურ ენებში

ნა-/ნო- პრეფიქსიანი სახელური და ზმნური ფორმები დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენაში, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, მეგრულ და სვანურ ენებში: აღნიშნული პრეფიქსები აწარმოებენ წარ-

სული დროის მიმღობებს (ქახთ. ნა-ღულ-ახ-ი/მეგხ. ნა-ფუნეფ-ი/სვან. ნა-ფუინ), წინავითარების სახელებს (ქახთ. ნა-მგზავხ-ი/მეგხ. ნა-შახ-უ/სვან. ნა-შუკჷ) და უნახაობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს, გარდა სვანურისა (ღიადექტუი: ნა-ღულახ-ა/ მეგხ. ნო-ფუ-ე-(ნ)). ნა-/ნო- პრეფიქსიანი წარმოქმნილი სახელების სემანტიკური თავისებურება კარგად ჩანს წარსული დროის -ილ/-ულ სუფიქსიან ლექსემებთან შედარებისას. კერძოდ, ეს ფორმები, მიუხედავად დროული ერთგვარობისა, სემანტიკურად არასოდეს მონაცვლეობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნა-/ნო- პრეფიქსიანი და -ილ/-ულ სუფიქსიანი, სვანურში კი მათი შესაბამისი ლგ- პრეფიქსიანი, ლგ-ე კონფიქსიანი სახელური ფუძეები აწარმოებენ ზმნურ ფორმებს, რომლებზეც ასევე ვრცელდება ზემოხსენებული შეზღუდვა სემანტიკური მონაცვლეობის შესახებ. როგორც აღინიშნა, ორივე ყალიბის (პრეფიქსიანი და სუფიქსიანი) სახელურ ფორმებს (ნა-ღულ-ახ-ი: აღულებ-უღ-ი / მეგხ. ნა-ფუნეფ-ი: ფუნაფ-იდ-ი, სვან. ნა-ფუინ : ღჷ-ფუინ-ე) და, შესაბამისად, მათგან მომდინარე ზმნებს (დიალექტური: ნა-ღულახ-ა : აღულებუღ-ა / მეგხ. ნო-ფუ-ე-(ნ): გეფუნაფე-(ნ)) აერთიანებთ წარსულში შესრულებული მოქმედების გამოხატვა; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური სტრუქტურის ცნება ითვალისწინებს არა მსგავსების, არამედ განსხვავების გამოვლენას საანალიზო ფორმათა ურთიერთმიმართების შედეგად. როგორც ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, მოცემულ ფორმებს შორის განმასხვავებელი სემანტიკური ნიშანია წარსულ დროში შესრულებული მოქმედების ინტენსივობა და ექსპერიენციის გაგება, რის შედეგადაც ვერ ფარავენ სემანტიკურად ერთმანეთს ზემოხსენებული ნა-/ნო- პრეფიქსიანი და -ილ/-ულ სუფიქსიანი ფორმები.

Maia Lomia, Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani

Nominal and Verbal Forms with na-/no-Prefixes and Related Semantic Peculiarities in Kartvelian Languages

Nominal and Verbal Forms with na-/no-Prefixes are found in the literary Georgian language, Western dialects of Georgian and also in Megrelian and Svan languages: these prefixes form past participles (*Georgianna-duy-ar-i/Megrelian-na-punep-i/Svan.nä-puin*"something that had been boiling"), adjectives denoting previous actions (*Geo na-mgzavr-i/Megr na-šar-u/Svan na-šukw* "someone who has travelled") and verbs denoting unseen actions in all languages with the exception of Svan (dialectal: *na-duyar-a/Megr no-pu-e-(n)* "it has turned out that it had been boiling"). The semantic peculiarities of words with na-/no-

prefixes are clearly revealed in comparison with lexemes containing -il/-ul suffixes and denoting the past tense. Despite denoting the same tense, these forms are not semantically interchangeable. It should be noted that nominal stems with prefixes na-/no- and suffixes -il/-ul (in the Svan, corresponding prefix *ლ-*, confix *ლ-ე*) form certain verbs that are also subject to the above-mentioned restriction regarding semantic interchangeability. The nominal forms of both patterns (with prefixes and suffixes) (*Geo na-duy-ar-i : aduyeb-ul-i/Megr. na-punep-i : punap-il-i, Svan. nā-puin : ლ-puin-e "something that has been boiling" : "Something that is boiled"*) and also verbs derived from these forms (dialectal *na-duy-ar-a/Megr. no-pu-e-(n) : gepunape-(n) "it has turned out that it is boiled/has been boiling"*) **have a common semantic feature**: they denote a completed action. However, **the concept of semantic structure** is based not on the outlining of similarity but on **the identification of difference** between the forms under analysis. Research of the empirical material has proved that **the differentiating semantic feature of these forms is the intensity and experience of actions performed in the past**. That is why the forms with prefixes na-/no- and those with suffixes -il/-ul are not semantically interchangeable.

კახაბერ ლორია

„კნუტ ჰამსუნის უკანასკნელი წიგნის ჟანრული თავისებურებანი“

უკვე ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1920 წელს რომანისათვის „მინის მადლი“ ნობელის პრემია მიენიჭა დიდ ნორვეგიელ მწერალს კნუტ ჰამსუნს (1859-1952). ჰამსუნმა ძალზე მრავალფეროვანი და გასაანალიზებლად უაღრესად რთული ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მის ხანგრძლივ შემოქმედებით ბიოგრაფიაში ვხვდებით რომანებს, ნოველებს, დრამებს, ლექსებს, ესეებსა და ნარკვევებს, მაგრამ იმავდროულად არის ნაწარმოებებიც, რომელთა ჟანრის განსაზღვრა არც თუ ისე ადვილია.

ჟანრულმა თავისებურებებმა თავი ჯერ კიდევ 1890 წელს გამოსულ წიგნში - „შიმშილი“ - იჩინა. დღეს ჰამსუნის ეს გენიალური ნაწარმოები ლიტერატურათმცოდნეთა მხრიდან თითქმის გამონაკლისის გარეშე მოიხსენება როგორც ერთ-ერთი უპირველესი (როგორც ქრონოლოგიური, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით) მოდერნისტული რომანი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თავად მწერალი ამ წიგნს რომანად არ თვლიდა და, შესაძლებლობის ფარგლებში, თავსაც კი არიდებდა ხსენებული თხზუ-

ლების ჟანრობრივ დახასიათებას. რაც შეეხება ქართველი მკითხველისათვის (გასაგები მიზეზებისდა გამო) განსაკუთრებით საინტერესო წიგნს - „ზღაპრულ ქვეყანაში. კავკასიაში განცდილი და ნაოცნებარი“ (1903), მისი ჟანრული სპეციფიკა მკვლევრებში დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ის, რომ ხსენებული თხზულება ზოგიერთი ქართველი მკვლევრის მიერ, ჩემი აზრით, სათანადოდ ვერ იქნა ინტერპრეტირებული, ჟანრის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემებით უნდა აიხსნას.

როგორც „ზღაპრულ ქვეყანაში“ (და, გარკვეულწილად, ასევე, „შიმშილი“), ჰამსუნის უკანასკნელი წიგნიც - „კვლავდაფარულ ბილიკებზე“ (1949) აშკარა ავტობიოგრაფიული განზომილებების მომცველია. ამასთან ერთად, სამივე ამ თხზულებაში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს და არასოდეს სახელდება მთხრობელი პერსონაჟის ვინაობა. ჰამსუნის უკანასკნელ წიგნში საკმაოდ დეტალურად, ფაქტობრივი სიზუსტითაა გადმოცემული მწერლის ცხოვრების უაღრესად დრამატული მომენტები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მათ შორის შინაპატიმრობა, ოსლოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გატარებული საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, ნაცისტებთან თანამშრომლობის გამო მისი სასამართლო პროცესი და ა.შ. იმავდროულად, ეს ხარისხობრივად შესანიშნავი წიგნი, რომელიც სტრუქტურულადაც უაღრესად თავისებურია და 59, ასე თუ ისე ავტონომიური, ფრაგმენტისაგან შედგება, მაინც არ არის მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის. ამაზე მეტყველებს ტექსტში თუნდაც ისეთი, სავარაუდოდ, გამონაგონი პერსონაჟის არსებობა როგორცაა მარტინი - ჰამსუნის ერთგვარი „ალტერ ეგო“, მოხეტიალე ქადაგი, რომელიც წარმოშობით იმავე ადგილებიდანაა, სადაც ჰამსუნი გაიზარდა. მთხრობელი პერსონაჟის არ იყოს, მარტინიც ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებას წერს და ჰამსუნის უკანასკნელი წიგნის მკითხველი ეცნობა ამონარიდებსაც მარტინის თხზულებიდან.

Kakhaber Loria

" Genre characteristics of Knut Hamsun's last book "

Already one hundred years have passed since the Nobel Prize in 1920 was awarded to the great Norwegian writer Knut Hamsun for his novel "Growth of the Soil". Hamsun left behind a very diverse literary legacy, which at the same time is extremely difficult to analyze. In his long creative biography one can find novels,

novellas, dramas, poems, essays and yet some works genres of which are not easy to define.

Genre-specific peculiarities appeared already in his book “Hunger” which was published in 1890. Nowadays, Hamsun’s this brilliant work is considered as one of the first modernist novels (both chronologically and qualitatively) by literary critics, almost without exception. However, it is noteworthy to mention that the writer himself didn’t consider this work as a novel and even avoided to characterize mentioned work in terms of genre. As for the book “In Wonderland. Experienced and dreamt in the Caucasus” (1903) that is particularly interesting for Georgian readers (because of clear reasons), its genre-related specificity still causes controversy among the scholars. From my perspective, the fact that the mentioned work has not been properly interpreted by some Georgian scholars should be explained by the problems related to the definition of the genre.

Hamsun’s “In Wonderland” (and “Hunger” to some extent) as well as his last book “On Overgrown Paths” contains obvious autobiographical dimensions. Herewith, first-person narration occurs in all of these three works and the identity of the narrator is never mentioned. In Hamsun’s latest book, the most dramatic moments of the writer’s life, such as house arrest, a rather long period in Oslo psychiatric hospital, his trial for collaborating with the Nazis and so forth, are described in great detail, with factual accuracy. At the same time, this qualitatively excellent book, which is also structurally quite characteristic and consists of 59 more or less autonomous fragments, is not merely of a documentary nature. This is also indicated by the fact that in the book we find presumably fictional character, such as Martin – a kind of Hamsun’s “alter ego”, a wandering preacher who originally comes from the same place Hamsun grew up. Just like the narrator, Martin also writes autobiographical work, and the readers of Hamsun’s latest book are introduced to the excerpts from Martin’s work.

დავით მაზიაშვილი

შექსპირის სიმულაკრი

უილიამ შექსპირის შემოქმედება, მისი ტრაგედიები და კომედიები თითქოს პირდაპირ ეხმაურება დღევანდელ რეალობაში მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ, ისტორიულ და საზოგადოებრივ პროცესებს.

შექსპირის შემოქმედება დღესაც დიდ გავლენას ახდენს და თანამედროვე ლიტერატურის, თეატრის, კინემატოგრაფიისა თუ, ზოგადად, კულტურის შთაგონების წყაროა. შექსპირის პიესებისა თუ სონეტების გარდა, დიდი ინტერესია თავად დრამატურგის მიმართ. დღემდე არ წყდება კამათი იმის შესახებ, თუ ვინ დგას მისი შემოქმედების უკან. შექსპირი ჩვენი დროისა და ეპოქის ფანტაზიისა და ინტელექტისაგან წარმოებული პროდუქციის ნაყოფად იქცა, რომელიც თავისი შემოქმედებით, პერსონაჲებით აგრეთვე თავადაც, როგორც პიროვნება, ავტორი და პერსონაჲი „ახალ ამპლუაში“ წარმოგვიდგება. თანამედროვეობაში დაიკარგა ან იკარგება შექსპირის პერსონის ის ავთენტური სახე, რომელიც შესაძლოა, საერთოდაც არ არსებობდა და შეიქმნა ახალი, წარმოსახვითი, ფიქციური, რადგან დღევანდელი სამყაროსთვის თავად შექსპირი იქცა სიმულაკრად, ხოლო სიმულაკრი, ბოდრიარის განმარტებისა არ იყოს, ასლია დედნის გარეშე. სწორედ ამ გადმოსახედიდან საინტერესოა გავიზროთ, რა გზა განვლო დასავლური ლიტერატურის, აზროვნების და კულტურის ერთ-ერთმა ქვაკუთხედმა უილიამ შექსპირმა და როგორი სახე მიიღო მან პოსტმოდერნული ეპოქის ინგლისურ ლიტერატურაში, კრიტიკასა და კინემატოგრაფში.

David Maziashvili

Shakespeare”s Simulacrum

William Shakespeare still has a great influence on contemporary western social and cultural life and themes and problems of his works, as well as his biography is very actual nowadays. The goal of the paper is to study transformation that Shakespeare”s biography undergoes in academic and fictional literature. For these purpose latest critical literatures have been studied. The Great Bard”s person analyzed as an imaginative, intellectual and fictional product of the contemporary english fiction, cinematography and literary critic. According to the paper fictional Shakespeare is more popular and influential than his historical or literary origin. The research has showed that today, authentic face of the Great Bard is disappeared or even never existed for postmodernist and contemporary authors or readers and instead of it produced new – imaginative and fictional Shakespeare, which is simulacrum - copy without an original.

ხვთისო მამისიმედიშვილი

ჟამის (შავი ჭირის) გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში

„ჟამნის“ სახელით ცნობილ შავი ჭირის ეპიდემიაზე ქართულ ზეპირ-სიტყვიერ ფონდში იძებნება გადმოცემათა ციკლი, რომელიც ავადმყოფობის გავრცელების პროცესს, ადამიანების მასობრივ დასნეულებასა და დაღუპვას ასახავს. შავი ჭირის ეპიდემიასთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში, სავარაუდოდ, XIV საუკუნის შუა წლებზე ადრე ვერ შეიქმნებოდა, რადგან საქართველოში ეს საშინელი სენი 1346-1348 წლებში მძვინვარებდა, რომელმაც შემდეგ კვლავ არაერთხელ იჩინა თავი.

ქართულ ფოლკლორში, ისევე როგორც მთელ ევროპაში გავრცელებულ თქმულებებში, გადამდები სნეულებები პერსონიფიცირებულია. „ჟამთ“ თავიანთი ფუნქციითა თუ საბრძოლო იარაღით, მართალია, ორეულები მოეპოვებათ ევროპის ხალხთა ფოლკლორულ თქმულებებში, თუმცა გარეგნული ატრიბუტებით, სატრანსპორტო საშუალებით, ადამიანებთან ურთიერთობითა და აკრძალვის დაწესებით ისინი ქართულ ფოლკლორში განსხვავებულ თვისებებს ავლენენ.

შავი ჭირის გამავრცელებელ მითოლოგიურ არსებებზე გადმოცემები ქართულ ფოლკლორში, ძირითადად, ხევსურეთის ტრადიციულმა საზოგადოებებმა შემოგვინახეს. აღნიშნული ციკლის გადმოცემები ხევსურეთში დიდი ჟამიანობის შესახებ მოგვითხრობენ. ისევე როგორც მითოლოგიური შინაარსის ტექსტებისთვის არის დამახასიათებელი, გადმოცემებში მოქმედება ხდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, კონკრეტულ სოფლებში. ხალხური მეხსიერება ჟამთან მოსახლეობის გამკლავებას, როგორც წესი, ეპიკურ-მითოლოგიურ ჭრილში წარმოგვიდგენს. ჟამნი ადგილობრივი მოსახლეობიდან ერთ-ერთ პირს ირჩევდნენ და ჟამის გასავრცელებლად იყენებდნენ. თუმცა დაუსჯელი არც ის რჩებოდა. აკრძალვის დარღვევის შემდეგ ჟამნი მას ჟამის გამომწვევი ისრებით საყვარელ შვილს უკლავდნენ.

სოფელს „ჟამთა“ ერთნაირი ზიანი ვერ მიაყენეს. თვითიზოლაციისა თუ თემის მფარველ წმინდანთა დახმარებით შავი ჭირის გამავრცელებელმა არსებებმა ზოგან საერთოდ ვერ შეაღწიეს, ისინი უკუიქცნენ ან სოფელს გვერდით აუარეს, ზოგან მოსახლეობა ეპიდემიისგან შედარებით ნაკლებად დაზარალდა, ხოლო ზოგიერთ სოფელში მოსახლეობა თითქმის მთლიანად განყდა, რასაც სოფლების სიახლოვეს დღემდე მოღწეული ჟამიანთა აკლდამებიც ადასტურებს. ზეპირ ტექსტებში სიუჟეტურად არის გაშლილი მითოლოგიური არსებების ე. წ. „ჟამნის“ მიერ მოსახლეობის დასნეულებება; გადმოცემებში იხსენიება „ჟამნის“ სატრანსპორ-

ტო საშუალებები, ეპიდემიის გამავრცელებელი იარაღი, ეპიდემიის წინა-აღმდეგ ბრძოლის ფორმები: პრევენციის მიზნით მაგიური საშუალებების გამოყენება, საყმოების გადარჩენაში ზებუნებრივ არსებათა მონაწილეობა და სხვ. აღნიშნული დეტალები ზეპირ ტექსტებს ეპიკურ სრულყოფილებასა და მხატვრულ-მითოლოგიურ დამაჯერებლობას ანიჭებს.

Khvtiso Mamisimedishvili

Mythic creatures in georgian folklore, which spread plague

The fund of Georgian Folklore preserves sayings named “The Plague” describing the well-known plague epidemic, process of the disease spreading and mass infection and death of people. Like the sayings of Europe, the Georgian folklore personifies the infectious diseases as well. It is true that “The Plague”, with its function and means of fighting, has its counterpart in the folklore of the European peoples, but with its external properties, means of transportation, human relations and intrinsic limitations, shows distinct qualities in Georgian folklore.

The sayings about the mythological creatures spreading plague have mostly survived in the traditional societies of Khevsureti. They tell us about the great epidemic of plague in Khevsureti. Besides, as it is typical to the mythological stories, the action in the legends takes place in a concrete geographical environment, in concrete villages. The memory of people describes the process of coping with the plague by the population in an epic-mythological respect. The plague did not bring the same damage to all villages. Owing to self-isolation or guardian saints of the community, the creatures spreading plague could not penetrate certain place; rather, they retreated or bypassed the village; the population in some villages was damaged less, while some villages were totally depopulated as evidenced by the tombs of the people deceased with plague near such villages.

The topics of oral stories thoroughly describe the infection of people by mythological creatures plague. The sayings mention the means of plague transportation, instruments of the epidemic spread and types of combating the epidemic: use of magic means for the disease prevention, participation of supernatural creatures, etc. The given details give epic perfection and artistic-mythological credibility to the oral stories.

ნინო მინდაძე

ეპიდემიურ დაავადებათა ისტორიისთვის საქართველოში

ეპიდემიური დაავადებანი უძველესი დროიდან ვრცელდებოდა დედამიწაზე, სხვადასხვა ხალხსა და ქვეყანაში. ამას მოწმობს არქეოლოგიური მასალა, მითოლოგია, ლიტერატურული თუ ისტორიული წერილობითი ძეგლები. საქართველოში ეპიდემიურ დაავადებათა შესახებ არსებული წყაროები მწირია. მე-8 საუკუნის ქრონიკაში ჭუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში ნახსენებია დაავადება სატლი, რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სენია, მუცელა მომსრველი; მედიცინის ისტორიკოსთა დასკვნით კი, ციმბირის წყლულს უნდა გულისხმობდეს; მე-11 საუკუნის სამედიცინო წიგნში – „უსწორო კარაბადინში“ – მოხსენიებულია: ავი ჟამი (შავი ქირი), ყვავილი და სხვ.; წერილობითი წყაროების მიხედვით, ეპიდემიების ზოგადი სახელწოდება მომსრველი სენი უნდა ყოფილიყო; ეთნოგრაფიული მონაცემებით კი მათი ხალხური სახელწოდება მორაული, ჩამომრები სენია. ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში აღწერილია ცალკეულ ეპიდემიურ დაავადებათა სიმპტომები, გავრცელების სანინაალმდეგო საშუალებანი ავადმყოფის მოვლისა და მკურნალობის წესები, ეს უკანასკნელი ძირითადად სიმპტომურ ხასიათს ატარებდა. ხალხური სამედიცინო პრაქტიკაც ეპიდემიის გავრცელების სანინაალმდეგო საშუალებების გამოყენებას (ავადმყოფის იზოლირება, დაავადების კერის დატოვება-გახიზვნა...) და ბუნებრივი საშუალებებით სიმპტომურ მკურნალობას გულისხმობდა. საქართველოს მოსახლეობა ძველად ეპიდემიებს, უმეტესწილად, ღვთის, სალოცავის წყრომას უკავშირებდა და დაავადებისგან თავდასაცავად მაგიურ-რელიგიურ საშუალებებს მიმართავდა. ძლიერი ეპიდემიის შეწყვეტის მიზნით, საქართველოში წმინდა ბარბარეს პატარა ეკლესიებსა და სალოცავ ნიშებს აგებდნენ. სალოცავის აგება ამა თუ იმ წმინდანისა თუ ღვთაების სახელზე უძველესი ტრადიციაა. ეპიდემიებთან დაკავშირებული ტრადიციები მოიცავს როგორც ქრისტიანულ, ისე წინაქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში დადასტურებულია ყვავილის აცრის ტრადიცია.

ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების სანინაალმდეგო და მკურნალობის საშუალებები, ავადმყოფის მოვლისა და მასზე ზრუნვის ტრადიციები მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას ემყარებოდა და დადებითად მოქმედებდა ავადმყოფზე. დადებითი ფსიქოთერაპიული ეფექტი ჰქონდა აღნიშნულ დაავადებებთან დაკავშირებულ მაგიურ-რელიგიურ წეს-ჩვეულებებსაც. ყოველივე ზემოთქმული რამდენადმე ზღუდავდა ეპიდემიების ფართოდ გავრცელებას და, გარკვეულწილად, ამცირებდა მოსალოდნელ მსხვერპლს.

Nino Mindadze

On the History of Epidemic Diseases in Georgia

The epidemic diseases were spreading on earth since immemorial times among different peoples and countries. Archaeological data, mythology, literary or historical written sources are testifying these facts. In Georgia, the sources on epidemic diseases are limited. In the chronicle of the 8th century by Juansher The Life of Vakhtang Gorgasali is mentioned the name of disease - Satli. According to Sulkhan-Saba Orbeliani, this is a stomach ache, which according to medical historians, should mean a Siberian ulcer. In the medical book of the 11th century Karabadin, it is mentioned: avi jhami (black plague), kvavili (measles) etc.

According to written sources, the general name of the epidemics must have been Seni. According to ethnographic data, its folk name is Moaruli Seni. The old Georgian medical manuscripts describe the symptoms of certain epidemic diseases, the spreading features, the rules of care and treatment of the patient, which was mainly symptomatic treatment. Folk medical practice also included the use of anti-epidemic means (isolating the patient, leaving the hearth of the disease...) and natural remedies for symptomatic treatment. In ancient times, the population of Georgia mostly associated epidemics with the anger of God, the sacred site, and for protection applied to magical-religious practices. In order to stop the strong epidemics, small churches and chapels of St. Barbara were built in Georgia. This is an ancient tradition in order to stop the spread of the illness. The traditions of protection are including both Christian and pre-Christian customs as well. Especially noteworthy is the fact that the tradition of measles vaccination has been confirmed in Georgia. The treatment methods were based on centuries of experience and have had a positive effect on the patient. All those measures limited the spread of epidemics and to some extent reduced the expected casualties.

ეკატერინე მიხელიძე

„პატარა პრინცი“ - წიგნი დიდებისა და პატარებისათვის

მსოფლიო ლიტერატურის მრავალფეროვან გაღერეაში არსებობს წიგნები, რომლებიც განკუთვნილია ბავშვებისა და მოზარდებისათვის, მაგრამ სინამდვილეში მათი ნაკითხვა ზრდასრული ადამიანების საქმეცაა. ერთ-ერთი ასეთი წიგნია ანტუან დე-სენტ ეგზიუპერის „პატარა პრინცი“.

ალეგორიებითა და ზღაპრული ელემენტებით გაჯერებული ეს მოთხრობა ყველა დროში ღირს დაფიქრებად, მრავალჯერ მიბრუნებად, საკვლე-

ვად ან, უბრალოდ, გატაცებით საკითხავად. „პატარა პრინცი“ – ეს არის წიგნი დიდებისა და პატარებისათვის და „რადგან ყველა დიდი ოდესღაც პატარა იყო“, პრინცის სათუთ სამყაროსთან მიახლება უფროსებსაც და ბავშვებსაც თანაბრად ხელეწიფებათ. პრინცში ცხოვრობს დიდი ბავშვი და მწერალში მუდმივად თანაარსებობს „მოშინაურებული“ ბავშვობა.

ნაწარმოებში იკვეთება ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი დიდებსა და პატარებს შორის: უფროსები ცხოვრებას მატერიალისტური თვალით აღიქვამენ და ქმნიან სამყაროში წინააღმდეგობა ჯაჭვს, რომლის განყვეტაც და ადამიანთა გულებამდე მისვლისათვის ბრძოლა უწევთ პატარებს. ეს წარმოშობს გაუცხოებას თაობებს შორის. ეგზიპტური ბავშვს წარმოსახავს როგორც ბრძენ, გონიერ არსებას, რომლის გულისთქმათა ამოცნობა უფროსებს არ ძალუძთ, რადგან ვერ ფლობენ „მოშინაურების“ საიდუმლოს სამყაროს მიმართ, მხოლოდ „მშრალი ციფრებით“ დამოკიდებულების გამო.

მოთხრობის ყველა ეპიზოდი, თავისი უცნაური პერსონაჟებით, მოითხოვს სკრუპულოზურ და გამონვლილვით, თანმიმდევრულ ახსნას; ყველა მოტივი, იქნება ეს მარადიული სიყვარული თუ მეგობრის ძიების თემა, უფლისწულის ნაოცნებარი და ნაფიქრი თუ ფილოსოფიური საუბრები, საჭიროებს საკმაოდ ღრმა განმარტებებს. ამიტომაც დიდებმა პატარებთან ერთად უნდა „იმოგზაურონ“ პრინცის მიერ აღწერილ შვიდასვე პლანეტაზე და მათი მაცხოვრებლების ხასიათები და ზნე-ჩვეულებებიც ერთად უნდა გაიაზრონ და განსაჯონ.

მწერლის თვალსაზრისიდან გამომდინარე, უფროსები თავად უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ ბავშვობას, რათა უკეთ შეძლონ პატარების შინაგანი სამყაროს წვდომა, მათი სულიერი მრწამსისა და ზნეობრივი იდეალების აღზრდა და ჩამოყალიბება.

Ekaterine Mikhelidze

“The Little Prince”–The Book for Children and Adults

In the eclectic selection of world literature, there are books created specially for children and adolescents, but adults do also have to read those. One out of many books like this, is “The Little Prince”, by Antoine de Saint-Exupéry. The book filled with allegories and elements of a fairy tale is worth contemplating, rereading, researching and just taking it in with joy. As it has already been mentioned, “The Little Prince” is a book for little children and adults, “because every adult was once a child”. Both, children and adults are able to relate with the beautiful world of the prince. There is a child living inside of this character and the writer is the one, who carries his childhood within.

Reading the story, there is an obvious difference between adults and children: adults view of life is materialistic, built with set of limits. Children are the ones fighting against these limits to reach the hearts of the ones, who have already forgotten about their childhood. This is why huge gaps are emerging between generations. Antoine de Saint-Exupéry creates an image of children, who are wise and courageous, who's hearts are out of adults' reach.

Every tiny passage of the story has to be carefully read through with great attention to detail and it's sometimes bizarre, but very meaningful characters. Every dialogue about eternal love, looking for friendships, the dreams and the hopes of the little prince or the philosophical conversations taking place throughout the book, requires to be taken to close attention and defined on a very deep level. This is why both children and adults absolutely have to "travel" to those seven planets described by the prince to understand the characteristics and way of living of the inhabitants.

Understanding the author, adults have to go back to their roots, to the early childhood years to be able to understand the hidden world of children, and be able to raise them as spiritually and morally mature people.

მარკა მშვილდაძე

ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში

დემეტრა – ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ქალღმერთი ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი და გავრცელებული ღვთაება იყო ანტიკურ სამყაროში. ბერძნების ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლისთანავე დემეტრა გაიგივებული იყო ადგილობრივ ქალ ღვთაებებთან. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი დემეტრას კულტთან დაკავშირებული არქეოლოგიური ძეგლები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ დემეტრას კულტი კოლხეთის ტერიტორიაზე ადრე ანტიკური პერიოდიდან იქნა შემოტანილი (ტერაკოტული 4 ქანდაკება აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე. ციხისძირის NN158,159 სამარხებში კი ფიქსირდება დემეტრას წმინდა ცხოველის – ღორის ტერაკოტული ფიგურები), რაც დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგი იყო, რადგან ადგილობრივ, კოლხურ მოსახლეობაში დემეტრას კულტის გავრცელების დამადასტურებელი არქეოლოგიური ძეგლები არ ჩანს.

ელინისტურ პერიოდში ღვთაების თავის ქანდაკება (ძვ. წ. III-II სს.) ფიქსირდება ვანის ტერიტორიაზე. ელინისტური პერიოდის ბოლოს დემეტრას კულტი ცნობილი იყო, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს მო-

სახლეობისთვისაც (უფლისციხის ნაქალაქარის განძში აღმოჩენილი თიხის მჯდომარე ფიგურა (?), სარკინეს ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩენილი კოშკისმაგვარი თავსაბურავიანი ქალის ტერაკოტის თავის ნაწილი).

გვიან ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, დემეტრას კულტი უკვე ფართოდ არის გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც არსებული პოლიტიკური სიტუაციის შედეგს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ღვთაების გამოსახულება გვხვდება, ძირითადად, გლიპტიკურ ძეგლებზე. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დემეტრასა და მის კულტთან დაკავშირებული სიმბოლოებიანი ინტალიოები აღმოჩენილია ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზე. აღმოსავლეთ საქართველოში კი ურბნისის, ჟინვალის, ქუშანანთ გორის II (მაგრანეთი), სამთავროს სამაროვნებზე. გვხვდება, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ფ. ბაიერნის მიერ სამთავროს ტერიტორიაზე 1870-1877 წლებში მოპოვებულ გლიპტიკურ მასალაში.

Marika Mshvildadze

Cult of Demeter in Iberia – Colchis

Demeter - Goddess of the harvest, agriculture, fertility was one of the most worshipped Goddesses in the world of antiquity. From the instance of the appearance of the Greeks in other countries Demeter used to be identified with the local Goddesses. The given work involves the studies and analyses of the artefacts connected with Demeter's cult discovered on the territory of Georgia. The results of the study prove that the cult of Demeter was introduced on the territory of Colchis from the period of early antiquity (4 terracotta statues were discovered at the Greek necropolis of Kobuleti-Pichvnari. While in burial sites #158,159 of Cikhisdziri tombs terracotta figurines of pigs, Demeter's sacred animal were found, being a direct result of the big Greek colonization, no artefacts, proving the spread of Demeter cult in the local Colchi population have been encountered.

The sculpted teracota head of the Goddess (dated by III-II cc. C.C.) on the Vani territory of Hellenistic period has been encountered. By the end of the Hellenistic period the cult of Demeter becomes familiar for the population of the Eastern Georgia as well (seated teracota figure discovered in the treasure of Upliscikhe site of former city (?), fragment of a spirelike woman with the covered head on the central terrace of Sarkine former city site.

From the period of later Antiquity Demeter cult is widely spread on the territories of both East and West Georgia, which is a result of the existing political situation. It is noteworthy that the images of the goddess are mosstly encountered on the glyptic monuments. On the territory of Westrern Georgia intaglios with symbols connected with Demeter and her cult, are mostly found at the Bitchvinta necropolis. While in East Georgia they are present at the necropolises of Urbnisi, Zhinvali, Kusganaant Mount II (Magraneti) Samtavro. They are also encountered in the glyptic materials obtained by F. Baiern on the Samtavro territory, preserved in Georgia's State Museum.

ივანე მჭედელაძე

ქალაქის სემიოტიკა: „თბილისური ტექსტის“ კულტურული მარკერები პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინულ ტრაველოგში

კულტურათა კონტაქტებისა და ურთიერთქმედების მრავალმხრივ პროცესში ყალიბდება წარმოდგენა ერთმანეთის (უცხო/სხვის) შესახებ, რომელიც გარდაიქმნება კულტურის ტექსტებში ასახულ სტერეოტიპებად თუ მითებად. პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ლიტერატურული რეპრეზენტაცია ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია, რომელშიც საინტერესოდ აირეკლა კულტურული კომუნიკაციების თავისებურებები.

თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში აქტუალურია სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის, ე.წ. ტრაველოგის კვლევის ტენდენციები. ტრაველოგი ერთგვარი სინკრეტული ჟანრია. ეს არის სხვადასხვა ჟანრობრივი ტექსტების ერთობლიობა, რომელშიც მოგზაურის შთაბეჭდილებები გადმოცემულია ჩანაწერების, დღიურების, მოგონებების, წერილების, ავტობიოგრაფიული ჩანაწერების, ნარკვევებისა თუ რეპორტაჟების სახით.

მოსხენებაში განვიხილავ საქართველოს შესახებ შექმნილ თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურულ ტექსტებს. ამ საკითხის კვლევაში განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ე.წ. „თბილისური ტექსტის“ კულტურული მარკერები (ქალაქი-რომანი, ქალაქი, რომელსაც უყვარხარ შენ, შავი თუთა თბილისურ ეზოში და ა.შ.), შესაბამისად, სემიოტიკური ანალიზის საფუძველზე განვიხილავ ქალაქური ტექსტისთვის დამახასიათებელ ზოგად თავისებურებათა ტიპოლოგიას და თანამედროვე უკრაინულ სამოგზაურო ლიტერატურაში თბილისის სახე-ხატის აღწერასთან მის მიმართებას.

საკვლევ მასალად წარმოდგენილია საქართველოში მოგზაურობის შედეგად შექმნილი სხვადასხვა თაობის, სტილისა და გემოვნების ავტორების: პ. კონონენკოს ლექსები, თანამედროვე უკრაინული ემიგრანტული მწერლობის გამორჩეული წარმომადგენლის, ვასილ მახნოს ჩანაწერები „შავი თუთა ეზოში“, მისი თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები, უკრაინული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ლიდერის, სერგეი ჟადანის თბილისური შთაბეჭდილებები და სხვ...

„უცხო“, როგორც განსაკუთრებულის, საოცარის აღქმა „საკუთარის“ ფონზე მეტად აქტუალურია სამოგზაურო ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე, იმაგოლოგია, როგორც ლიტერატურული კომპარატივისტიკის ერთ-ერთი განშტოება (დ. ნალივაიკო) კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური და თეორიული ბაზაა.

მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის, მწერლისა და მოგზაურის, ალექსანდრ ბობოროვნიკოვის თბილისური ტექსტის კულტურულ მარკერებს, ნაწარმოებიდან „საქართველოს მხარეები, მგლების ქვეყნის ძიებაში“. საინტერესოა, რომ ეს საკითხი და ტექსტები შეუსწავლელია როგორც ქართულ, ისე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ჩემი მიზანია, აღნიშნულ მასალის სემიოტიკური ანალიზის საშუალებით განვიხილო უკრაინულ კულტურულ მენტალობაში თბილისის შესახებ შექმნილი წარმოდგენების ხასიათი და ტიპოლოგია, მათი წარმოშობა და განვითარება, ისტორიული ცვალებადობა – ტრადიციის გაგრძელება თუ ცვალებადობა.

საკვლევ მასალაზე დაკვირვებით შესაძლებელია დასკვნის გაკეთება – პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიური უკრაინული ლიტერატურა ერთგვარად საზრდოობს როგორც ნაციონალური ლიტერატურული ტრადიციით, ასევე ხდება მისი კორექტირებაც.

Ivane Mchedeladze

Semiotics of the City: Cultural Markers of the "Tbilisi Text" in the Post-Soviet Ukrainian Travelog

In the multifaceted process of intercultural communication and interaction, activated in the context of modern globalization, the notion of each other (stranger / other) is formed, which is transformed into stereotypes or myths reflected in the texts of culture. Literary representation of Georgian-Ukrainian relations in the post-Soviet / post-colonial period is one of the least studied vectors.

In the modern literary discourse and the travel genre literature, the so-called travelog-travel research trends are very popular. Travelog is a kind of syncretic

genre, it is a collection of different genre texts in which the traveler's impressions are presented in the form of records, diaries, memoirs, letters, autobiographical notes, essays or reports.

In the paper, I will discuss the modern Ukrainian literary texts created about Georgia. The so-called cultural markers of "Tbilisi Text" (City-Novel, City that Loves You, Black Mulberry in a Tbilisi Yard, etc.), turned out to be especially interesting for me. Therefore, based on semiotic analysis, I will discuss the general features of urban text and their adaptation of Tbilisi in modern Ukrainian travel literature.

The research material combines authors of different generations, styles and tastes and texts written as a result of traveling to Georgia- P. Kononenko's poems; The records of Vasil Makhno - "Black Mulberry Yard" and his poems dedicated to Tbilisi, a distinguished representative of modern Ukrainian emigrant literature; the Tbilisi impressions of one of the leaders of Ukrainian postmodernism, Sergei Zhadan.

The perception of the "stranger" as a special one against "one's own" is very relevant in the travel literature. Therefore, Imagology as one of the branches of literary comparativism (D. Nalivaiko) is the main methodological and theoretical basis of research.

In the report, I will pay special attention to the cultural markers of the Tbilisi text of the famous Ukrainian journalist, writer and traveler Alexander Boborovnikov, from the work "Regions of Georgia, in Search of the Wolf Country". Interestingly, neither this issue nor these texts have ever been studied in both Georgian and Ukrainian Literary Studies.

The aim of the paper is to analyze the nature and typology of ideas about Tbilisi in the Ukrainian cultural mentality through their semiotic analysis of the mentioned material, their origin and development, historical variability - the continuation of tradition or variability.

By observing the research material, it is possible to conclude - post-Soviet / post-colonial Ukrainian literature is nurtured in the same way as the national literary tradition and also manages to correct it.

ეკატერინე ნავროზაშვილი

ხოსე ორტეგა ი გასეტი – თარგმანის შესახებ

ესპანელმა გავლენიანმა ფილოსოფოსმა, სოციოლოგმა და პუბლიცისტმა – ხოსე ორტეგა ი გასეტმა 1930 წელს დაწერა ესე „თარგმანის სილათაკე და ბრწყინვალება“ ("Miseria y esplendor de la traducción").

ხოსე ორტეგა ი გასეტის ესემ იმთავითვე მიიპყრო ლიტერატორებისა და თარგმანმცოდნეთა ყურადღება. მის ანალიზსა და კრიტიკას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. მოხსენებაში მიმოვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ესე „თარგმანის სილატაკე და ბრწყინვალეობა“ 5 ნაწილისგან შედგება და საინტერესოა არა მარტო ავტორისეული „კონცეპტუალური განაზრებებით“, არამედ ფორმა-შინაარსით. ხოსე ორტეგა ი გასეტი ფართოდ შლის „კოლეჯ დე ფრანსის“ მასწავლებელთა ინტელექტუალური საუბრის თემას – თარგმანის შეუძლებლობასა თუ შესაძლებლობას.

დასაწყისში ესპანელი ფილოსოფოსი თარგმანს „სასამართლოს“ უწყობს და ბრალმდებლის როლში „სილატაკეს“ წარმოადგენს. გასეტი ესეში განიხილავს მთარგმნელობითი საქმიანობის არაერთ მხარეს, მსჯელობს მის სირთულეებზე, წინააღმდეგობებზე და მათზე დაყრდნობით თარგმანის შესაძლებელი ბრწყინვალეებისაკენ გვიჩვენებს გზას: „თარგმანი მოკვდა! გაუმარჯოს თარგმანს!“ ესეს ბოლო ნაწილში – „ბრწყინვალეობა“ – გასეტი აღიარებს თარგმანის საჭიროებასა და მნიშვნელობას.

Ekaterine Navrozashvili

José Ortega y Gasset – About translation

The influential Spanish philosopher, sociologist and publicist José Ortega y Gasset wrote an essay "The Misery and Splendour of Translation" ("Miseria y esplendor de la traducción") in 1930.

Literary critics and people who study translation immediately paid attention to José Ortega y Gasset's essay. Many works were dedicated to its analysis and criticism. Some of the are reviewed in our work.

The essay "The Misery and Splendour of Translation" consists of 5 parts and it's interesting not only for the author's "conceptual considerations", but also for the form and content. José Ortega y Gasset broadly presents the theme of intellectual conversation of the "Collège de France" teachers – impossibility or possibility of translation.

In the beginning the Spanish philosopher conducts "a trial" for translation and presents "Misery" in the role of the prosecutor. Gasset considers many aspects of translation work in his essay, discusses its difficulties, contradictions and based on them he shows us the way to the possible splendour of translation: "The translation is dead! Long live the translation! " In the last part of the essay - "The Splendour" – Gasset acknowledges the need and importance of translation.

ხატია ნამიჭეიშვილი

ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური მოვლენების გავლენა სურათხატოვან მეტაფორაზე სოციალურ ქსელში

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური მოვლენების გავლენა სოციალურ ქსელში არსებულ სურათხატოვან მეტაფორებზე. საკვლევი მასალა მოიცავს სურათხატოვანი მეტაფორების როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან მაგალითებს როგორც ქართველი, ასევე ინგლისურენოვანი მომხმარებლების გვერდებიდან.

ნაშრომის მიზანია:

1. გამოიკვლიოს, რა დოზით ახდენს ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები გავლენას სოციალურ ქსელში არსებულ სურათხატოვან მეტაფორებზე.

2. გამოიკვლიოს და გამოკვეთოს ფონური ცოდნის როლი სურათხატოვანი მეტაფორის დეკოდირების საკითხში.

ნაშრომი გახლავთ აღნიშნული საკითხის თვისებრივი კვლევა, რომელიც წარმოგვიდგენს, თუ რა ტიპის გავლენას ახდენს მიმდინარე მოვლენები სოციალურ ქსელში არსებულ სურათხატოვან მეტაფორებზე.

საკვანძო სიტყვები: სურათხატოვანი მეტაფორა, მიმდინარე მოვლენები, კულტურული კონტექსტი, ფონური ცოდნა.

Khatia Namitcheishvili

The influence of current events on pictorial metaphors in social networks

The paper examines the influence of current events on pictorial metaphors in social networks. The empirical data embrace the Georgian as well as English examples from social network.

Specifically the paper aims at:

1. Researching the influence of current events on pictorial metaphors in social networks.

2. Researching and emphasizing the importance of background knowledge while decoding a pictorial metaphor.

It is a qualitative study, which focuses on the intensity and importance of the influence of current events on linguistic devices such as pictorial metaphor. Keywords: pictorial metaphor, current events, cultural context, background knowledge.

სალომე ოშიაძე

„შუშანიკის ნამებაში“ დადასტურებულ ჭამის ველის ერთეულთა ფორმობრივ-სემანტიკური ტრანსფორმაცია

ჭამის აღნიშვნისას ქართულ ენაში გამოვლენილი სემიოტიკური სიმჭიდროვე უნივერსალურ მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან საკვების მიღებას, როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ერთ-ერთ მთავარ ქმედებას, კომუნიკაციური თვალსაზრისით, მაღალი სიხშირული ინდექსი ენიჭება.

ჭამის პროცესის გამსიტყვებელი ლექსემები შემოგვინახა ჩვენამდე მოღწეულმა პირველმავე ქართულმა ლიტერატურულმა ძეგლმა. „შუშანიკის ნამებაში“ დადასტურებული ჭამის ველის ერთეულები – ზოგი უცვლელად, ზოგი კი გარკვეული ფორმობრივ-სემანტიკური ტრანსფორმაციით – ნაწარმოების შექმნის დროიდან იხმარებოდა და დღესაც იხმარება სალიტერატურო ქართულსა თუ მის დიალექტებში.

„პურობის სცენად“ („პურობის ეპიზოდად“) სახელდებული მონაკვეთი ტექსტის სწორედ ის ნაწილია, რომელშიც თავს იყრის ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური მასალა. არც აღნიშნულ ეპიზოდში და არც ტექსტის დანარჩენ ნაწილში ლექსემა პურობა არ გვხვდება, ის უფრო გვიან არის გაჩენილი (მე-12 საუკუნიდან დასტურდება), მისი მნიშვნელობით „შუშანიკის ნამებაში“ იმავე ძირის შემცველ ერთეულთაგან გამოყენებულია პურის-ჭამა და პური („ჭამი პურისაჲ“).

მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი ერთ-თუ ორნევრა ლექსემები და სინტაგმები: პური (/სერი), უზმა, პურის-ჭამაჲ, ჭამი პურისაჲ, პურად დასხდომა, საზრდელის მიღება, საჭმელის მიღება, ჭამადის მიღება, გემოჲს ხილვა, პურისა გემოჲ, წუნაკი მხლისა, წუნაკი შექმნული; აღწერილი იქნება თითოეულის სინტაგმატურ-დერივაციული ველი და კონტექსტების დამონშებით ნაჩვენები იქნება ის ფორმობრივ-სემანტიკური სტაბილურობა თუ ცვლილებები, რომლებიც განიცადეს ამ ერთეულებმა მეხუთე საუკუნიდან დღემდე.

Salome Omiadze

The Structural-Semantic Transformation of the Units within the Semantic Field of Eating Found in the „Martyrdom of St. Shushanik“

The semiotic density of units of eating identified in the Georgian language can be assessed as a universal phenomenon, because eating, as one of the vital human activities, is characterized by high frequency index from the communicative viewpoint.

The lexemes denoting the process of eating are abundantly found in the earliest preserved Georgian literary monument „The Martyrdom of St. Shushanik“ (5th century A.D.). These units have been preserved in the literary Georgian and certain dialects until now. Some of the above-mentioned lexical units have remained unaltered, while others have undergone certain structural-semantic transformation.

The paper analyzes 15 lexemes, describing the syntagmatic-derivational field of each of these units. On the examples of different contexts, the paper focuses on the structural-semantic stability, as well as the changes affecting these forms from the fifth century A.D. until the present time.

ნინო პოპიაშვილი

ქართული ჰაგიოგრაფიის პარადიგმული მოდელის განსაზღვრისათვის

ქართული ლიტერატურის პირველი ტექსტები დასრულებული ლიტერატურული ნაწარმოებებია, რომელთაც აქვთ თავიანთი სტრუქტურა, ასახვის თავისებურებები, მოდელები და პარადიგმები, რაც ჰაგიოგრაფიული დარგის ძირითად პრინციპებს იცავს და ასახავს. ჰაგიოგრაფიული მოდელის კვლევისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰაგიოგრაფიაში როგორც მოდელები, ისე მწერლის ენა არის სტანდარტიზებული და ნორმირებული, რადგან დადგენილი და ნორმირებულია როგორც სიუჟეტური განვითარება, ისე ენობრივი გამომსახველობა. მასში კონკრეტული ფორმულირებებით, სტერეოტიპებად ქცეული ენობრივი კლიშეებით ვითარდება თხზულების სიუჟეტური ხაზი და ასევე იკვეთება მთავარი გმირის სახე. ჰაგიოგრაფიის სტანდარტიზებული ენა ემსახურება ჰაგიოგრაფიულ-

ლი მოდელების ასახვას, თუმცა მხატვრული, ანუ პოეტური გამომსახველობის ენა არის სრულიად ინდივიდუალური და თავისუფალი, მათ შორის, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის მოდელებზე მსჯელობისას, ძირითადად, გამოიყენებოდა ორგვარი დეფინიცია: „მარტვილოლოგია“, ანუ „ნამებანი“ და „წმინდანთა ცხოვრება“, ანუ „ცხოვრებანი“.

ქართული ჰაგიოგრაფიის მოდელის კვლევისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ეთნიკური, რელიგიური და გენდერული საკითხების განხილვაც. მოხსენებაში ვისაუბრებ ქართული ჰაგიოგრაფიის მოდელებზე, ყურადღებას გავამახვილებ ეთნიკურ და გენდერულ ასპექტებზე, ასევე, პრობელტიზმის ასახვის პარადიგმულ მოდელებზე ჰაგიოგრაფიაში, ასევე, პრობელტიზმის ასახვის პარადიგმულ მოდელებზე.

Nino Popiashvili

For Determining the Paradigmatic Model of Georgian Hagiography

The first texts of Georgian literature are completed literary works, which have their own structure, peculiarities of reflection, models and paradigms, that respect and reflect the basic principles of the hagiographic genre. When studying the hagiographic model, it should also be noted that in hagiography both the models and the language of a writer are standardized and normed, as both the plot development and the language expression are established and normed. The storyline of the piece of writing develops in it with specific formulations and linguistic clichés that have become stereotypes, and the leading character's type is also outlined. The standardized language of hagiography serves to reflect hagiographic models, although the language of artistic or poetic expression is completely individual and free, including in hagiographic works.

When discussing the model of Georgian hagiographic writing, two definitions were mainly used: "Martyrdom" or "Tsamebani" (Martyrdom) and "Life of Saints" or "Tskhovrebani" (Lives). This paradigm can be expressed as follows:

When studying the model of Georgian hagiography, it is also important to consider ethnic, religious and gender issues. In the report I will talk about the model of Georgian hagiography, I will focus on the ethnic and gender aspects, as well as on the paradigmatic models of the reflection of proselytism in hagiography, as well as the paradigmatic model of the reflection of proselytism.

მანანა რუსიეშვილი, რუსუდან დოლიძე

უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პრობლემები: ქართული კონტექსტი

უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პრობლემათიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის პირობებში და თანამედროვე გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად გვევლინება. უცხო ენაზე ეფექტური და წარმატებული კომუნიკაციის შესწავლის დროს ყურადღების ცენტრში ექცევა ამ პროცესის რამდენიმე ასპექტი, კერძოდ, მისი ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და საკომუნიკაციო მახასიათებლები (McCroskey & Baer, 1985; Mahdi, 2014).

მოხსენებაში უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პრობლემა განხილულია „კომუნიკაციის სურვილის“ (willingness to communicate) თეორიის თვალთახედვიდან, რომელიც თანამედროვე გამოყენებითი ლინგვისტიკის თეორიული კვლევის ერთ-ერთი პოპულარული მიმართულებაა (MacIntyre et al., 2001, 2002).

ნაშრომში ასევე აღწერილია კვლევა, რომელიც ეყრდნობა თსუ-ის უცხო ენათა ცენტრის ინგლისური ენის მასწავლებელთა და ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების ელექტრონული კითხვარის საშუალებით აზრის გამოკითხვის შედეგების ანალიზს. ამგვარი მიდგომა ერთი და იმავე პრობლემის ორი პოზიციიდან (მასწავლებელი/სტუდენტი) შესწავლის საშუალებას გვაძლევს.

Manana Rusieshvili, Rusudan Dolidze

Willingness to communicate in a foreign language: the Georgian context

The problem of oral communication in a foreign language is acquiring a greater importance in the context of globalization and presents one of the most pressing problems of contemporary applied linguistics. The study of effective and successful communication in a foreign language focuses on the psychological, linguistic and communicative aspects of this process (McCroskey & Baer, 1985; Mahdi, 2014).

This paper discusses the problem of oral communication in a foreign language from the perspective of the theory of "willingness to communicate"

and consequently, is based on the methodology of the above-mentioned theory. (MacIntyre et al., 2001, 2002).

In addition to the overview of the fundamental theoretical issues connected with the research topic, the paper also describes the results of the study based on an electronic questionnaire filled out by some of the teachers of English of TSU Center for Foreign Languages on the one hand, and by a group of students of the University on the other. Such an approach allows exploration of the issue from two (teacher's and student's) standpoints.

მამია სურმავა

ცოდნისა და ქეშმარიტების ერთი ასპექტისათვის ბუდისტურ ფილოსოფიაში („ეპოხე“ და „სანიატა“)

მრავალი მკვლევრის აზრით, ბუდისტური ტრადიცია, რომელიც მრავალ სკოლასა და ფილოსოფიურ სისტემას მოიცავს, თავისი ფუნდამენტური შეხედულებებით სკეპტიკურია. ასეთი შეფასების საფუძველს ისინი ბუდიზმისათვის ცენტრალურ ისეთ პრინციპებში ხედავენ, როგორცაა ანიტია, პრატიკისამუტადა, სანიატა ე.წ. „შუა გზა“, რითაც დოგმატური უკიდურესობებისათვის – ნიჰილიზმისა და „მკაცრი რეალიზმისათვის“ – გვერდის ავლა ხდება.

აღნიშნული მკვლევრების თანახმად, ბუდისტური ფილოსოფიის სკეპტიკური პოზიცია ფუნდამენტური პირობაა განთავისუფლებისათვის და, მაშასადამე, გაბრწყინების, ნირვანაში გადასვლის ინსტრუმენტია. ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, რადგან ვთვლით, რომ ბუდისტური სკეპტიციზმი არ არის აბსოლუტური. მისი სამიზნე გახლავთ ინდური ბრაჰმანული სკოლების სუბსტანციონალისტური და, ამდენად, მიუღებელი დოქტრინები. ასე მოფიქრალი ავტორების საპირისპიროდ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბუდისტური სკეპტიციზმი, თავისი „სანიატას“ პრინციპით, თითქმის იგივეა, რაც ფენომენოლოგიური „ეპოხე“ ჰუსერლის ფილოსოფიაში. სოტეროლოგიური მიზნის მატარებელი ბუდიზმის ძალისხმევის საგანია არა მხოლოდ ეპისტემოლოგიური და ეთიკური, არამედ მეტაფიზიკური პრობლემებიც. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სამსარას საფუძველი „ავიდიია“ ანუ ტანჯვისაგან განთავისუფლება მოითხოვს, ადამიანის მიერ ქეშმარიტი ხედვა იქნეს მოპოვებული.

ბუდიზმის მიხედვით, ფენომენები არის მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულების და უწყვეტი ცვალებადობის „შედეგი“. აქედან გამომდინარე, არცერთ მათგანს სინამდვილეში არა აქვს „თვითობა“ და

ეს ასეა როგორც მე-ს, ისე გარეგანი საგნების შემთხვევაში. სხვა სიტყვებით, რეალობა ცარიელია „სვაბჰავას“ ასპექტით.

სამსარული მოვლენების კონვენციური წესით, არსებობის პოსტულირების ფონზე ბუდიზმი ორი ქეშმარიტების შესახებ კონცეფციას აფუძნებს. პირველი ქეშმარიტება იგივე „ვიავაჰარა“ ანუ „სატიაა“, ხოლო მეორე – უბენაესი ქეშმარიტება: „პარამართჰა“.

Mamia surmava

The Approach to Knowledge and Truth in Buddhist Philosophy (Epoche and Sunyata)

From the standpoint of many researchers Buddhist tradition that consists of numerous schools of thought and philosophical systems with its important core views is skeptical one. They justify their conclusion referring to the fact that Buddhist philosophy while revolving around three fundamental concepts - impermanence (anitya), interdependence (pratityasamutpada), and emptiness (sunyata) - defends a middle way between dogmatic extremes - nihilism and strong realism. According to these modern writers the skeptical stance of all Buddhist philosophers is fundamental condition of liberation and therefore an instrument of gaining the Nirvana.

We merely partly share such standpoint. In our view the objects of Buddhist skepticism are substantialist and therefore unacceptable doctrines of the Indian Brahmanical schools. In response to above mentioned modern researchers we emphasize that Buddhist skepticism with its Sunyata principle is almost the same as phenomenological epoche of Husserlian philosophy, While Buddhist philosophy is aimed at soteriological concerns, its concerns are principally not only epistemological and ethical, but also metaphysical, because the root of samsara is confusion regarding the nature of reality, and liberation from suffering requires insight into that nature. According of Buddhism all phenomena are impermanent, without essence (or self ess), and interdependent. On the base of this Idea Buddhism extirpates the view that phenomena are enduring, independent, and have essential cores. Therefore, there is no self, in the case of either persons or external phenomena. Reality is empty of inherent existence, or of essence (svabhava).

The fact that everything exists in a causally interdependent, conventional way but is at the same time ultimately empty grounds the doctrine of the two truths. The first truth is the conventional, or concealing (samvrti, vyavahara) truth or reality (satya); the second is the ultimate (paramartha) truth or reality.

მარიამ ფილინა

თადეუშ ლადა-ზაბლოცკი და მიხეილ თუმანიშვილი (პოეტების დიალოგი)

პოლონელი „კავკასიელი“ ლიტერატორების ჯგუფში შემოქმედებითი პოტენციალის მიხედვით პირველი ადგილი უკავია თადეუშ ლადა-ზაბლოცკის. იგი სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს მკვლევართა შორის. ზაბლოცკი კავკასიაში გადმოასახლეს 1837 წელს ცარიზმის საწინააღმდეგო ლექსებისა და მთავრობის საწინააღმდეგო სტუდენტურ წრეში მონაწილეობისთვის. იგი რიგით ჯარისკაცად მსახურობდა კავკასიის ომში. ზაბლოცკის კავკასიური მოგზაურობა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიის გავლის შემდეგ, 1837 წლის შემოდგომიდან დედოფლისწყაროში მსახურობდა – თბილისიდან ას ვერსზე. სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ცხოვრობდა თბილისში და იყო პოლონელი პოეტ-რომანტიკოსების ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ზაბლოცკის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მოვლენა ქართულ-პოლონური კულტურული ურთიერთობებიდან. მნიშვნელოვანი ფაქტებიდან ერთ-ერთია ქართველი და პოლონელი პოეტების პირველი თანამეგობრობა. ზაბლოცკის ნაცნობების ფართო წრე ჰყავდა, იგი ა. ჭავჭავაძის სალონის ხშირი სტუმარი იყო, ხოლო მისი ქალიშვილები – ნინო და ეკატერინე – ზაბლოცკის „პოეზიის“ ტომის ხელისმომწერთა შორის არიან აღნიშნულნი. მიხეილ თუმანიშვილმა ქართულად თარგმნა ზაბლოცკის ლექსი „ალაზნის ველი“, ხოლო ზაბლოცკიმ პოლონურად – მეგობრის ლექსი „თასი“. „თასის“ ტექსტი შემონახულია ზაბლოცკის თუმანიშვილისადმი მიწერილ წერილში.

კავკასიაში ჩამოსვლის პირველ წლებში თადეუშ ლადა-ზაბლოცკის ჰქონდა მიმოწერა მწერალ მიხეილ თუმანიშვილთან, რომელსაც დაუმეგობრდა თბილისში ხანმოკლე ყოფნისას, ხოლო მისგან გაიცნო ნიკოლოზ ბარათაშვილი. ზაბლოცკის თუმანიშვილისადმი წერილებში ჩანს, როგორ უმძიმდა პოეტს სამხედრო სამსახური, „ლაშქრობები ზურგჩანით“. ასეთი პოზიცია აქვს თითქმის ყველა გადმოსახლებულ პოეტს, რომელთაც არ მოსწონდათ მთიელებთან ომი, ჩერქეზების, ჩეჩნების და სხვათა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ თვლიდნენ სამართლიანად და განიცდიდნენ, რომ მსახურობდნენ მოწინააღმდეგეების ბანაკში.

იგი გულწრფელად უზიარებს მას თავის ამბებს, ჩივის კავკასიურ ცხოვრებაზე, რადგან თავს სტუმრად არ თვლის, მაგრამ მეგობრის მხარეში ცხოვრობს, თუმცა მაინც მისგან მოშორებით, რადგან მ. თუმანიშვილი თბილისშია, ხოლო პოლონელი პოეტი შორს, მთებში. ნიშანდობლივია, რომ წერილები ხშირად ლექსებზე უფრო მკაფიოდ გამოხატავს როგორც

ცხოვრების რომანტიკულ აღქმას, ყველა ცხოვრებისეული პრობლემის ფილოსოფიურ განზოგადებას, ასევე, რომანტიკის საპირისპირო დამოკიდებულებასაც. წერილებში იგრძნობა ბედისწერის შეგრძნება, ვლინდება რომანტიკული სენტენციებისადმი მიდრეკილება, ცხოვრებისადმი მწარე ირონიული დამოკიდებულება. ეს ყველა შტრიხი ორგანულადაა შერწყმული „კავკასიელების“ პოეზიაში და ზოგადად პოლონური რომანტიზმის დამახასიათებელია. წერილები მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ქართულ-პოლონური ურთიერთობების შესწავლის საქმეში.

Mariam Filina

Tadeush Lada-Zablotsky and Mikheil Tumanishvili (The dialogue of poets)

According to the role in the group of Polish "Caucasian" writers and in poetic talent, the first place belongs to Tadeusz Lada-Zablotsky.

Zablotsky was exiled to the Caucasus as a private in 1837 for anti-royal verses and participation in the activities of the student circles. The geography of Zablotsky's movements is very complicated. Already in autumn of 1838, having managed to pass through the North Caucasus, he served a hundred miles from Tbilisi. After retirement, he lived in Tbilisi, where he became one of the founders of a group of Polish romantic poets.

Many events of Georgian-Polish cultural relations are associated with the name of Zablotsky. One of the significant facts is the first community of Georgian and Polish poets. Zablotsky's circle of acquaintances is wide enough; he has been in the salon of A. Chavchavadze. Among the subscribers to his "Poetry" are both daughters of the Georgian poet - Nina and Ekaterina. Mikhail Tumanishvili translates Zablotsky's poem "Alazani Valley" into Georgian, and Zablotsky into Polish - his friend's poem "Bowl". The text of the "Chalice" was preserved in letter to Tumanishvili.

Soon after arriving in the Caucasus Zablotsky had a correspondence with Tumanishvili, and through him he met Nikoloz Baratashvili. According to letters of Zablotsky, he is burdened with military service, campaigns with a "satchel behind him."

Zablotsky sincerely shares with Tumanishvili, even complains about the Caucasian life, because he doesn't feel himself like a guest, but as a person, who lives at the same time and in the same region as his friend. Letters are sometimes more vivid than poems, they show both a truly romantic perception of life, a tendency to philosophical generalization of all life's hardships. In letters there is a sense of rock, providence, a tendency to romantic maxims. Letters are an important document for the Georgian-Polish literary relationships.

მარინე ფუთურიძე

თრიალეთის კულტურის სოციალური სტრუქტურის საკითხისათვის

თრიალეთის კულტურა, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის განვითარებულ ანუ II ეტაპს განეკუთვნება, არაერთი მნიშვნელოვანი გარდატეხითა და სიახლეთა ნაკადით ხასიათდება. უახლესი კვლევების საფუძველზე ის ძვ.წ. 21-17 საუკუნის დასაწყისის განმავლობაში არსებობდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ეს ცვლილებები მკაფიოდ გამოვლინდა როგორც მატერიალური კულტურის მრავალფეროვანი ნიმუშების, ისე საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ყოფის ამსახველი მონაცემების საფუძველზე. დღეისათვის ყველაზე უკეთ და მრავლად მისი სამარხეული ძეგლებია გამოვლენილი, რომლებიც სამხრეთ კავკასიის უდიდეს ნაწილშია ლოკალიზებული. როგორც ცნობილია, ყველაზე უკეთ სწორედ სამარხეული ძეგლები ასახავენ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, ვიდრე სხვა ტიპის კომპლექსები (ნამოსახლარი, განძი, სამლოცველო და სხვ.). სამარხეული ძეგლებისა და მასში დადასტურებული მდიდრული და მრავალგვარი არტეფაქტების სიმრავლე, უდავოდ, თრიალეთის კულტურაში სხვადასხვა სოციალური ფენის არსებობის შესახებ მეტყველებს. სწორედ ყორღანებზე დაყრდნობით ასკვნიან მკვლევრები ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების ღრმად წასული სოციალური სტრატეფიკაციის შესახებ.

ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს, უპირველესად, ყორღანთა კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის განსხვავებული თავისებურებანი, და მასთან ერთად, ცხადია, მეტ-ნაკლებად მდიდრული სამარხეული ინვენტარით წარმოდგენილი კომპლექსები. სწორედ ამ მონაცემების შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების სახელით ცნობილი კულტურის საზოგადოებაში შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე სოციალური ფენა. თითოეული სოციალური ფენისათვის განკუთვნილი დასაკრძალავი ძეგლები განსხვავებულია ყორღანული ყრილის სიმძლავრით, დიამეტრით, ყორღანქვეშა კონსტრუქციისა და სარიტუალო გზების არსებობა-არარსებობით, დასაკრძალავი რიტუალის სირთულით და მასთან ერთად, რასაკვირველია, სამარხეული ინვენტარის არაერთგვაროვანი სიმდიდრით. სწორედ ეს უკანასკნელი მონაცემები არის იმის უდავო მანიშნებელი, რომ თრიალეთის კულტურის საზოგადოებაში უკვე ამკარად არსებობენ არა მხოლოდ ზოგადად ხელოსნები, არამედ ხელოსნობის სხვადასხვა დარგში სპეციალიზებული ადამიანები. საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის შედეგად შესაძლებელია დიფერენცირდეს შემდეგი ფენები: მმართველი ფენა/ელიტა, ქურუმები, მეთუნეები, ოქრომჭედლები, ლითონმწარმოებლები,

ხითხუროები, მშენებლები, მხატვრულ ხელოსნობასა და ვაჭრობა-გაცვლით საქმიანობაში სპეციალიზებულნი, და ბოლოს, რიგითი მეთემეები ანუ მატერიალური დოვლათის შემქმნელნი.

როგორც ჩანს, საზოგადოების თითოეული სოციალური ფენა დაკავებული იყო კონკრეტულად იმ საქმიანობით, რომელშიც ისინი საგანგებოდ კარგად იყვნენ დახელოვნებულნი. სოციალურად ამგვარად სტრატეფიცირებული საზოგადოება, ცხადია, კარგად წარმოგვიდგენს თრიალეთის კულტურას, როგორც მაღალგანვითარებულ და კლასობრივი საზოგადოების ზღვართან ახლოს მდგარ სოციუმს. ვფიქრობთ, საზოგადოებას, რომელსაც შეეძლო შეექმნა ახალი დარგები და მაღალ დონეზე აეყვანა წინამორბედ ეპოქაში უკვე ათვისებული სფეროებიც (მშენებლობა, მეთუნეობა, ლითონწარმოება, ოქრომჭედლობა), ბუნებრივია, განსხვავებული ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა ექნებოდა. ეს პროცესი კი სათანადოდ მკაფიოდ და მრავალფეროვნად ასახა ასეულზე მეტმა სამარხეულმა ძეგლმა.

Marina Puturidze

For the Issue of Social Structure of the Trialeti Culture

Chronologically the Trialeti culture defined as the developed, i.e. II phase of the Middle Bronze age. This cultural unit characterized with the various essential innovations in material culture and the shifts in social-economic sphere of society as well. The mentioned culture was distributed in most of the area of Transcaucasia. According the research, carried out in last years, chronological frames of this culture ascertained from the XXI - including the first half of the XVII centuries BC.

Currently, the Trialeti culture much better and widely represented by the funerary sites rather than the settlements or any other kind of complexes. They were discovered in different years of the previous and as well ongoing centuries in South Caucasus and well studied by scholars of different archaeological schools. It is well accepted opinion that, in general, burial sites better and sharply reflects social structure of society than any other ones. Exactly basing on the kurgans, scientists proves in favor of the far-reaching process of stratification of the society of culture under investigation. Our attempt of analyzing all sort data of the funerary complexes (measure and construction of the kurgans, burial ritual and burial goods) allowed to clear up the different social layers of the trialetian society. All kind of obtained information and their detail comparative study allows to assume that social groping of this society might be follo-

wing: ruling elite, priests, craftsmen of different spheres (metalworkers, potter-s, gold-smith, master-builders, carpenters, masters of high artistic craft, merchants and producing community). Each of this group were qualified in one of the certain field of craft. It is no doubt that representatives of the each above mentioned social group were buried in different sort of funerary constructions and accompanied by various burial goods. Kurgans of the Trialeti culture evidently reflects the social grouping of this society. Assuming all data, it can be mentioned that more than hundred of kurgan sites demonstrates the deep social stratification of the considered culture.

თეა ქამუშაძე

გაღება უკან დაბრუნების მოლოდინის გარეშე: პოსტსოციალისტური რუსთავის რელიგიური ბაზარი და ყოველდღიურობა

ინდუსტრიულ რუსთავში ადამიანები კეთილდღეობის, დასაქმებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობის ძიებისას აღმოჩნდნენ. ახალგაზრდა ქალაქი მათ ბევრს ჰპირდებოდა, პირველ რიგში: სამსახურს, მატერიალურ კეთილდღეობასა და უზრუნველ მომავალს. საბჭოთა სისტემის რღვევამ კი სხვა რეალობა დატოვა - ინდუსტრიაზე დამოკიდებული ქალაქი საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩა. მასიური უმუშევრობა და შრომითი მიგრაცია რუსთავის ყოველდღიურობის ნაწილად იქცა.

ამის სანაცვლოდ პოსტსოციალისტურ რუსთავში გაჩნდა ადგილი, აუთვისებელი სივრცე საჯარო რელიგიურობისათვის. მართლმადიდებლური ეკლესია პირველი აღმოჩნდა, რომელმაც ეს შესაძლებლობა გამოიყენა და მყისიერად დაიწყო ტაძრების მშენებლობა, რაც დღემდე გრძელდება. უმრავლესობის რელიგიური აქტორების გარდა, რუსთავის რელიგიურ „ბაზარზე“ სხვა, ახალი რელიგიური ჯგუფებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც საკუთარი ადგილი პოსტსეკულარულ თუ პოსტათეისტურ ქალაქში უნდა დაეკავებინათ. მოხსენებაში რუსთავის ურბანული სივრცე საჯარო რელიგიური გამოვლინებებისა და დამკვიდრების სტრატეგიები და მათი მიმართება ქალაქის საბჭოთა ურბანულ ნარატივებთან კავშირში განიხილება. მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობა განხილული იქნება ქალაქის ნაციონალური ნარატივის კონტექსტში, რომლის მიხედვითაც ქალაქს საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობით აღნიშნული ტრადიცია გრძელდება. ხოლო სხვა რელიგიური ჯგუფების მცდელობა, დაიკავონ ად-

გილი რუსთავის ურბანულ სივრცეში, საბჭოთა ინტერნაციონალიზმის ნარატივის ინტერპრეტაციის განსხვავებულ შესაძლებლობას იძლევა. მოხსენებაში მსჯელობა მოემსახურება იმის დადგენას, თუ რამდენად თანაბარი შესაძლებლობებია განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისათვის ქალაქის საჯარო სივრცეში დამკვიდრებისათვის და რა განაპირობებს არსებულ ასიმეტრიას? ასევე საინტერესოა, რომ რელიგიური ჯგუფების დიდი ნაწილი რუსთავში საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა, თუმცა არა რელიგიური ჯგუფის სახელით. შესაბამისად საინტერესოა, არის თუ არა აღნიშნული გაღება უკან დაბრუნების მოლოდინის გარეშე, როგორ შეიძლება მოსის ცნობილი თეზის ინტერპრეტაცია რუსთავში რელიგიური ვითარების მაგალითზე, სადაც რელიგიური ჯგუფები პრაქტიკულად ანონიმურად ახორციელებენ სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტს. მართლმადიდებლური ეკლესიის ფაქტორი როგორ განაპირობებს, სხვა რელიგიური ჯგუფების მხრიდან რუსთაველებს შესთავაზონ მხოლოდ ამქვეყნიური საზრდო, ნაცვლად საკუთარი რელიგიური შეხედულებებისა. ამ საკითხებზე მსჯელობისათვის მოხსენებაში განხილული იქნება კათოლიკური ეკლესიის საქველმოქმედო ორგანიზაციის, ხსნის არმიისა და ლუთერანული ეკლესიის საქველმოქმედო საქმიანობა რუსთავში.

Tea Kamushadze

Giving Without Expecting Nothing in Return: The Post-Socialist Rustavi Religious Market and the Everyday Life

People found themselves in industrial Rustavi in the pursuit of prosperity, employment, and self-realization. The young city promised them many things, primarily- jobs, material prosperity, and a secure future. But the collapse of the Soviet system left it with a different reality. An industry-dependent city was left without a living wage. Massive unemployment and labor migration have become part of Rustavi's everyday life.

Instead, post-socialist Rustavi turned into a place with no room for public religiosity. The Orthodox Church was the first to take advantage of this opportunity and immediately began building churches, which continues to this day. In addition to the majority's religious actors, there were other new religious groups on the Rustavi religious "market" that had to take their place in a post-secular or post- atheist city.

The paper discusses Rustavi urban space strategies of public religious manifestation and establishment in relation to the Soviet urban narratives of

the city. The construction of the Orthodox churches will be discussed in the context of the city's national narrative, according to which the city played an important role in the history of Georgia and the tradition of the construction of the Orthodox churches still continues. The attempts of other religious groups to find their space in the Soviet urban space of Rustavi, on the other hand, provide a different interpretation of the Soviet internationalism narrative.

The discussions in the paper will serve to determine how equal the opportunities for different religious groups are in order to find their spot in the public space of the city, and what causes the existing asymmetry? It is also interesting that most religious groups are engaged in charity work in Rustavi, though not on behalf of a religious group. Consequently, it is interesting to see whether this can be interpreted as giving without expecting a return, and how Moses' famous thesis can be interpreted as an example of the religious situation in Rustavi, where religious groups are practicing various anonymous charity projects. How does the factor of the Orthodox Church make it possible for Rustavi residents of other religious groups to just offer bread instead of their own religious beliefs? To discuss these issues, I will overview the charity activities of the Catholic Church- the Salvation Army and the charity of the Lutheran Church in Rustavi.

მაია ქვრივიშვილი

დღესასწაული როგორც მეხსიერება და როგორც იდენტობის მსაზღვრელი

სხვადასხვა კულტურაში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრების და აღქმის თავისებურებათა ანალიზი განსხვავებულია. წარსულიდან დასამახსოვრებელი ინფორმაციის შერჩევა და ინტერპრეტაცია სოციალურად და კულტურულად არის განპირობებული.

წარსულის აღქმა და მეხსიერების ფორმირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე და, შესაბამისად, დროში ცვალებადია. კონკრეტული დრო და ვითარება თავის მოთხოვნებს უყენებს წარსულს, რადგან ცნობილია, რომ ისტორია ანმყო საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო მოთხოვნების ლეგიტიმაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „წარსულის ხსოვნა ანმყო იდენტობას განსაზღვრავს“. მეხსიერების ფორმირება მიზანმიმართული პროცესის შედეგია.

წარსულში ჩადებული სინმინდე და მისი საკრალიზაცია, ამავე დროს, წარსულის უარყოფის საფუძველი გახდა. პ. ნორა გამოყოფს 4 ტი-

პის მეხსიერების ადგილს: ფუნქციურს, მონუმენტურს, ტოპოგრაფიულსა და მეოთხეს – სიმბოლურ არეს, რომელიც მოიცავს სადღესასწაულო დღეებს და რიტუალებს, პილიგრიმოზას, იუბილეებს და ა. შ.

მეხსიერებას აქვს სოციალური ბუნება, იგი ცვალებადი და დინამიკური და იძლევა ინტერპრეტირებისა და რეპრეზენტაციის საშუალებას კულტურული იდენტობის მიზანმიმართული ფორმირების პროცესში. მეხსიერების ადგილები არის ფუნდამენტური ნარჩენები (გადმონაშთები), მეხსიერებითი ცნობიერების უმთავრესი ქმნილებები, რომლებიც გადარჩენენ ისტორიულ ეპოქაში. ისინი ჩნდებიან ჩვენი სამყაროს დერიტუალიზაციის შედეგად.

მნიშვნელოვანი რიტუალია დღესასწაული. იგი სიმბოლური შესაძლებლობაა იდენტობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. დღესასწაულის აღნიშვნის დროს ხდება საზოგადოების ემოციური ბმა. მასშტაბური ღონისძიებები აერთიანებს საზოგადოებებს და ხდება საზეიმოს და სოციალურის შერწყმა.

დღესასწაული, როგორც თარიღი, ხაზს უსვამს მემკვიდრეობას, ასტიმულირებს ახალ წარმოდგენებს, განსაზღვრავს საზოგადოების სამომავლო მოქმედებს. სამ თარიღთან – 14 აპრილი, 9 აპრილი და 26 მაისი – დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობა და იდენტობა. მიუხედავად ამისა, 14 აპრილი – დედა ენის დღე არ არის სახელმწიფო დღესასწაულთა რანგში და სადავოა 9 აპრილისა და 26 მაისის დანიშნულებაც.

საინტერესოა, როგორ და რა როლი შეასრულა, ასრულებს ან ვერ შეასრულა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანმა თარიღებმა – 14 აპრილი, 9 აპრილი და 26 მაისი არის თუ არა ეროვნული ერთიანობის სიმბოლოები. ზოგადად, ეროვნული დღესასწაული არის ინსტიტუციური დღესასწაულის არქეტიპი, რომელიც მუდმივად დატვირთულია ემოციით და საზეიმო განწყობით; დღესასწაული არის მეხსიერების ის სიმბოლური არე, რომელიც გავლენას ახდენს იდენტობის ფორმირებაზე, ახდენს ერის/საზოგადოების კონსოლიდაციას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

Maia Kvrivishvili

National Holidays as a determinant of identity and memory

The analysis of the peculiarities of organizing history, remembering the past and perceiving the past is different in different cultures. Past memorable selection and interpretation of the information is socially and culturally conditioned.

Perceptions of the past and the formation of memory are significantly dependent on political conjuncture, and therefore change over time. The specific time and situation puts their demands on the past, as it is well known that history is one of the essential factors for legitimizing the present public or state requirements. It is also important that "the memory of the past determines the present identity." Memory formation is the result of a purposeful process.

Purity in the past and its sacralization, at the same time, became the basis for the denial of the past. Nora, allocates four types of memory space: functional, monumental, topographic, and the fourth symbolic area, which includes festive days and rituals, pilgrimage, anniversaries, etc.

Memory has a social nature; it is changeable and dynamic, and allows for interpretation and representation through the process of purposeful formation of cultural identity.

Memory sites are the first remnants (remnants), the primary main creations of memory consciousness that have survived into the historical epoch. They arise as a result of the de-virtualization of our world.

The holiday is an important ritual. It is a symbolic opportunity to create and maintain identity. During the celebration of the holiday, there is an emotional bond of the society. Large-scale events unite communities and merge solemnly and socially.

The holiday as a date emphasizes heritage, stimulates new notions, defines the future action of society. Georgia's statehood and identity are related to the three holidays: April 14, April 9 and 26. However, April 14 – Mother Language Days is not national holidays, and the purpose of 9 April and May 26 is a subject of dispute. Interesting to study, if these dates publicly understood as a symbol of national unity and if these national holidays play a role in the formation process of Georgian culture.

In general, the national holiday is an archetype of the institutional holiday, which is constantly loaded with emotion and festive mood. The holiday is a symbolic area of memory that influences the formation of identity, consolidates the nation / society, and plays a vital role in the creation and development of state thinking.

ანა ქირია

ნოეტური სამყაროს სტრუქტურა პლოტინთან

მოხსენების მიზანია პლოტინის მეტაფიზიკური სისტემის მეორე ჰიპოსტასის – გონების – შიდა სტრუქტურაში ჩაღრმავება. ამ მიზნის კვალად მოხსენება სამ ნაბიჯად წარიმართება:

1. ტექსტის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე მოხსენებაში თავდაპირველად ახსნილია არსებობის (ὄντοσύνη), გონითი აზროვნებისა

(νόησις) და გონების (νοῦς) იგივეობა, ასევე, თვითაზროვნების არსება, პლოტინის მიხედვით.

2. მოხსენების მეორე ნაწილში განხილულია „ხუთი უმაღლესი გვარი“, ანუ ფუნდამენტური ინტელიგიბილური კატეგორიები, რომლებსაც პლოტინი პლატონის „სოფისტედან“ იღებს.

3. მესამე და უკანასკნელი ნაბიჯით ვაღწევთ გონების გაგებას თავის უსასრულო მრავლობითობასა და მრავალფეროვნებაში. შესაბამისად, ამ საფეხურზე განიხილება იდეათა იმანენტურობა გონებაში.

Ana Kiria

The Structure of the Noetic World in Plotinus

The present paper aims to gain a clear insight into the nature of the Plotinian Intellect occupying the position of a second hypostasis in Plotinus' metaphysical system. Pursuing this aim, we proceed in three steps:

1. Using a thorough textual analysis, the paper first explains the identity of Being (ὄνσιον/ intelligible), intellection or thinking (νόησις), and Intellect (νοῦς) as well as the essence of self-thinking according to Plotinus.

2. The second section of the article concerns the "five greatest kinds" or fundamental intelligible categories, which Plotinus takes from Plato's Sophist.

3. The third and final step leads to an understanding of Intellect in its infinite multiplicity and diversity. In this stage, we consequently discuss the immanence of Forms in Intellect.

რამაზ ქურდაძე

ქცევის ნიშანთა ფაკულტატიური გამოყენების ერთი შემთხვევა ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლების დროს

მოხსენებაში განხილულია ქართული სმენა ზმნის უ- ხმოვანპრეფიქსიანი (უ-სმენს, მო-უ-სმენს, მო-უ-სმინა) და ი- ხმოვანპრეფიქსიანი (ი-სმენს, მო-ი-სმენს, მო-ი-სმინა) ფორმების სწავლების საკითხები ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლების დროს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული ზმნის უ- ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ინდივიდის, მსმენელის მხრიდან აქტიურ სმენით პროცესს

გადმოგვცემს, მსმენელი კონცენტრირებულია იმაზე, რასაც უსმენს, ხოლო **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები გადმოგვცემენ ისეთ პროცესს, როდესაც ინდივიდისათვის, მსმენელისათვის სმენითი პროცესი არაა აქტიური, მსმენელი არ არის კონცენტრირებული იმაზე, რაც ესმის. სწორედ ამიტომაცაა, რომ ზემოაღნიშნული ქართული **უ-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები ინგლისურ **To listen** ზმნას მიესადაგება (შდრ.: რუსული - **Слушать**), ხოლო **ი-** ხმოვანპრეფიქსიანი ფორმები - **To hear** ზმნას (შდრ.: რუსული - **Слышать**).

აღნიშნული სემანტიკური ნიუანსი ინგლისურად სხვადასხვა ზმნით გადმოიცემა, რუსულში - წარმოშობით ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძით, ქართულში კი ამ ნიუანსს ქცევის გრამატიკული კატეგორიის გამომხატველი ხმოვანპრეფიქსები - **უ-** და **ი-** გამოხატავენ, რომელთათვისაც ამ ნიუანსის ჩვენება არაძირითადი, ფაკულტატიური ფუნქციაა.

Ramaz Kurdadze

A Case of Facultative Use of Version Markers in the Teaching of Georgian as a Second or Foreign Language

The paper focuses on the use of the forms of the Georgian verb **სმენა smena** “listen/hear” with preradical vowels **უ-** u-: **უ-**სმენს u-smens - “he/she is listening to”, **მო-უ-**სმენს mo-u-smens - “he/she will listen to”, **მო-უ-**სმინა mo-u-smina - “he/she listened to” and **ი-** i-: **ი-**სმენს i-smens - “he/she hears”, **მო-ი-**სმენს mo-i-smens - “he/she will hear”, **მო-ი-**სმინა mo-i-smina - “he/she heard”. The use of these forms is analyzed from the perspective of teaching Georgian as a second or foreign language.

The paper argues that the forms with preradical vowel **უ-** u- denote the active process of listening on the part of the individual/listener, who is concentrated on what he/she is listening to, whereas the forms with preradical vowel **ი-** i- denote the process in which the individual/listener is not active, hence, he/she does not concentrate on what he/she hears. That is why the above-mentioned forms with preradical vowel **უ-** u- correspond to the English verb **To listen** (cf. Russian - **Слушать**), whereas the forms with preradical vowel **ი-** i- correspond to the English verb **To hear** (cf. Russian - **Слышать**).

The above-mentioned semantic nuance is expressed by two different verbs in English, whereas in Russian it is expressed by two stems of one and the same verb. However, in Georgian this semantic nuance is expressed by two different preradical vowels - **უ-** u- and **ი-** i-, which are markers of the grammatical category of version and for which the expression of the above-mentioned semantic nuance is an additional, facultative function.

თამარ ჩოგოვაძე

„კახური“ ანუ „ცენტრალურამიერკავკასიური“ ჯგუფის საბეჭდავები

საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ფართოდ ვრცელდება თიხის საბეჭდავები, რომელთა უმეტესობას შტამ-პისებური ფორმა აქვს. მსგავსი საბეჭდავების აღმოჩენის ადგილები კი, ძირითადად, კონცენტრირებულია აღმოსავლეთ საქართველოში: შიდა ქართლსა და კახეთში. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის საბეჭდავები, რომელთა დიდი ნაწილი მოძიებულ იქნა კახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. ეს საბეჭდავები ნაწილია იმ კატალოგისა, რომელიც თავად გამოვაქვეყნე სამაგისტრო ნაშრომში „გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საბეჭდავები (გამოკვლევა, კატალოგი)“. (ნაშრომის შესასრულებლად გაწეული სამუშაოები ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით). ნაშრომში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ პერიოდის თიხის საბეჭდავები გამოსახულებების მიხედვით სხვადასხვა ტიპშია დალაგებული. განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს „კახური“ ანუ „ცენტრალურამიერკავკასიური“ ჯგუფის საბეჭდავები, რომლებიც სხვა რეგიონებში აღმოჩენილი საბეჭდავებისგან გამოირჩევა განსაკუთრებული მახასიათებლებით.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კარგად დათარიღებული ამავე ჯგუფის საბეჭდავები აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც. ამ ფაქტმა განაპირობა, რომ ამ ჯგუფის საბეჭდავებისათვის მეორე სახელიც – „ცენტრალურამიერკავკასიურიც“ გვეწოდებინა. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთსა და აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი საბეჭდავების გამოსახულებები თითქმის იდენტურია.

ნათელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ორი განსხვავებული არქეოლოგიური კულტურის არსებობას ამავე პერიოდის თიხის საბეჭდავებიც ადასტურებენ.

Tamar Chogovadze

Kakhuri” or “Central Transcaucasian” group seals

On the territory of Georgia in Late Bronze–Early Iron Age there was widely spread clay seals. Most of these seals had a stump shape. The discovery places of this kind of seals are mostly concentrated in East Georgia: Shida kartli and Kakheti. In this paper there will be presented clay seals discovered on the

territory of Kakheti region. Most of them are kept in the museums of local lore of Kakheti. Those seals are part of the catalogue, which I had published as a master thesis - "Late Bronze – Early Iron Age seals (research and catalogue)" (the works that was performed to establish master thesis was funded by Shota Rustaveli national science foundation of Georgia). In this thesis there are arranged in different types Late Bronze-Early Iron Age clay seals discovered in Georgia by their depictions. „Kakhuri” or “Central Transcaucasian” group of seals are very special. They are exceptional from the same period clay seals found on the territory of Georgia with its characteristic signs.

Finley dated Late Bronze – Early Iron Age same group clay seals are discovered also on the territory of Azerbaijan. Due to this fact there is given second name "Central Transcaucasian" to the group of this kind of seals. It must be mentioned, that there are a lot of resemblances between clay seals discovered on the territory of Georgia and Azerbaijan.

Finally, it is clear that, existence of two different cultures on the territory of Georgia in Late Bronze – Early Iron Age is confirmed also by the difference between this period clay seals.

ნინო ჩიქოვანი

ტრავმისა და ტრიუმფის ნარატივის სათავეებთან: საქართველო, 1989

ნაშრომში განხილულია 1989 წლის „ტრავმულ მოვლენათა მწკრივის“ ერთ-ერთი ფაქტი – მერაბ კოსტავას გარდაცვალება, როგორც დროის მოკლე მონაკვეთში მიმდინარე რადიკალურ და მოულოდნელ ცვლილებათა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი. 1989 წლის სხვა ტრაგიკულ მოვლენებთან ერთად, ამ ფაქტმა სათავე დაუდო ახალ ნარატივს, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა პერესტროიკის პერიოდში გაჩენილ კითხვებზე პასუხის ძიების პროცესი, ხელი შეუწყო 9 აპრილის სისხლისღვრის ჩამოყალიბებას „პარადიგმულ ტრავმად“ და უზრუნველყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლეგიტიმაცია ახალი მეხსიერების საფუძველზე. ჩვენი შეფასებით, ეს ნარატივი მკაფიოდ თავსდება ქართული „კულტურული ნიმუშის“ ჩარჩოებში, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტული ფაქტების აღქმას, აძლევს მათ ფორმას, ტვირთავს მნიშვნელობით და ემოციებით.

ნაშრომი ემყარება მედიაში ასახული ინფორმაციის, დაკრძალვის დროს წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვების, სამეცნიერო და სხვა ტიპის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ანალიზს. თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს მეხსიერების საკვანძო ფიგურების იდეები მეხსიერების სოციალური ბუნების (მორის ჰალბვაქსი, იან და ალეიდა ასმანები),

მეხსიერების შექმნის პროცესში გამოყენებული საშუალებების (პიერ ნორა, იან ასმანი), კოლექტიური/კულტურული ტრავმის (ჯეფრი ალექსანდერი, პიოტრ შტომპკა) შესახებ. ისინი საშუალებას გვაძლევენ, გავიაზროთ 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში არსებული ტრავმული სიტუაცია. ჩვეულებრივ, ეს სიტუაცია განისაზღვრება იმ მნიშვნელობათა ფარგლებში, რომლებიც კოდირებულია მოცემული საზოგადოების გაზიარებულ კულტურაში. შესაბამისად, ტრავმული მოვლენები ან სიტუაციები ყოველთვის კულტურული კონსტრუქციებია.

ტრავმული მოვლენის რეპრეზენტაცია, შეიძლება, რეალობისაგან დაშორებულ იყოს, საკამათო და პოლარიზებულიც, მაგრამ იგი „მუშაობს“ თუ კულტურულ ჩარჩოს შეესაბამება.

კოსტავას სიკვდილის ნარატივი, რომლის ჩამოყალიბების გზაზე პირველი ნაბიჯი დაკრძალვის ცერემონიაზე წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვები იყო, ქართულ კულტურაში კოდირებულ, გასაგებ და მიღებულ მნიშვნელობებს ემყარებოდა; ხაზგასმული იყო ტრაგედია, როგორც ამაღლება, დაფუძნებული გმირობისა და სამშობლოსთვის თავდადების იდეალებზე, წინაპრებთან სულიერ სიახლოვესა და მათი საქმის გაგრძელებაზე. ამავე დროს, მერაბ კოსტავას დაღუპვის, როგორც ტრავმული მოვლენის, აღქმა განპირობებული იყო 9 აპრილის ტრავმით. ახალმა ნარატივმა შექმნა „ახალი გმირი“, როგორც ახალი ჯგუფის ერთ-ერთი საფუძველი. მძიმე ტრავმულ გარემოში, ამ გმირთან თვითიდენტიფიკაცია იძლეოდა პოზიტიური პასუხის გაცემის შესაძლებლობას იდენტობასთან დაკავშირებულ კითხვებზე. მერაბ კოსტავას სიკვდილის ნარატივმა, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მომდევნო ამბების აღქმაზე და თავისი ადგილი დაიკავა როგორც სამოქალაქო ომის ჩამოყალიბებელ, ბუნდოვან ნარატივში, ასევე მომდევნო პერიოდის მოვლენათა რეპრეზენტაციაში.

Nino Chikovani

The Origins of a Narrative of Triumph and Trauma: Georgia, 1989

The paper deals with one of the facts in the “traumatic sequence” – the death of Merab Kostava – as a ring in a chain of radical and sudden changes in the developments of 1989 in Georgia. Along with other tragic events, this fact laid the foundation to a new narrative, which contributed to the formation of the tragedy of April 9 as a paradigmatic trauma. This new narrative clearly fits within the framework of the Georgian cultural pattern, which underpin the percep-

tion of concrete facts, endowing them with form and charging them with meaning and emotion.

This research draws upon theoretical judgements presented in various pieces of research, as well as the farewell speeches, information spread by media outlets, including popular newspapers and magazines. The ideas of social nature of memory, tools used in the process of memory formation and collective/cultural trauma comprise theoretical framework of the study.

The narrative of Merab Kostava's death was based on the meanings encoded, shared and accepted in the Georgian culture; tragedy as Asention was highlighted through the ideals of heroism, devotion to the homeland, spiritual closeness to ancestors and continuation of their deeds. At the same time, perception of Merab Kostava's death as a traumatic event was shaped by the traumatic memory that was already in place – that of the 9 April. The new narrative created a "new hero" as a basis for the new in-group. In the harsh traumatic situation, self-identification with this hero enabled to find a positive answer to the quest for identity. The narrative of Merab Kostava's death, in its turn, influenced perception of the subsequent events and was reflected both in the vague, obscure narrative of the civil war and in the representation of the events aftermath.

ირაკლი ჩხაიძე

9 აპრილის რეპრეზენტაცია ქართულ პრესაში

კულტურული ტრავმა გულისხმობს არა იმას, რომ საზოგადოების ყველა წევრს ერთგვაროვანი გამოცდილება აქვს, არამედ იმას, რომ ცალკეულ მოვლენებს საზოგადოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ფსიქოლოგიურ ტრავმას აქვს ხანგრძლივი ეფექტი ინდივიდზე, კულტურულ ტრავმასაც აყალიბებს სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტები, რომლებიც რჩება გადაუჭრელი, დანაკარგი, რომლის გამოგლოვება რთულია, მოვლენები, რომელთა რეპრეზენტაცია და სიმბოლიზება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, როდესაც გარკვეული მოვლენა კულტურული ტრავმის სტატუსს იძენს, ის ხდება კოლექტივის სიმბოლო, რაც გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე კოლექტიურ ფსიქოლოგიურ ტანჯვას. კულტურულ ტრავმას ქმნის ხატები და ნარატივები, რომლებიც ფართოდ ზემოქმედებენ მოსახლეობაზე, ავრცობენ კატასტროფის მასშტაბებს მთელ საზოგადოებაზე.

თანამედროვე მედია განმსაზღვრელ როლს ასრულებს კულტურული ტრავმის ხატებისა და ნარატივების გადატანა/გავრცელებაში. 1989 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენის საერთო ნაციონალურ ტრა-

გედიად და კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა მედიამ. 1980-იანი წლების მეორე ნახევარი ის პერიოდი, როდესაც ქართული ბეჭდური პრესა უკვე მრავალფეროვანი სახით არსებობდა. იგი წარმოადგენდა ფართო საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელებისა და სოციალური რეალობის კონსტრუირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. გაზეთების ფურცლები გახდა განსხვავებული ნარატივების ფორმირებისა და დაპირისპირების ერთგვარი ასპარეზი. პერიოდული პრესის მასალების დინამიკაში შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავანალიზოთ საქართველოს საზოგადოებაში კოლექტიური ტრავმის ფორმირებისა და ტრანსფორმაციის პროცესი.

Irakli Chkhaidze

Title Representation of April 9 in the Georgian Press

Cultural trauma implies not that everyone in a society had the same experience but that certain events have been given extraordinary status for a society. Just as a psychological trauma has long-term effects on individuals and communities, cultural trauma suggests social and political conflicts that remain unresolved, losses that are difficult to mourn, events that are difficult to represent or symbolize. When events achieve the status of cultural trauma, however, they have become symbols of the collective that mean more than the sum of collective psychological suffering. Cultural trauma is consisted of icons and narratives deeply influencing over the population, expanding the scale of disaster to the entire society. Modern media plays an important role in spreading and transmitting of the icons and narratives.

Georgian media played an important role in shaping the April 9, 1989 event as a common national tragedy and cultural trauma. The second half of the 1980s was a period when the Georgian print media already existed in various forms. It was turned into major source for dissemination of the information and construction of the social reality. Newspaper pages have become a kind of field for the forming and confronting different narratives. Studying of the press materials in dynamics allows us to analyze the process of formation and transformation of the collective trauma in the Georgian society.

სოფიო ჩხატარაშვილი

ქართული თემის ფემინიზაცია ლინა კოსტენკოს პოეზიაში

ლინა კოსტენკოს პოეზია უკრაინული ლიტერატურის ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია. მისი არაერთი ნაწარმოების კვლევისას ირკვევა, რომ ქართული თემატიკა ინსპირაციის წყაროა. გარდა ამისა, უკრაინელი პოეტესას შემოქმედებაში ჩნდება ქართული ჰეტეროსახე.

„გოგონავ, სახით თინათინის სადარო მართლა“ გახლავთ ლინა კოსტენკოს ლექსი, რომლითაც მულავნდება, რომ მწერალი კარგად იცნობს „ვეფხისტყაოსანს“, მის სიუჟეტს, მთავარ გმირებს; ასევე ნაწარმოების ქარგას.

შევეცდებით, განვიხილოთ ქართული თემის გაჩენის მიზეზი ლინა კოსტენკოს პოეზიაში და მისი ასახვის თავისებურებები.

Sophio Chkhatarashvili

Feminization of Georgian theme in Lina Kostenko's poetry

Lina Kostenko is the one of the most important paper in history of Ukrainian literature. During the research process, it turns out, that Georgian theme is the inspiration. In addition, the poetry of Lina Kostenko is more interesting for us as it describes Georgian hetero-image.

"Girl, really comparable to Tinatin"... is a poetry creature of Lina Kostenko, which outlines, that the poet has good understanding of Georgian Legendary work "The Knight in the Panther's Skin", its scenario, main characteristics, structure of the novel.

We will try to discuss the reason of existence of Georgian theme in Lina Kostenko's literary legacy and describe its peculiarities.

ლელა ციხელაშვილი

ჩვენებით ნაცვალსახელთა -ა-მავრცობხმოვნინი ფორმები ძველ ქართულ ენაში

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოზარების თანახმად, **ესე, ეგე, იგი, ისი** ნაცვალსახელებისთვის ძველ ქართულში ნორმაა ირიბ ბრუნვებში მარტივი, გაუვრცობელი ბრუნვის ნიშნის არსებობა (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ა. მარტიროსოვი, ზ. სარჯველაძე და სხვ.). ამით ეს ნაცვალსახელები სიახლოვეს ავლენენ ანთროპონიმებთან და საზოგადო არსებით სახელთა ბრუნების უძველეს სახეს გვიჩვენებენ. ძველი ქართულისგან განსხვავებით, დღეს -ა ერთვის არა მარტო მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი, არამედ მოთხრობითი ბრუნვის ფორმებსაც, სალიტერატურო ენაში – იშვიათად, დიალექტებში – უფრო ხშირად. ძირითადად, გამოიყენება პაუზის ფუნქციით ან თანხმოვნით დაწყებული ზმნების წინა პოზიციაში: **გამაოცა ამანა, ამასა გთხოვ...** (ა. მარტიროსოვი)

ამ პროცესის ჩანასახი ძველ ქართულშივე იჩენს თავს. მეორე ქვეპერიოდის ტექსტებში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება აღნიშნულ ჩვენებით ნაცვალსახელთა -ა-მავრცობხმოვნინი ფორმები, გამოყენებული, ძირითადად, დიერემის ფუნქციით, პაუზის ადგილას („**ჰქუეს მასა: ძად-გვც**“ [მ. 20:22 L]. მას C), თუმცა რეალიზდება სხვა შემთხვევებშიც („**წაჩვედ და დაეგე ამასა შენსა, ვითაჩცა გნებავს**“ [მამ. სწავ. 35:9], „**შემოკიბნა წიგნსა ამასა შინა**“ [კლემ. 5:28], „**და ზახავა-ყვეს და მოიყიდეს მითა აგაჩაკი მეკეცისად საფდავად უცხოთა**“ [მ. 27:7 AgHIK]. მით BCFG). საშუალო ქართულში მავრცობხმოვნინ ჩვენებით ნაცვალსახელთა რაოდენობა მატულობს.

-ა-ელემენტდართული ჩვენებითი ნაცვალსახელი ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს გავრცობილ ფორმას, კერძოდ, აუსლაუტის -ა შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც: ა) **კითხვითი ნაწილაკი** („**გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ თევზისა წიდ გუედი მისცეს მასა?**“ [ლ. 11:11 C]. მას FGHIK); ბ) **გადამწერის მექანიკური შეცდომა** („**ჰნეჩყუა ყუხითა მითა**“ [მკ. 7:33 P]. მისთა DEQ; „**ხადთა ახა ეჩუენო კაცთა მმახხვედად, ახამედ მამასა შენსა დაფაჰუდად**“ [მ. 6:18 GHIK]. მასა F)... ნაგენეტივარ ფორმებში, რომლებიც, ერთი შეხედვით, გავრცობილი ნათესაობითი ბრუნვის შთაბეჭდილებას ტოვებენ, -ა შეიძლება იყოს: ა) **ბრუნვისნიშნისეული** და წარმოადგენდეს ნაგენეტივარი ვითარებითის ფორმას (მისა < მისდა, მათა < მათდა...), სხვაგვარად, მიმართულებითს ან დანიშნულებითს („**გამოვიდა მათა პიდაგე და ჰქუა**“ [ი. 18:29 PL]. მათდა C); ბ) **სავრცობი, რომელიც ერთვის არა ჩვენებით, არამედ კუთვნილებით ნაცვალსახელს** („**ქებუდებასა**

მისა“ [ფსალმ. 65:1] (მისა < მისსა), „წაჲავდინნეს მოციქუდნი შემდგომად მისა და ჰქუეს...“ [ლ. 19:14 XCFHI], მისსა GK. უკანასკნელ შემთხვევაში ძველი ქართულისთვის ნორმას წარმოადგენს კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით).

Lela Tsikhelashvili

Demonstrative Pronouns with the Emphatic Vowel -a in Old Georgian

According an opinion widespread in the Georgian scholarly literature, in Old Georgian the pronouns *ese*, *ege*, *igi*, *isi* had a simple, unextended marker in indirect cases (A. Shanidze, I. Imnaishvili, A. Martirosov, Z. Sarjveladze and others). In this, the above-mentioned pronouns resembled anthroponyms and followed the most ancient type of declension of common nouns. Unlike Old Georgian, in contemporary language -a is added not only to the forms in the dative, genitive and instrumental cases, but also to the ergative case-forms. This phenomenon is rare in the literary language, but quite widespread in the dialects. In frequent cases, -a performs the function of a pause. It is also found before the verbs beginning with a consonant (A. Martirosov).

In my opinion, this process has its roots in Old Georgian. In the texts of the second sub-period, there are quite a few examples of the above-mentioned demonstrative pronouns with the emphatic vowel (*amasa*, *mitap*). In the majority of cases, they perform the function of a pause. However, they can be found in other cases as well. The number of demonstrative pronouns with the emphatic vowel increased in Middle Georgian.

ივანე წერეთელი

1990-იანი წლების ტრავმული მოვლენები ლიტერატურაში

მეოცე საუკუნე „ტრავმების საუკუნედ“ იწოდება. კოლექტიური ტრავმის შესწავლა კულტურის კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. დაგროვდა სხვადასხვა ქვეყანაში ტრავმის შემთხვევების კვლევების გამოცდილება. საქართველოს რეალობა ტრავმების თეორიათა წრილში ნაკლებადაა შესწავლილი.

საბჭოთა კავშირის დაშლას, დამოუკიდებლობის მოპოვებას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ერთვოდა არაერთი ტრავმული მოვლენა: 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების თბილისის და სამოქალაქო ომი, კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ბუნებრივი კატაკლიზმები (მენყერები, მიწისძვრები, წყალდიდობები).

ნაშრომის მიზანია, ვნახოთ, რამდენადაა ასახული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში 90-იანი წლების ტრავმული მოვლენები, როგორაა იგი გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული. კონკრეტული კვლევის (case study), შინაარსობრივი ანალიზისა (კონტენტანალიზი) და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით შევეცდებით, ვაჩვენოთ, რამდენად შეესაბამება საქართველოს შემთხვევას „ტრავმისა და ტრიუმფის“ ეპითეტები.

Ivane Tsereteli

Traumatic events of the 1990s in literature

My aim is to see to what extent the traumatic events of the “90s is reflected in post-independence fiction and memoir literature, how it is analyzed, thought out and interpreted, is it in compliance with “Trauma of victory” described by Piotr Sztompka.

Although it is premature to draw definitive conclusions in the first phase of the study, as most of the retrieved and classified materials are still in processed, some preliminary assumptions can still be made. On this stage of work we focused in three works: 1. Aka Morchiladze "A Trip in Karabakh" - 1992, 2. Aka Morchiladze "Mamluk" - 2003, 3. Archil Kikodze "The Southern Elephant" - 2016.

The principle of selection was that they were not only popular but also they were acknowledged by critics. They were created at least ten years apart, we found it interesting to follow the narrative dynamics in terms of long time distance. In addition, the first and third literary composition story takes place in the center of the capital, its main characters being geographically, politically and culturally representative, while second one - "Mamluk", describes the life of a small suburban town. I found it interesting to see if the author made any difference in the perception of the same events by the characters.

ნინო წერეთელი

ოჯახი და მისი რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართულ პროზაში

1991 წლიდან, 70-წლიანი ისტორიის მქონე საბჭოთა ქვეყნისთვის ახალი, პოსტკოლონიური ცხოვრება იწყება. პოსტკოლონიური საქართველოს ცხოვრება არ არის მშვიდი და დინამიკური, ხოლო პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში იცვლება ოჯახის სტერეოტიპი, რომელიც არსებობდა და ამ სტერეოტიპის ცვლილება, ბუნებრივია, წინააღმდეგობებით არის აღსავსე. საბჭოთა ლიტერატურაში დომინანტურია ოჯახის, როგორც საზოგადოების „ჯანსაღი უჯრედის“ ასახვა. და სახელმწიფოს დევიზია „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“, რაც ერთიანი სსრკ-ის იდეოლოგიის ნაწილია. სახელმწიფო ზრუნავს ახალგაზრდობაზეც და უმუშევრობის პრობლემა თვალშისაცემი არ არის, თუმცა ეს უმეტესად ხდება იდენტობის, იდეალების დაკარგვის ხარჯზე. საბჭოთა ცენზურის პირობებში ოჯახების თემა, ისევე როგორც საზოგადოების სხვა პრობლემები, ნაკლები სიმწვავეით აისახება ლიტერატურაში. თანამედროვე ქართველი ავტორების შემოქმედებაში აქტუალურია ოჯახიდან დაშორებული გმირების ცხოვრების აღწერა უცხო ქვეყნებში.

Nino Tsereteli

Representation of the Family in the Modern Georgian Literature

Since 1991, a new, postcolonial life had begun for the Soviet Republic with 70-year history. Life of post-colonial Georgia was not calm and dynamic. In postcolonial Georgian literature, the stereotype of the family is changing, and naturally, the change of this stereotype is full of contradictions. In the Soviet literature, as well as in Georgian, the representation of the family as a "healthy cell" of the society was dominant. the slogan of the country "all the best to children" is a leading force and a part of the single ideology of the Communist party of the Soviet Union. The state cares about the youth and the problem of unemployment is not obvious at first glance. However, all this happens at the expense of the loss of identity and ideals and in the conditions of Soviet censorship; the theme of family as well as other issues in the society, was reflected in the literature ideally or with less severity. It should be noted that in Georgian

literature it has always been important to place the theme of the traditional family to the forefront. In the works of contemporary Georgian writers, the description of the life of the main characters in foreign countries away from the family is topical.

ლელა ხაჩიძე

ქართული საეკლესიო გალობის შესახებ

საეკლესიო ანუ „წმეანი გალობის“ შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ძველი ქართული წყაროები. საქართველოს ეკლესიის დიდი მოძღვრის - გრიგოლ ხანძთელის მრავალმხრივი განათლება სწორედ „ფსალმუნითა“ და „წმეანი გალობით“ იწყება. როგორც ჩანს, იმდროინდელ ქართლში არსებობდა სამგალობლო სკოლა, სადაც შეისწავლებოდა „წმეანი გალობა“. ეს გახდა წინაპირობა წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ „სანელინდო იადგარის“ შედგენისა, ტაო-კლარჯეთში ჩამოყალიბებული სამგალობლო სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მიქაელ მოდრეკილი, რომელმაც შეადგინა ვრცელი ნევმირებული ანუ „მეხური იადგარი“. „მეხელნი“, ერთი მხრივ, თარგმნიდნენ საგალობელთა ტექსტებს და, მეორე მხრივ, მუსიკალურად უსადაგებდნენ ბერძნულ ორიგინალებს – სამუსიკო ნიშნებით – ნევმებით კილოზე აწყობდნენ. საეკლესიო გალობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებასა“ და შემოქმედებაში, აგრეთვე მის მიერ ხელნაწერებზე დართულ ანდერძებში. წმინდანის „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ხახულში ყოფნისას მან ზეპირად დაისწავლა საგალობელთა მთელი რეპერტუარი. გიორგი მცირის ამ ცნობას ეხმიანება თავად გიორგი ათონელის ერთ-ერთი ანდერძი, რომლის მიხედვით, ხახულის მონასტერში არსებობდა ძლიერი სამგალობლო სკოლა, სადაც ახალგაზრდებს ასწავლიდნენ „გალობის მეცნიერებას“.

წმინდანის „ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ გიორგი ათონელი მღვდლად კურთხევისთანავე დადგენილ იქნა ეკლესიის მღვდელთა და მგალობელთა უფროსად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გიორგი ათონელის შეხვედრა ბიზანტიის იმპერატორთან, რომელსაც წარუდგინა ოთხმოცი ყრმა, რომელთაც იგალობეს სვმეონ მოხუცებულის ორი გალობა: „მჯდომარე ეტლთა ქერობინთა მეუფე“ და „ან განმიტევე მე მშვდობით“, რითაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. კეისრის სიტყვიდან ჩანს, რომ მას ბერძნული და ქართული საეკლესიო მუსიკის განსხვავებულობა კარგად სცოდნია. ამ ცნობის მიხედვით, ქართული და ბერძნული გალობის განსხვავების არსებობა, XI ს-ში მაინც, უდავოა და უცილობლად მტკიცდება.

Lela Khatshidze

Towards the Georgian Spiritual Chant

Old Georgian sources present important information about the spiritual chant. According to the "Life" of the great Georgian ecclesiastical figure - Grigol Khandzteli, in the VIII-IX centuries there existed a chanting school in Kartli where he got his education. Later, Grigol Khandzteli himself contributed greatly to the establishment and development of the Tao-Klarjeti chanting school.

The famed representative of this school is Mikael Modrekili who compiled an extended "Mekhuri ladgari" bearing the neumes. The colophons preserved in it testify to the fact that Mikael Modrekili is a professional poet-melodist with thorough knowledge of the "science of chanting". The same can be said about the unknown Georgian translators of Greek chants preserved in this extensive collection, as well as about those poet- melodists who created original Georgian hymns.

Special attitude towards ecclesiastical chanting can be seen in the "Life" and activity of George the Athonite (1009-1065), as well as in colophons left by him. According to these sources there existed the famous chanting school in Khakhuli monastery where George the Athonite got his education.

George the Athonite's visit to the Byzantine emperor deserves special attention. In royal court eighty Georgian orphans chanted two hymns according to byzantine style. According to this information Georgian and Byzantine spiritual chant are different for that time.

ქეთევან ხუციშვილი

საზღვრების და სასაზღვრო ზონების კვლევები: მიდგომები და მეთოდოლოგია

საზღვრები ზოგადად განიხილება როგორც გეოპოლიტიკური დაყოფის ინსტრუმენტი, თუმცა სახელმწიფოთაშორისი საზღვრების გარდა, დღეს სამეცნიერო ინტერესის სფეროშია მოქცეული კულტურული, სიმბოლური და სხვადასხვა ტიპის სოციალური საზღვრები. საზღვრები სულ უფრო ხშირად უკავშირდება იდენტობისა და ყოველდღიურობის დისკურსს. მოხსენებაში საზღვრები გაანალიზებულ იქნება ანთროპოლოგიური პერსპექტივით. ყურადღება გამახვილდება თეორიულ მიდგომებსა და ხედვებზე, ასევე მეთოდოლოგიურ დისკურსებზე. გაანალიზდება საზღვრების

მახასიათებლები კროსსასაზღვრო კოოპერაციის, უსაფრთხოებისა და კონტროლის, მიგრაციისა და მოსახლეობის გადაადგილების ჰიბრიდულობის და ტრანსნაციონალიზმის საკითხებთან მიმართებით. განხილული ექნება თანამედროვე მეცნიერთა პასუხები კითხვებზე: რა არის საზღვარი და სასაზღვრო ტერიტორიები? როგორ წარმოიქმნება ისინი? ქმნიან თუ არა საზღვრები სპეციფიკური ტიპის კულტურას? რა გავლენა აქვთ მათ ადამიანთა ყოფაზე? როგორ აღიქმებიან სასაზღვრო ზონაში მცხოვრები ჯგუფები ინდივიდების, სახელმწიფოების მხრიდან? როგორ ხდება კოოპერაცია საზღვრებს გადაღმა? საზღვრები, როგორც ადამიანთა საზოგადოების სივრცითი ორგანიზაციის საშუალება, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობისათვის. თუმცა საზღვრების კვლევები, როგორც სპეციალური სამეცნიერო მიმართულება, შედარებით ახალგაზრდაა. სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი კითხვები უკავშირდება საზღვრების მნიშვნელობის ცვლილებას, ეკონომიკური კავშირების არსებობა-არარსებობას და მის რეგიონალურ განვითარებაზე გავლენას, ყოველდღიური ყოფისა და იდენტობის მიმართებას სასაზღვრო ზონაში და სხვ. ეს და საზღვრების კვლევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კომპარატივისტული ისტორიული, სოციოლოგიური და გეოგრაფიული პერსპექტივით შეიძლება გაანალიზდეს.

საზღვრები განიხილება როგორც ფუნდამენტური სოციალური ფენომენი, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივია ბევრი თვალსაზრისით. მათი ანალიზი შესაძლებელია განგრძობითობისა და დისკრეტულობის პარადოქსის გათვალისწინებით. დისკრეტულობა გულისხმობს საზღვრების რეალურად არსებობას, იმის აღიარებას, რომ მათი მეშვეობით ხდება სივრცის სტრუქტურირება. იმავდროულად, საზღვრების განგრძობითობის აღიარება უარყოფს მათ ობიექტურ არსებობას და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მათი იდენტიფიცირება. საზღვრებისა და სასაზღვრო ზონების გაგების ამბივალენტურობიდან და მათი ჰიბრიდულობიდან გამომდინარე, საკმაოდ პრობლემურია საზღვრების რომელიმე ჰომოგენური სოციალური თეორიის ფარგლებში კვლევა. ამასთან, პირველადი ამოცანა სივრცის, ადგილისა და ტერიტორიის გაგების ანალიზია, სწორედ ამ ცნებათა სოციალური მნიშვნელობების ახსნა მოგვცემს საშუალებას, გაანალიზდეს საზღვარი სივრცის სოციალურ ადგილად – კონკრეტულ სივრცედ ქცევის იარაღად.

Ketevan Khutsishvili

The Border and Frontier Researches: Approaches and Methodology

Borders and Boundaries, as the means of spatial organization of human society were always an important issue for humans. The interest in these issues has especially increased after the realization of the contradictory nature of the borders and their impact on the societies not only spatially-geographically, but also its importance as a mean of hierarchical social organization. Various scientific research questions related to borders, boundaries and frontiers are put into the contemporary research agendas, e.g. on the changing character of the value of the borders, the existence or absence trans-border economic communication and their influence on regional development, the everyday life and identity in the border zones and etc. This and other issues related to border research could be analyzed by comparative historical, sociological and geographical perspectives. These specificities of approaches will be discussed in the paper. The borders will be considered with anthropological perspective.

Borders will be analyzed as a fundamental social phenomenon that is quite controversial in many ways and can be analyzed by considering the paradox of persistence and discretion. Our scholarly interest is to investigate the attitudes to "non-material", imaginary or symbolic boundaries, to determine cultural, social, economic and religious boundaries and to analyze their real and invisible influence on human societies. The question arises whether the reconstruction and change of borders impacts the reconstruction of socio-cultural identity and life; if the formation and transformation of ethnic or cultural identities are related to changes of borders; what impact do they have on the daily routine, etc. To answer these questions different analytical and interdisciplinary approaches will be discussed.

დემურ ჯალაღონია

ახალი პოლიტიკურ-თეოლოგიური დისკურსი ანტიმობ ივერიელის „თავდასაცავად დაწერილ უსტრებში“¹

ახალი დრო განსაკუთრებული ეპოქაა – ფუძნდება ახალი პოლიტიკურ-აზროვნება, ახალი ლიბერალური ღირებულებებით, რომელიც ნასაზრდოები იყო ევროპული პოლიტიკური ფილოსოფიური იდეებით და განმანათლებლობით.

საფუძველი ეყრება სახელმწიფოს სრულიად განსხვავებულ მოდელს, რომელიც ატარებდა თეოკრატიის მოდელის საპირისპირო ნიშნებს. ნელ-ნელა ევროპაში არსებობას იწყებს სეკულარული სახელმწიფო.

სეკულარულ სახელმწიფოში მორწმუნეს ყველა საშუალება აქვს, რელიგიური წესით იცხოვროს და, ამავე დროს, იყოს სამოქალაქო საზოგადოების წევრი.

ახალი პოლიტიკური ორიენტაციების ცვლილებების პერიოდში ვლახეთის მიტროპოლიაში მოღვაწეობას იწყებს ახალი პოლიტიკური თეოლოგიური დისკურსის „გამტარებელი“ ანტიმობ ივერიელი. მის მოღვაწეობას შეიძლება ვუნოდოთ ახალი პოლიტიკური თეოლოგიური ხედვის დაფუძნების და პრაქტიკაში განხორციელების ეპოქა.

ამ პრობლემის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტიმობ ივერიელის ტრაქტატს – „თავდასაცავად დაწერილი უსტარები“, სადაც ნათლად ჩანს მისი პოლიტიკური თეოლოგიური მრწამსი.

წმინდა წერილი მოუწოდებს ძლიერთა ამა სოფლისათა, რომ სახელმწიფოს ძალა ბოროტების შესაზღუდავად და სიკეთის მხარდასაჭერად გამოიყენონ.

ეკლესია უშუალოდ თვით ღმერთის მიერაა დაფუძნებული. ეკლესიის მიზანი ადამიანების მარადიულად გადარჩენაა, სახელმწიფოს მიზანი კი არის ადამიანებისათვის მინიერი კეთილდღეობის შექმნა.

სეკულარულ სახელმწიფოში ეკლესია არ არის გავლენიანი პოლიტიკური და ეკონომიური ინსტიტუცია. მან უნდა შეასრულოს სასულიერო ცხოვრებისათვის მინდობილი საქმიანობა. სახელმწიფო და ხელისუფლება თავისუფალი უნდა იყოს ინსტიტუციური ეკლესიის ზეგავლენისაგან. სახელმწიფოს არ გააჩნია იურისდიქცია რელიგიურ საქმეებზე ჩარევისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ურთულეს საკითხთა წრესთან გვაქვს საქმე, რადგან ამ პერიოდში წინა პლანზე წამოწეულია დესაკრალიზაცია ანუ

¹ მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ-ის გრანტის – „ანტიმობ ივერიელი – ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ – NFR-19-7625 ფარგლებში.

განღმერთება. ეკლესია არ განსხვავდება სხვა საერო ინსტიტუტებისაგან. ქრისტიანული ეკლესია მიაჩნდათ ადამიანთა გონებასა და სულიერ ცხოვრებაზე ბატონობად.

ქრისტეს ცნობილ სენტენციაში – „მიეცი კეისარსა კეისრისა“ – ვლინდება უმაღლესი და უზენაესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის სიმფონიის პრინციპები.

ანთიმოზ ივერიელმა, როგორც უმაღლესმა საეკლესიო იერარქმა, უმაღლეს საერო ხელისუფალთან, კონსტანტინე ბრინკოვიანუსთან ერთად მოახერხა ამ „სიმფონიის პრინციპის“ განხორციელება. ბუნებრივია, განმანათლებლობისა და სეკულარული იდეებით გაჯერებულ დასავლეთში ხდებოდა პოლიტიკურ-რელიგიური ტრანსფორმაციები. ვლახეთის, მაშინდელი რუმინეთის, მიტროპოლიტს, ანთიმოზ ივერიელს განსაკუთრებული მოქნილი დიპლომატიის წარმოება უხდებოდა ახალი რელიგიური დოქტრინისა და პოლიტიკური გზების ძიებაში, რადგან იგი მნიშვნელოვანი პერსონა იყო და აქტიურად მონაწილეობდა რუმინეთის საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება აღნიშნული პრობლემატიკის კონცეპტუალური ანალიზი.

Demur Jalaghonia

A New Political-Theological Discourse in “Letters Written for Self-Defense” by Anthim the Iberian¹

A new age is a particular epoch, when a new political thought with new liberal values nurtured by European political-philosophical ideas and enlightenment established. It is based on a completely different model of the state, which bore different signs of the model of theocracy. A secular state was slowly beginning to exist in Europe.

In the secular state, believers have every opportunity to live in a religious manner and at the same time be a member of civil society.

That was the period of changes in the new political orientations. Anthim the Iberian, the "conductor" of a new political theological discourse, begun his service in the Metropolitan church of Wallachia. His activities for public good

¹ prepared in the frame of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia granted project #FR-19-7625 “Anthim the Iberian –A part of European Space of Thinking

may be truly named the era of establishing a new political- theological vision and putting it into practice.

While analyzing this problem, treatise “Letters Written for Self-Defense” by Anthim the Iberian, in which his political theological beliefs are clearly outlined, should be analyzed with a special attention.

Scripture calls for the pillars of the earth to use the power of the state to limit evil and support good.

Church is founded directly by the God himself. The goal of the Church is eternal survival of mankind, and the goal of the state is to make earthly prosperity for people.

In a secular state, the church is not an influential political and economical institution. It has to perform activities entrusted for the theological life. The state and government should be free from the influence of institutional church. The state has no jurisdiction to intervene in religious affairs.

It should be noted that we are dealing with the most difficult circle of issues, because during this period desacralization or deification is highlighted. The church was not distinguished from other secular institutions. The Christian Church was considered as a dominant on the human mind and spiritual life.

In famous dictum of Christ "Render to Caesar what is Caesar's" ... the principles of the symphony of the relationship between the highest and supreme secular and ecclesiastical authorities are outlined.

Anthim the Iberian, as the highest ecclesiastical hierarch, together with Constantin Brâncoveanu, the highest secular authority managed to implement this "Principle of Symphony".

It is natural that political-religious transformations were taking place in the West, which was saturated with enlightenment and secular ideas. Anthim the Iberian, the Metropolitan of Wallachia, for that time Romania, had to carry out particularly flexible diplomacy in search of a new religious doctrine and political means, as he was an important figure and was actively involved in Romanian ecclesiastical and political life.

A conceptual analysis of these issues will be presented in the report.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

თამარ გაბელაია, მარინე ქყონია და ნათია დვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge

